ერთად შევქმნათ უკეთესი ქალაქი და სამეზობლო

ინკლუზიური ურბანული
განვითარების სახელმძღვანელო

საქართველოსთვის

SymbioCity

სარჩევი

01 / 3

მოგესალმებით 'სიმბიოსითი' საქართველოში

თქვენი ქალაქი თქვენი მომავალი	3
რა არის 'სიმბიოსითი'?	4
როგორ შეუძლია 'სიმბიოსითის' თქვენი დახმარება?	9
რა პრინციპებს ეფუძნება 'სიმბიოსითი'?	10
თქვენი გზა 'სიმბიოსითიში' აქ იწყება	10

02 / 15

ურბანული განვითარება საქართველოში

როგორ ფუნქციონირებს დაგეგმარების სისტემა საქართველოში?	16
როგორ იმართება ქალაქები?	21
ვინ არიან დაგეგმვის პროცესის მთავარი აქტორები?	22
რაში მდგომარეობს ურბანული განვითარების მთავარი გამოწვევები?	24

03 / 33

'სიმბიოსითი' გეხმარებათ ადგილობრივი ინიციატივებით მართულ, მდგრად ურბანულ განვითარებაში

ლიდერობა: ცვლილება იწყება შენით	36
ითანამშრომლეთ: ყველა დაინტერესებულ მხარესთან	38
გავლენა: ცვლილების ხელშეწყობა	40
სცენარები	43
სცენარი 1 – ქალაქის/უბნის განვითარების ხედვა	44
სცენარი 2 – ახალი და გაუმჯობესებული ღია საჯარო სივრცე	48
სცენარი 3 – ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების წახალისება („ტაქტიკური გადაწყვეტა“)	52

04 / 57

'სიმბიოსითის' მეთოდი

ნაბიჯი 1 პროცესის ორგანიზება	59
ნაბიჯი 2 არსებული ვითარების გაანალიზება	66
ნაბიჯი 3 ხედვის, მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება	72
ნაბიჯი 4 ინტეგრირებული გადაწყვეტების შემუშავება	74
ნაბიჯი 5 სარგებლიანობის და ზემოქმედების შეფასება	78
ნაბიჯი 6 განხორციელების დაგეგმვა	81
შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	87

05

'სიმბიოსითის' სასარგებლო ინსტრუმენტები და შაბლონები

სამუშაო გეგმის გაწერა	96
დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი (რუკის შედგენა)	100
იდეების შეჯერების სავარჯიშო (Mindmapping)	102
დიალოგის დაწყება	104
SWAT/C ანალიზი	106
პრობლემის ხე	108
ველზე გასვლა და დაკვირვება	110
„დაარუკე“ (რუკების შექმნის სავარჯიშო /OpenStreetMap)	113
ხმის (ელ) მიცემა	114
უბნის დაცულობის კვლევა	116
საჯარო სივრცის ანალიზი	118
ურბანული მობილობის ანალიზი და ხედვის შემუშავება	120
კლიმატ-მეგობრულობა (საფრთხეების ანალიზი)	122
გვსურს/არ გვსურს ანალიზი	124
თქვენი ხედვა	128
ფაქტების გადამოწმება	130
გადაწყვეტების მატრიცა	132
საჯარო სივრცის შექმნა	134
რა გვეხმარება/რა არ გვეხმარება	136
„ქალის თვალით“ (გენდერული ზეგავლენის ანალიზი)	138
გადაწყვეტების სტრეს-ტესტი	140
ზეგავლენის რადარი („მდგრადობის ვარდი“)	142
ბავშვებზე ზეგავლენის შეფასება	144
„გადაწყვეტილების ხე“	146
ადგილობრივი დაფინანსების მოპოვება	148
გადაწყვეტებზე პროექტის მომზადება	150
ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილი ინსტრუმენტები	152
ურბანული ტერმინების განმარტება	154
გსურთ იცოდეთ მეტი?	155

თანაავტორები: ანნა გ'სონ ბერგი, დავით მელუა, იან მუნტი, ანა ნიქაბაძე, ჰელენა ოლსონი, ლიზა სოფრომაძე, ირაკლი ჟვანია, სინან ოზდენი
ფოტოები: აქ გამოყენებული ყველა ფოტო SALAR International-ის საკუთრებაა, გარდა იმ ფოტოებისა, სადაც ავტორი მითითებულია.
დიზაინი: Infestation Design, www.infestation.co.za
გამოქვეყნების თარიღი: 2026 წლის იანვარი, **ISBN:** 978-91-531-1127-6

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და არ გამოხატავს რომელიმე ორგანიზაციის ან ინსტიტუტის ოფიციალურ პოლიტიკას ან პოზიციას. თქვენ შეგიძლიათ მასალის კოპირება, გავრცელება და პრეზენტაცია იმ პირობით, რომ ნაშრომის გამოყენებისას მიუთითებთ SALAR International/SymbioCity-ს.

2010 წლიდან დღემდე, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით, შვედეთის ადგილობრივი თვითმმართველობათა და რეგიონების ასოციაცია (SALAR) და SALAR International 'სიმბიოსითის' მიდგომას იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მდგრადი ურბანული განვითარების ხელშეწყობისა და უთანასწორობის შემცირების მიზნით.
წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავებულია Sida-ს მიერ დაფინანსებული პროექტის - „თანამშრომლობა განვითარებისთვის - დეცენტრალიზაციის და მდგრადი ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“(C4D, 2024-2028).

Bolt

01

მოგესალმებით ‘სიმბიოსითი’ საქართველოში

თქვენი ქალაქი, თქვენი მომავალი

მთელს მსოფლიოში თქვენს მსგავსად ქალაქის განვითარებაში ჩართული სამოქალაქო აქტორები გავლენას ახდენენ ქალაქების ფორმირებასა და განვითარებაზე. ისინი აძლიერებენ იმ მოქალაქეთა ხმას, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებსა და უბნებში ცხოვრობენ და მუშაობენ, ხშირად გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათანადოდ არ არიან ჩართულნი.

ქალაქის მართვასა და განვითარებაზე გავლენა იწყება ჰოლისტური ხედვების ჩამოყალიბებით და გრძელდება ძალიან კონკრეტული, ხელშესახები ქმედებებით - ადგილობრივი პარკების მოწყობით, ქალებისა და გოგონებისთვის ქუჩების უსაფრთხოების გაუმჯობესებით, სკოლების მიმდებარედ სატრანსპორტო ნაკადების უკეთ ორგანიზებით. სწორედ აქ შემოაქვთ სამოქალაქო აქტორებს პროცესში არა მხოლოდ შთამაგონებელი იდეები, არამედ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული, პრაქტიკული მიდგომები.

ამ გამოცდილებამ უკვე ნათლად აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოებას ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერაში „მდგრადი ურბანული განვითარების“ მიღწევის გზაზე. ეს ნიშნავს ადგილობრივად შთაგონებულ და ადგილობრივად მართულ განვითარებას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თქვენს მსგავს ქალაქებში განხორციელებული გეგმებისა და პროექტების სოციალურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ზემოქმედებებს შორის ბალანსის დაცვას.

◀ *ფეხით მოსიარულეები კვეთენ რუსთაველის და გრიბოედოვის ქუჩებს თბილისში*

ქალაქებში, სადაც გარემო მუდმივად იცვლება სამოქალაქო აქტორების მამოტივირებელი როლი დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქალაქები გვთავაზობს ახალ შესაძლებლობებს, უფრო დინამიკურ ადგილობრივ ეკონომიკას, მაღალი ხარისხის საჯარო ღია სივრცეებს, უფრო საიმედო და ხარჯთეფექტურ სერვისებს, როგორებიცაა წყალმომარაგება და ენერგო მომარაგება, ასევე ციფრულ ტექნოლოგიებს, რომლებიც მოქალაქეებსა და ხელისუფლებას სერვისების უკეთ მართვასა და მიწოდებაში ეხმარება.

ამავე დროს იქ, სადაც ქალაქები არასათანადოდ არის დაგეგმილი და მართული, მრავალი გამოწვევა კვლავ მოუგვარებელი რჩება. ეს შეიძლება გამოიხატებოდეს კლიმატის ცვლილების ზეგავლენისადმი ადაპტაციის საჭიროებაში - ტემპერატურის მატებასა ან წვიმით დატბორვის გაზრდილ რისკში, ქვეითებისა და ველოსიპედით მოსარგებლეებისთვის საფრთხის შემცველ გარემოში; ან ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საჯარო ღია სივრცეების დეფიციტში.

თქვენ, როგორც სამოქალაქო აქტორს, გაქვთ ადგილობრივ განვითარების პროცესებზე დაფუძნებული პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებებისა და მისწრაფებების მკაფიო ფორმულირებას. სწორედ ეს გამოცდილება ქმნის საფუძველს იმ ცვლილებებისთვის, რომლებიც რეალურ საჭიროებებს ეყრდნობა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, ხართ თუ არა:

- **საზოგადოებრივი ან სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც ქალაქის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ პრაქტიკულ მიდგომებს ავითარებს,**
- **თემის ლიდერი, აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფის წევრი, სტუდენტი ან ადამიანი, რომელმაც პირადი გამოცდილებით იცის ადგილზე არსებული პრობლემები,**
- **ადგილობრივი ბიზნესის ან სოციალური საწარმოს მმართველი, რომლის საქმიანობაც საზოგადოებრივ სარგებელს ქმნის,**
- **პროფესიული ასოციაციის წევრი, ურბანული განვითარების სფეროს პროფესიონალი, ან აკადემიური წრის წარმომადგენელი, შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით,**
- **ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც ეძებს, უფრო ეფექტიან მიდგომებსა და ინსტრუმენტებს სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის გასაძლიერებლად;**
- **ან უბრალოდ ცნობისმოყვარე მოქალაქე, რომელსაც სურს მეტი გაიგოს ქალაქის გაუმჯობესების შესაძლო გზებზე.**

თქვენი წვლილი უმნიშვნელოვანესია საქართველოში მდგრადი ურბანული განვითარების მხარდაჭერის პროცესში, ხოლო 'სიმბიოსითის' ინსტრუმენტების კრებული კი შექმნილია იმისთვის, რომ ამ გზაზე, პროცესის თითოეულ ეტაპზე პრაქტიკული მხარდაჭერა გაგიწიოთ.

რა არის 'სიმბიოსითი'?

'სიმბიოსითი' შეიქმნა შვედეთში, როგორც მეთოდი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო აქტორებს ეხმარება ქალაქებისა და დასახლებების მდგრადად დაგეგმვასა და განვითარებაში, როცა თითოეულ მხარეს აქვს ხმა და გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ეს პრაქტიკაში გამოცდილი, მრავალჯერ შემოწმებული მიდგომაა, რომელიც დღეს მსოფლიოს 30 ქვეყანაში გამოიყენება და ფართოდ მოქმედებს პარტნიორული ქსელის ფარგლებში.

მდგრადი ურბანული განვითარების პრინციპებისადმი ერთგულმა ადგილობრივმა თვითმმართველობამ, მერებმა, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციებმა, ასევე ადგილობრივმა მოსახლეობამ 'სიმბიოსითი' საკუთარ საჭიროებებსა და რესურსებს (დროსა და ფინანსებს) მოარგო, რათა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ ურბანული გარემოს ხარისხი და მოქალაქეთა ცხოვრების პირობები.

‘სიმბიოსითი’ მიდგომის სამი ტიპიური გამოყენება („სცენარი“) მოცემულია იმის აღსაწერად, თუ როგორ შეიძლება ამ მეთოდებისა და ინსტრუმენტების თქვენი საჭიროების მიხედვით გამოყენება *(იხილეთ გვერდები 43-55)*

თქვენი ქალაქის/ სამეზობლოს ხედვის შემუშავება

საჯარო სივრცის შექმნა

ფეხით და ველოსიპედის გადაადგილების ხელშეწყობა („ტაქტიკური გადაწყვეტები“)

აღნიშნული ერთიანი გადაწყვეტილებები მიზნად ისახავს თქვენს ქალაქში მაქსიმალური ეფექტის მიღწევას, რეალურ გაუმჯობესებას და რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, სხვადასხვა გამოწვევის ერთდროულად მოგვარების გზით. ამას ჩვენ **„ჰოლისტურ მიდგომას“** ვუწოდებთ. მაგალითად, საჯარო ღია სივრცის კეთილმოწყობამ შეიძლება ერთდროულად უპასუხოს სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს - ქალებისა და გოგონების, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების; ასევე შეიძლება მოხდეს ნარჩენების სეპარირების, მართვისა და წვიმის წყლის შეგროვების ინტეგრირება, რომელიც ქმნის სივრცეს და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებას შესაძლებელს გახდის, ეს პროცესი კი ასევე ხელს შეუწყობს ქალაქში გრილი ზონების შექმნას. წარმოდგენილი ინსტრუმენტთა ნაკრები მრავალ პრაქტიკულ საშუალებას გთავაზობთ, რომლებიც გაგიმარტივებთ ‘სიმბიოსითის’ ეტაპების განხორციელებას - გუნდის ორგანიზებიდან დაწყებული, პროექტირების/(დიზაინის) სემინარების დაგეგმვითა და ჩატარებით დასრულებული. ‘სიმბიოსითი’ შეიძლება გამოიყენოთ სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. იგი

‘სიმბიოსითი’ ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს - მიდგომას, რომელიც ყველას საჭიროებებს ითვალისწინებს. იგი მოქნილ, ექვსსაფეხურიან მეთოდოლოგიას გვთავაზობთ, რომელიც ადვილად ადაპტირდება სხვადასხვა მოთხოვნილების შესაბამისად. ის დაგეხმარებათ: თქვენი ხედვისა და პრიორიტეტების განსაზღვრასა და განხორციელებაში, მიდგომების სხვადასხვა ვარიანტების განხილვასა, და ‘ერთიანი (ინტეგრირებული) გადაწყვეტების დაგეგმვაში’.

დაგეხმარებათ, როგორც ქალაქის ან უბნის ადგილობრივად ინიცირებული და მართული სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიის მომზადებაში, ასევე კონკრეტული საკითხების გადაწყვეტასა და არსებული შესაძლებლობების ეფექტურ გამოყენებაში. მაგალითად ისეთი საკითხების, როგორებიცაა ღია სივრცისა და სათამაშო ზონის მოწყობა, ჰაერის დაბინძურების კონტროლი, მიუსაფარი ცხოველების მოვლა/პატრონობის წახალისება, ან

ფეხით/ველოსიპედით გადაადგილების პოპულარიზაცია.

მასშტაბისა და მიზნიდან დამოუკიდებლად, **'სიმბიოსითი' ყოველთვის გეხმარებათ პოზიტიურ გადაწყვეტილებაზე ორიენტირებული მიდგომის ჩამოყალიბებაში,** რომელიც თქვენი ხედვის გათვალისწინებით იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი თქვენი ქალაქის გაუმჯობესება?

ნებისმიერ ეტაპზე მნიშვნელოვანია დაფიქრდეთ: **რა ზეგავლენა და სარგებელი ექნება თქვენს მიერ არჩეულ სამოქმედო კურსს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე** — სწორედ ეს არის მდგრადი ქალაქების შექმნის არსი.

ამ ინსტრუმენტთა კრებულის გამოყენებისას გახსოვდეთ, რომ 'სიმბიოსითი' არის:

- პრაქტიკაში გამოცდილი და შემოწმებული მიდგომა - 'სიმბიოსითი' ქსელში დაგროვებული მდიდარი გამოცდილება და დოკუმენტირებული პრაქტიკაა, რომელიც შთაგონებასა და შემოქმედებით მიდგომებს გთავაზობთ.
- მდგრადი ურბანული განვითარებისადმი **ადაპტირებადი, მოქნილი მიდგომა,** რომელიც ნებისმიერ ადგილას შეიძლება გამოიყენოთ და 'სიმბიოსითის' ქსელს ახალი გამოცდილება შემატოთ.
- **თანამშრომლობაზე და თანამონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომა,** რომელიც მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის ურთიერთპატივისცემას და საერთო გადაწყვეტილებების შემუშავებას ურბანული განვითარების ნებისმიერ ეტაპზე.
- ინკლუზიური - ქალაქები ყველასთვისაა, რაც გულისხმობს მათში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების მრავალფეროვანი საჭიროებებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილებას.
- **პრაგმატული და პრაქტიკული მეთოდი,** რომელიც გადაწყვეტების მოძიებასა და შემუშავებაში დაგეხმარებათ.

თბილისის მრავალფენიანი ხედი - მკვრივი დაბალსართულიანი ქსოვილი, რომელიც თანამედროვე მაღალსართულიან შენობებთან და ახალ ურბანულ ფორმებთან ერთად ვითარდება

ურბანული დაგეგმარება და განვითარება სხვადასხვა დონეებზე



ქალაქის დონე

მაგალითად, აქ გამოდგება თქვენი ქალაქისთვის ადგილობრივ ხედვებზე დამყარებული განვითარების გეგმის მომზადება, რათა ურბანული გეგმების შემუშავებისას ადგილობრივების აზრი გათვალისწინებული იყოს. ასევე შესაძლებელია, კონკრეტული საკითხების (მაგ., საგზაო უსაფრთხოების, მწვანე სივრცეების, ფეხითა და ველოსიპედით გადაადგილების წახალისება) ან ქალაქის კამპანიების (მაგ., ხელმისაწვდომი საცხოვრებლის, დაბალი შემოსავლის მქონე პირთა დახმარების, ეკოლოგიურად სუფთა ქალაქის) მოსაგვარებლად გავლენის მოხდენის მქონე სტრატეგიების შემუშავება.

სამეზობლოს დონე

მაგალითად, ადგილობრივების მიერ შეთავაზებული სამეზობლო ხედვისა და გეგმის მომზადება, რათა გავლენა მოახდინოს ურბანული გეგმების გადახედვაზე ან შემუშავებაზე და პრიორიტეტულად განსაზღვროს გადაწყვეტის/პროექტების იდეები

აქტივობების დონე

მაგალითად, ახალი ან გარემონტებული საზოგადოებრივი პარკი, ახალგაზრდული კლუბის შექმნა, ხანდაზმული მოქალაქეების შეხვედრების ადგილის გაჩენა, დროებითი ბაზრები ღია-ცის ქვეშ და "ტაქტიკური გადაწყვეტების" ინსტალაცია, რომელიც სწრაფად განხორციელებადია თუმცა უფრო გრძელვადიანი ცვლილებებისთვის ხედვის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს

როგორ შეუძლია 'სიმბიოსითის' თქვენი დახმარება?

როგორც მოტივირებული სამოქალაქო ლიდერი, შესაძლოა ძალიან დაკავებული იყოთ და დრო შეზღუდული გქონდეთ. 'სიმბიოსითის' მეთოდი სწორედ ამას ითვალისწინებს. თქვენ შეგიძლიათ მარტივად მოირგოთ მეთოდში მოცემული ინსტრუმენტები თქვენი პრიორიტეტებისა და საჭიროებების მიხედვით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- რა მასშტაბის პრობლემას აგვარებთ: გსურთ ქალაქის მასშტაბით არსებული რამდენიმე პრობლემა მოაგვაროთ, თუ მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხი (მაგალითად: ჰაერის დაბინძურებაზე, ზაფხულში ტემპერატურის მატების, ახალგაზრდული სივრცეების შექმნის, კულტურული მემკვიდრეობის დაცის, ან ტურიზმის უკეთ მართვის საკითხებზე).
- **პრობლემის მოგვარების რომელ ეტაპზე იმყოფებით** - ახლა იწყებთ საკითხის მოგვარებას თუ უკვე გაქვთ ჩამოყალიბებული იდეები და ხედვა, და გსურთ მისი განხორციელება?

'სიმბიოსითის' მიდგომა საკმაოდ მოქნილია და შეგიძლიათ:

- **გამოიყენოთ** მისი ინსტრუმენტები ფასილიტატორის დახმარებით ან დამოუკიდებლად;
- **მოირგოთ** მეთოდი თქვენი გარემოებებისა და რესურსების შესაბამისად, რათა თქვენი წვლილი ინკლუზიური ურბანული განვითარების პროცესში მაქსიმალურად გაიზარდოს;
- **შეიმუშავოთ** თქვენთვის საუკეთესო მიდგომები და შეარჩიოთ ყველაზე შესაბამისი ინსტრუმენტები.

'სიმბიოსითი' დაგეხმარებათ:

- გადაწყვეტების ფართო სპექტრის იდენტიფიცირებაში, შემუშავებისა და განხორციელებაში;
- სხვადასხვა გეოგრაფიული მასშტაბის განსაზღვრაში - მთელი ქალაქის დონიდან დაწყებული, კონკრეტული უბნით, განსაზღვრული ტერიტორიული ერთეულით (როგორიცაა ბუნებრივი სივრცე), ერთი ქუჩით, ან მცირე არეალით დასრულებული;
- როგორც გრძელვადიანი პერსპექტივისთვის (მაგ., ქალაქის ან უბნის დონეზე ადგილობრივად ინიცირებული ხედვებისა და გეგმების შემუშავება), ისე სწრაფი და მიზნობრივი ინიციატივებისთვის (მაგ., სადისკუსიო ჯგუფის ჩამოყალიბება პრიორიტეტულ საკითხზე: როგორიცაა საგზაო უსაფრთხოება, ან მწვანე საფარის აღდგენა)
- **ფიზიკური გადაწყვეტების** იდენტიფიცირებისას და შემუშავებისას (მაგალითად, პარკის განახლებისას ან წყალდიდობისგან დამცავი ინფრასტრუქტურის მოწყობისას) ასევე **არაფიზიკური გადაწყვეტების** მოსამზადებლად (მაგალითად, „უფრო სუფთა ქალაქის" კამპანიისა, ან სამეზობლოს ოფიციალური შეთანხმებისას, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების გეგმებზე გავლენის მოსახდენად იქმნება).
- როგორც მაღალტექნოლოგიური და მაღალბიუჯეტიანი **გადაწყვეტების** განსაზღვრისას (მაგალითად, ციფრული ინოვაციების, მოქალაქეთა მონაწილეობის გასაძლიერებლად; წყალდიდობისგან დაცვის სისტემების ან განახლებად ენერგიებზე დაფუძნებული სისტემების მოსაწყობად), **ასევე დაბალტექნოლოგიური და დაბალბიუჯეტიანი ინიციატივებისთვის** (მაგალითად, ხეების დარგვის, სამეზობლოს გამწვანების ან ფერმერებისთვის დროებითი პროდუქტის სარეალიზაციო გარე-ბაზრობის ორგანოზება).

გამოყენების მასშტაბის მიუხედავად, 'სიმბიოსითი' ხელს უწყობს და მხარს უჭერს პოზიტიურ, გადაწყვეტაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია თქვენს ხედვაზე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება თქვენი ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

რა პრინციპებს ეფუძნება 'სიმბიოსითი'?

'სიმბიოსითი' ერთ ფუნდამენტურ იდეას ეყრდნობა - **კარგი ურბანული დაგეგმარება და განვითარება უნდა იყოს ინკლუზიური** და უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების ყველა წევრის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

ამ პროცესს თან უნდა ახლდეს იმის გაცნობიერება, რომ ქალაქებსა და უბნებს ადამიანები სხვადასხვაგვარად იყენებენ - ასაკის, სქესის, შესაძლებლობების, შემოსავლისა და ცხოვრების წესის მიხედვით. შესაბამისად, მათი საჭიროებები განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, ქალაქის გარემოსა და სერვისების დაგეგმვისას ეს მრავალფეროვნება ხშირად უგულებელყოფილია. განსაკუთრებით ნაკლებად ისმის ქალების, გოგონების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხმა, რაც საფრთხის შემცველ, არაადაპტირებულ გარემოს ქმნის და საბოლოოდ - მათი მოწყვლადობის გაზრდის მიზეზი ხდება (მაგალითად, ქუჩებისა და ტრანსპორტის ქსელის მოწყობისას, საჯარო დაწესებულებებისა ადაპტირებისას და საზოგადოებრივი ღია სივრცეების დაგეგმვისას).

ყველასთან ერთად და ყველასთვის დაგეგმვა ყველასთვის ხელშესახებად სარგებლიანია.

'სიმბიოსითი' ემყარება მიდგომას, რომელიც ურბანული გადაწყვეტების შემუშავებისას სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებას გულისხმობს. ამგვარი ინკლუზიური მიდგომა ხელშესახებად სარგებლიანია:

- **გადაწყვეტების უკეთესი შესაბამისობა** - როდესაც განსხვავებული ჯგუფების საჭიროებები გათვალისწინებულია, შედეგები უფრო ეფექტური და გამოყენებადია (მაგალითად, თუ სივრცე უსაფრთხო და კომფორტულია მცირეწლოვანი ბავშვისთვის, ის უსაფრთხოა ყველასთვის).
- **სარგებლის მაქსიმიზაცია** - ინკლუზიური და ხელმისაწვდომი სივრცეები და სერვისები უფრო ფართო მხარდაჭერით სარგებლობს და მოქალაქეები უფრო მეტად არიან მზად, გამოიყენონ და დააფინანსონ ისინი.
- **თანასწორობის ხელშეწყობა და სიღარიბის შემცირება** - სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების მიზანმიმართული გათვალისწინების გზით.
- **მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერა** - რადგან გადაწყვეტილებები დაგეგმილია არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის, არამედ მათთან ერთად.
- **განხორციელების გამარტივება** - პროცესში ჩართულობა აძლიერებს თანასაკუთრების განცდას და ამცირებს კონფლიქტებს.
- **მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება** - ქალების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინება მათ კიდევ უფრო შესამჩნევს ხდის და ჩართულობის ინკლუზიურობას ზრდის.

თქვენი გზა 'სიმბიოსითიში' აქ იწყება

ეს ინსტრუმენტების კრებული გთავაზობთ პრაქტიკულ მეთოდებსა და ხელსაწყოებს, რომლებიც შეგიძლიათ შერჩევითად გამოიყენოთ - თქვენი კონკრეტული საჭიროებების, კონტექსტისა და რესურსების მიხედვით. ის დაგეხმარებათ:

- სხვებთან ერთად გადაწყვეტილებების შემუშავებაში;

სახელმძღვანელო მოკლედ

1 **'სიმბიოსითი' და თქვენ** | გაცნობთ 'სიმბიოსითის' მიდგომას თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება საქართველოში და როგორ შეძლებთ სახელმძღვანელოს გამოყენებას თქვენი საჭიროებების მიხედვით

2 **მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში** | გაცნობთ საქართველოს ქალაქმშენებლობის სისტემას, ურბანული განვითარების მთავარ პრობლემებსა და შესაძლებლობებს, ასევე შესაძლო გადაწყვეტებს

3 **'სიმბიოსითი' ეხმარება სამოქალაქო აქტორებს ადგილობრივების მიერ მართულ, ქართულ კონტექსტზე მორგებულ მდგრად ურბანულ განვითარებაში** | აყალიბებს ადგილობრივად მართულ განვითარების პრინციპებს:

4 'სიმბიოსითის' ნაბიჯები

01 ლიდერობა | **02** თანამშრომლობა | **03** ზეგავლენის მოხდენა

აღწერს 'სიმბიოსითის' ეტაპებს თუ როგორ შეგიძლიათ მათი გამოყენება თქვენი საჭიროებების მიხედვით:

5 **'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მათი გამოყენება** | გაცნობთ ინსტრუმენტების ფართო სპექტრს 'სიმბიოსითის' მიდგომის მხარდასაჭერად და იმას, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება სხვადასხვა გარემოებაში

- ადგილობრივად ინიცირებული პროცესების მართვაში;
- თქვენს ქალაქში მდგრადი ურბანული განვითარების მხარდაჭერაში.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული შთამაგონებელი მაგალითები გაგიადვილებთ 'სიმბიოსითის' მიდგომის გააზრებასა და ადგილობრივ რეალობაზე მორგებას. ინსტრუმენტთა ეს ნაკრები პროცესის ეპიცენტრში გაყენებთ და უზრუნველყოფს, რომ თქვენი გამოცდილება იყოს პრაქტიკული, კონტექსტზე მორგებული და შედეგზე ორიენტირებული.

ამის გათვალისწინებით უნდა ელოდეთ, რომ მიაღწევთ:

- **უკეთეს გეგმებსა და პროექტებს**, რომლებიც რეალურად პასუხობს მოქალაქეთა საჭიროებებს;
- **გაძლიერებულ თანამშრომლობას** სხვადასხვა აქტორს შორის, რაც რესურსების უკეთ მობილიზებასა და ინოვაციური გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს;
- **ძლიერ სამოქალაქო აქტორებსა და თემის მოსახლეობას**, რომლებსაც პროცესის თანასაკუთრების განცდა აქვს და აქტიურად მონაწილეობს შედეგების მიღწევაში.

ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი, Love to Ride Batumi


ზარგეთი
1850
1900
1950
2000
2100
2050
2150
ზღვის თავი
2121
ხარიათავის
დასახლება
ბურო
აჭარის ა.რ.
მდ. ოხემ-ღელე
თავიპატარას
დასახლება
თაპატარას
დასახლება
2090
2130
მდ. ბჟუჟა

02

URBANULI GANVITAREBA SAQARTVELOSHI

როგორც ქვემოთაა განმარტებული, საქართველოში ქალაქების ფიზიკური განვითარების წარმართვის მთავარ ინსტრუმენტს ურბანული გეგმა წარმოადგენს. თქვენს ქალაქს შესაძლოა უკვე ჰქონდეს ასეთი გეგმა, იმყოფებოდეს მისი შემუშავების პროცესში, ემზადებოდეს მასზე მუშაობის დასაწყებად, ან განიხილავდეს არსებული ვერსიის გადახედვას. ამ თავში ახსნილია, როგორ ფუნქციონირებს დაგეგმარების სისტემა საქართველოში და როგორ შეძლებთ მონაწილეობის მიღებას თქვენი თემისთვის გეგმების შემუშავებაში. თუმცა, ჩვენი ქალაქების მომავალი მხოლოდ დაგეგმარებაზე არ არის დამოკიდებული, იგი ასევე ისეთ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, როგორებიცაა საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა, გარემოს ადაპტაცია კლიმატის ცვლილებებისადმი, ასევე სოციო-ეკონომიკური დაგეგმარებისა და მართვის გავლენა. აქ წარმოგიდგენთ აღნიშნულ საკითხებს, განვიხილავთ შესაძლო გადაწყვეტილებებს და მოვუწოდებთ ყველა სამოქალაქო აქტორს, რომ აქტიურად ჩაერთოს მდგრადი ურბანული განვითარების პროცესში.

◀ *გომის მთის განვითარების გეგმა. საფრთხის რისკის ზონებისა და შეზღუდვების რუკა*

როგორ ფუნქციონირებს დაგეგმარების სისტემა საქართველოში?

დაგეგმარების სისტემის ფუნქციონირების ცოდნა დაგეხმარებათ უკეთ გაიგოთ, თუ როგორ შეგიძლიათ ჩაერთოთ ურბანული დაგეგმარების პროცესში და როგორ მოახდინოთ მასზე გავლენა (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ამ თავის ბოლოს წარმოდგენილი **ჯიბის გზამკვლევი საქართველოში ურბანული დაგეგმარების, გეგმებისა და განვითარების შესახებ**). საქართველოში დაგეგმარება, განვითარება, არქიტექტურა და სამშენებლო საქმიანობა რეგულირდება და იმართება კანონით (საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი).

სივრცითი და ურბანული დაგეგმარების პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია **სივრცითი და ურბანული განვითარების ეროვნული სააგენტო (SUDA)**, რომელიც უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სივრცითი და ურბანული დაგეგმარების დოკუმენტების მომზადებასა და კოორდინაციაში და გეგმების სხვადასხვა ნაწილის საექსპერტო შეფასება უზრუნველყოს. თუმცა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, **მუნიციპალიტეტები არიან პასუხისმგებელნი სივრცითი და ურბანული განვითარების გეგმების შემუშავებასა და**



▶ *ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, კონცეპტუალური ფაზა. ზონირების რუკა*


გურჯაანის
მუნიციპალიტეტი
სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფცია
№
09
ალაზანი
ალაზანი
ალაზანი

ქართული ქალაქშენებლობითი სისტემის მიმოხილვა



კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების, მათ შორის, ბუნებრივი საფრთხეების გათვალისწინების არსებული მოთხოვნები ზოგადი და არასაკმარისია რისკების შესამცირებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. კოდექსით გათვალისწინებული არ არის ქალაქების ნახშირბადის ზემოქმედების შემცირება, ან მდგრადი ურბანული განვითარების პრინციპების დანერგვა. მიწის ნაკვეთზე მინიმალური წყალგამტარი ზედაპირის მოთხოვნები, ან შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონმდებლობა სათანადოდ ვერ პასუხობს იმ გარემოსდაცვით გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას ურბანული ტერიტორიები. დაგეგმარების პროცესები ხანგრძლივია და მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს

მოითხოვს, ასევე ხშირად ფერხდება ადმინისტრაციული გადაფარვების გამო (მაგალითად, გარემოს სტრატეგიული შეფასების პროცედურებთან თანხვედრის შედეგად).

გეგმების შემუშავების პროცესში **საზოგადოების მონაწილეობა კანონით სავალდებულოა**, თუმცა ხშირად არაეფექტურია.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სისუსტეს წარმოადგენს ის, რომ საზოგადოების ჩართულობა არ არის სავალდებულო დაგეგმარების უმნიშვნელოვანეს საწყის ეტაპზე (კერძოდ, გეგმის ინიცირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას). როგორც კონცეფციის, ისე საბოლოო გეგმის წარდგენის ეტაპებზე საზოგადოებრივი განხილვები სავალდებულოა, თუმცა ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ ვებგვერდებზე გამოქვეყნების, ან ადგილობრივი შეტყობინებების საშუალებით ხშირად არასაკმარისია.

მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში გამართული ოფიციალური საჯარო მოსმენები შეზღუდულ შედეგებს იძლევა, ამასთან კომპლექსური გეგმები საზოგადოების ფართო ნაწილისათვის რთულად გასაგებია; მოქალაქეთა უმრავლესობა ძირითადად მხოლოდ საკუთარი განაშენიანების უფლებებით ინტერესდება.

ამ პირობებში არსებობს იმის მკაფიო საჭიროება, რომ განვითარებისა და დაგეგმარების პროცესში გაფართოვდეს და განვითარდეს მოქალაქეთა ჩართულობა და ინსტრუმენტები, ხოლო წინამდებარე ინსტრუმენტთა კრებული წარმოგიდგენთ იმ გზებსა და მიდგომებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამის მიღწევა.

თქვენმა ძალისხმევამ შესაძლოა ხელი შეუწყოს დაგეგმარების სისტემაში არსებული გამოწვევების დაძლევას და გააუმჯობესოს ქალაქის გეგმები, პოლიტიკა და **გადაწყვეტილებები**, რომლებიც შემუშავებულია ***ადამიანებისთვის*** და **ადამიანებთან *ერთად***. თქვენ შემდეგნაირად შეგიძლიათ დადებითი წვლილის შეტანა:

- თქვენი ქალაქისა და პრიორიტეტების შესახებ უკეთესი, რეალურ გარემოებაზე დაფუძნებული მონაცემების მიწოდებით მუნიციპალიტეტებისთვის და გეგმების შესამუშავებლად დაქირავებული კონსულტანტების დასახმარებით.
- **უფრო ხარისხიანი და ეფექტური მონაწილეობის მხარდაჭერით**, რაც შესაძლებელია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის ორგანიზებით და გეგმის შემუშავების პროცესის დაწყებიდანვე თემის ინტერესების წარმოჩენით.
- **ინტეგრაციის აქტიური მხარდაჭერით** პრიორიტეტულ გამოწვევებზე მორგებული პრაქტიკული **გადაწყვეტილებების** იდენტიფიცირებისა და შემუშავების მეშვეობით, რომელთა გაერთიანებაც შესაძლებელია ურბანულ გეგმებში (მაგალითად, დაბალხარჯიანი **გადაწყვეტილებები**, რომელთა განხორციელებაც შედარებით მარტივია და რომლებიც ძირითადად მიმართულია საჯარო ღია სივრცეების გაუმჯობესებისა და სოციალური აქტივობებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე)

ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად გვაქვს, რადგანაც უკვე არსებობს კარგი და ინოვაციური პრაქტიკის მაგალითები:

1. **დუშეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში** ჩატარდა სტუდენტური სამუშაო სემინარი და კომუნიკაციისთვის სოციალური მედია გამოიყენეს, რამაც ახალგაზრდების უფრო ფართო მონაწილეობა უზრუნველყო. **დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მეშვეობით** (ADB, მსოფლიო ბანკი, GIZ) თანამონაწილეობის უფრო მძლავრი და სისტემური პროცესები დაინერგა.
2. **ბათუმის ძველი ქალაქის კონცეფციის მომზადების პროცესში (GIZ)** ჩატარდა სემინარები სტუდენტების, მუნიციპალური უწყებების წარმომადგენლების, აქტივისტების, ველოსიპედისტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირების, ამხანაგობების თავმჯდომარეებისა და ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით - უკუკავშირის მისაღებად გაიმართა საზოგადოებრივი პრეზენტაცია ღია სივრცეში (პროექტი დაფინანსებული იყო GIZ-ის მიერ).

3 **თბილისში კოტე აფხაზის ქუჩის რეაბილიტაციის პროცესში** არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მოსახლეობა და პროფესიონალები ჩართულნი იყვნენ უწყვეტ დიალოგში, რამაც ხელი შეუწყო ნდობის ჩამოყალიბებას და განხორციელების პროცესის გამარტივებას.

► *დუშეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სემინარი დუშეთის ახალგაზრდულ ცენტრთან თანამშრომლობით, დუშეთის ახალგაზრდული ცენტრი, Facebook*

► *ბათუმის ძველი ქალაქის უბნის კონცეფციის შემუშავების სემინარი სამოქალაქო აქტორებთან ერთად, ირაკლი ჟვანია*

როგორ იმართება ქალაქები?

ქალაქების მართვა სცდება დაგეგმარების სისტემას. ურბანული მართვის პასუხისმგებლობების ფართო სპექტრი, მუნიციპალიტეტის ზომის მიხედვით, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს ეკისრება. დიდ ქალაქებში ეს მოიცავს ურბანული დაგეგმარების, არქიტექტურისა და მშენებლობის ნებართვების, ტრანსპორტის, გარემოსა და მწვანე სივრცეების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის, ნარჩენების მართვის, იურიდიული საკითხების, სპორტისა და კულტურის, ახალგაზრდობისა და განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ეკონომიკური განვითარების, ფინანსებისა და შესყიდვების მიმართულებით პასუხისმგებელ დეპარტამენტებს. უფრო მცირე და ნაკლებად ურბანიზებულ მუნიციპალიტეტებში დეპარტამენტები შესაძლოა გაერთიანებული იყოს და ერთდროულად ურბანული მართვის რამდენიმე ფუნქციას ფარავდეს.

მუნიციპალიტეტის საზღვრებში ხშირად შედის მიწა ან ინფრასტრუქტურა, რომლის მართვა ან მოვლა ეროვნულ სააგენტოებსა და სამინისტროებს ეკისრებათ (მაგალითად, ეროვნული პარკები, სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზები და მილსადენები). ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული აქტივების მართვის დელეგირება შესაძლოა მოხდეს ეროვნული დონიდან მუნიციპალურ ხელისუფლებაზე, როგორც ეს ხდება თბილისში კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების შემთხვევაში. ქალაქების ურბანულ მართვაში კერძო სექტორსაც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, იგი ქალაქს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებით უზრუნველყოფს, როგორებიცაა ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, წყალმომარაგებისა და ტელეკომუნიკაციების მიწოდება. ასევე მომსახურების შესყიდვების მეშვეობით საჯარო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და ტექნიკურ მომსახურებას ახორციელებს (მაგალითად, გზებისა და სკოლების).

„დიღმის ჭალები“: გარემოს დაცვა

2020 წლიდან სამოქალაქო ინიციატივა „დიღმის ჭალები“ თბილისის ბოლო შემორჩენილი მდინარისპირა ტყისა და მდელოს ეკოსისტემის კერძო განაშენიანებისგან დასაცავად იბრძვის. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, მტკვრის სანაპიროზე მდებარე ეს მწვანე არეალი, ქალაქის ველური ბუნებისთვის იშვიათ თავშესაფარს წარმოადგენს, მათ შორის მრავალი წითელ ნუსხაში შეტანილი და დაცული ფრინველის, ძუძუმწოვრის, ამფიბიისა და მცენარის სახეობისთვის.

მდინარისპირა მდებარეობის გამო, კერძო სამშენებლო კომპანიები ამ ტერიტორიას სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელად და ხრეშის უკანონოდ მოსაპოვებლად იყენებდნენ. ამის საპასუხოდ, ჯგუფმა ადგილობრივი თემის მობილიზება შეძლო, წამოიწყო სამართლებრივი დავა და ამასთან ლანდშაფტის რეაბილიტაციის სტრატეგიული ხედვაც კი შეიმუშავა.

ბრძოლა გრძელდება, თუმცა „დიღმის ჭალები“ უკვე იქცა გარემოსდაცვითი სოლიდარობისა და სამოქალაქო შეუპოვრობის სიმბოლო. დღეს ტერიტორიაზე იმართება ექსკურსიები, საგანმანათლებლო ღონისძიებები და საჯარო დისკუსიები, რომელთა მიზანია ინფორმირებულობის ამაღლება და ამ უნიკალური ჭალის ეკოსისტემის დაფასების ხელშეწყობა, რითაც აქტივიზმი განათლებად გარდაიქმნება, ხოლო ბუნების ამ საგანძურის დაცვა - ყველა ჩვენგანის მისწრაფებად.

წყარო: https://www.facebook.com/Dighomimeadows; https://www.radiotavisupleba.ge/a/31191694.html

ურბანული დაგეგმარება, განვითარება და მენეჯმენტი კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი ურბანული განვითარების მიღწევის პროცესში

მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმარებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტებსა და მთავრობის წარმომადგენლებს ეკისრებათ, ურბანული განვითარება მრავალი განსხვავებული აქტორის, მათ შორის თქვენი მონაწილეობითაც ყალიბდება. ცვლილებები ხორციელდება არა მხოლოდ სახელმწიფო პროექტების ფარგლებში (მაგალითად, გზების, წყალმომარაგებისა და ენერგომომარაგების სფეროში), არამედ ადგილობრივი ბიზნესის საქმიანობისა და თემზე დაფუძნებული ინიციატივების შედეგადაც.

ვინ არიან დაგეგმარების პროცესის მთავრი აქტორები?

საჯარო სექტორი:

საქართველოში 5 თვითმმართველი ქალაქი და 59 მუნიციპალიტეტია, რომელთაც ჰყავთ არჩეული მერები (აღმასრულებელი ხელისუფლება) და საკრებულოები (წარმომადგენლობითი ორგანო). ქალაქები და მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელნი არიან მუნიციპალური მომსახურებებისა და ტრანსპორტის მართვაზე, აგრეთვე სივრცითი და ურბანული გეგმების დამტკიცებაზე. თუმცა, სოფლის მუნიციპალიტეტები დაგეგმარების სფეროში კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტს განიცდიან და მნიშვნელოვანად არიან დამოკიდებული **სივრცითი და ურბანული განვითარების ეროვნული სააგენტოს (SUDA)** მხარდაჭერასა და მეთოდურ ხელმძღვანელობაზე.

კერძო სექტორი:

ბიზნესები და ინვესტორები ურბანული განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, როგორც ქალაქების, ისე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, ასევე სერიოზულ გავლენას ახდენენ ურბანულ პოლიტიკაზე და აქტიურად ლობირებენ საკუთარ ინტერესებს.

ოფიციალური სატენდერო პროცედურების მეშვეობით ხდება არქიტექტურული და დაგეგმარების კომპანიების შერჩევა სივრცითი და ურბანული გეგმების შესამუშავებლად, რომლებსაც შემდეგ წარუდგენენ მუნიციპალიტეტებს, **სივრცითი და ურბანული განვითარების**

დიღმის ჭალების უნიკალური ეკოსისტემა, მწვანე ალტერნატივა

ეროვნულ სააგენტოს (SUDA), შესაბამის სამინისტროებსა და სააგენტოებს. კერძო კონსულტანტების წახალისება შესაძლებელია ადგილობრივი თემების აქტიური წევრებისა და სხვა სამოქალაქო აქტორების მხრიდან, რათა გაფართოვდეს თანამონაწილეობითი პროცესები ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოქალაქეთა უფრო ღრმა ჩართულობას უზრუნველყოფს.

სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები (CSO/NGO):

საქართველოში მრავალფეროვანი **სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციებია**. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ მმართველობაში და აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი დემოკრატიის, დეცენტრალიზაციის, გარემოს დაცვის, მობილობის, ინკლუზიურობისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროების ადვოკატირების პროცესებში. 2024 წლამდე საერთაშორისო პარტნიორებისა და პროექტების მხარდაჭერით მათ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს ჩაუტარეს გარკვეული სწავლებები ურბანული განვითარების საკითხებზე (გარემოს დაცვა, მობილობა, ცხოვრების ხარისხი, კულტურული მემკვიდრეობა, ინკლუზიურობა). თუმცა, **სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს** მეტი რესურსი და შესაძლებლობების გაძლიერება ესაჭიროებათ, მდგრადი ურბანული განვითარების პროცესში ეფექტურ სამოქალაქო აქტორებად ჩამოსაყალიბებლად.

აკადემიური სფერო:

საქართველოში ამჟამად ურბანული დაგეგმარების მიმართულებით საგანმანათლებლო შეთავაზებები შეზღუდულია თუმცა უნივერსიტეტები ქვეყნის დაგეგმარებითი შესაძლებლობების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. რამდენიმე უნივერსიტეტს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები აქვს ურბანისტიკასა და ურბანულ განვითარებაში. ზოგიერთი უნივერსიტეტების არქიტექტურის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში გაერთიანებულია ურბანული დაგეგმარების კომპონენტები, თუმცა ამ პროგრამების უმეტესობა ძირითადად ინტეგრირებულია არქიტექტურულ სწავლებასთან და უფრო მეტად დიზაინზეა ორიენტირებული.

რაში მდგომარეობს ურბანული განვითარების მთავარი გამოწვევები?

წარმოგიდგენთ საქართველოში ურბანული განვითარების ძირითად გამოწვევებს და მათზე შესაძლო რეაგირების გზებს. ადგილზე არსებული ვითარების თქვენი ცოდნის გათვალისწინებით, თქვენ ყველაზე უკეთ შეგიძლიათ ამ ჩამონათვალის შევსება და დაზუსტება, ასევე იმის განსაზღვრა, თუ რომელი საკითხებია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, და კონცენტრირდეთ თქვენი პრიორიტეტული გამოწვევ(ებ)ის იდენტიფიცირებასა და მოგვარებაზე.

კლიმატის ცვლილება და გარემო

◀ *ზღვის შტრომი ბათუმში, ბათუმის ბულვარი, Facebook*

კლიმატის ცვლილების საკითხებზე დაბალია საზოგადოების ინფორმირებულობა. თბური ტალღები და ხანმოკლე, ინტენსიური ნალექები სულ უფრო ხშირად აზიანებს ქალაქებს, რაც მეწყრებსა და უეცარ წყალდიდობებს იწვევს. ბუნებრივი საფრთხეების რისკის მქონე ზონებში განხორციელებული განაშენიანება საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. მყინვარების დნობა მრავალი მთიანი დასახლებისთვის ღვარცოფებისა და წყალდიდობების რისკს ქმნის. რამდენიმე ქალაქსა და დაბაში ჰაერის დაბინძურება ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს (ავტომობილების გამონაბოლქვი თბილისში, ცემენტის ქარხანა კასპში, სამთო-მოპოვებითი საქმიანობა ჭიათურაში). პრაქტიკულად არ ხორციელდება ნარჩენების სეპარაცია და გადამუშავება.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ კლიმატის ცვლილებაზე ორიენტირებულ დაგეგმვას, რაც მისი ზემოქმედებისა და რისკების გააზრებას მოითხოვს;
- ✓ ურბანულ გეგმებში ბუნებრივი საფრთხეების კვლევების ინტეგრირებას;
- ✓ მწვანე სივრცეების ხარისხისა და რაოდენობის გაზრდას;
- ✓ წყალგამტარი ზედაპირის ფართობის გაზრდას;
- ✓ მდგრადი სადრენაჟო **გადაწყვეტილებების** დანერგვას;
- ✓ ქალაქში დაჩრდილული სივრცეების გაზრდას ხეების დარგვისა და ტენტების გამოყენებით;
- ✓ ნარჩენების გადამუშავების ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ✓ 'შეამცირე, ხელახლა გამოიყენე, გადაამუშავე' პრინციპების პოპულარიზაციას სათემო კამპანიების მეშვეობით;
- ✓ ავტომობილების გამონაბოლქვისა და სამშენებლო მტვრის მართვას;
- ✓ ბუნებრივი ლანდშაფტის ცვლილების შეზღუდვას;
- ✓ სახურავებიდან და ზედაპირული ჩამონადენიდან წვიმის წყლის შეგროვებას;
- ✓ მწვანე სახურავების შექმნას;
- ✓ კლიმატური რისკებისა და საფრთხეების შემცირების გეგმების შემუშავებასა და მართვას (სამოქალაქო აქტორების მოთხოვნა).

დიდ ქალაქებში გადაჭარბებული განაშენიანება (თბილისი, ბათუმი)

◀ *მტვრიანი და ქაოსური განაშენიანების მქონე თბილისი, ჩემი ქალაქი მკლავს, Facebook*

მაღალი სიმჭიდროვის განაშენიანება, რომელიც სცდება ნებადართული განაშენიანების სტანდარტებს, გადატვირთულ უბნებს ქმნის, სადაც ბუნებრივი

◀ *ბათუმის ხედ-ხედი, გიგა ქოქოლაძე, Facebook*

განათება და ჰაერის ცირკულაცია შეზღუდულია, ხშირდება საავტომობილო საცობები, უარესდება ჰაერის ხარისხი და მწვავდება სოციალური პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია სეგრეგაციის გაღრმავებით, ძვირადღირებული, დახურული საცხოვრებელი კომპლექსების ზრდის ფონზე. ამგვარ დასახლებებში მცირდება საჯარო ღია და მწვანე სივრცეები, არასაკმარისადაა უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამტარუნარიანობა არადამაკმაყოფილებელია.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ ნებადართული განაშენიანების სტანდარტების მკაცრ აღსრულებას
- ✓ შესაბამისი სტანდარტების დადგენას ჯანსაღი გარემოსთვის
- ✓ საზოგადოებრივი ტრანსპორტის არჩევანის გაფართოებას
- ✓ ქვეითად და ველოსიპედით გადაადგილების ინფრასტრუქტურის დაგეგმვასა და უზრუნველყოფას
- ✓ სოციალური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას
- ✓ საჯარო ღია და მწვანე სივრცეების შექმნას
- ✓ კერძო ინტერესთან შედარებით პრიორიტეტის საჯარო ინტერესისთვის მინიჭებას
- ✓ დეველოპერებისთვის დამატებითი კოეფიციენტების მინიჭების საკითხის განხილვისას მუნიციპალური საბჭოს სხდომებში მონაწილეობას და კანონით გათვალისწინებული დასაბუთების მოთხოვნას

ურბანული განშლა

ქალაქგარეთ, განაშენიანებული საზღვრების მიღმა ბუნებრივი ლანდშაფტების ხარჯზე ახალი-უმეტესწილად საცხოვრებელი დანიშნულების არეალების ფორმირება მიმდინარეობს. რაც ზრდის ავტომობილებზე დამოკიდებულებას და სატრანსპორტო გადატვირთვასა და ჰაერის დაბინძურებას უწყობს ხელს. ასეთ დასახლებებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი არასაკმარისად ემსახურება, ხოლო ინფრასტრუქტურის შეზღუდულ უზრუნველყოფას შედეგად მდიდრული და იზოლირებული თემების ჩამოყალიბება მოჰყვა.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ ურბანული განშლის გამომწვევი განაშენიანების შეზღუდვას
- ✓ კომპაქტური ქალაქის მიდგომის პუპულარიზებას ქვეითად გადაადგილებაზე მორგებული უბნებით
- ✓ არსებული განაშენიანების საზღვრების დაცვას
- ✓ ბუნებრივი ლანდშაფტების განვითარებასა და დაცვას
- ✓ ურბანულ განშლასთან დაკავშირებული პროექტებისთვის ზოგადი ზემოქმედების შეფასებების ჩატარებას (სამოქალაქო აქტორების მიერ) და მათი საზოგადოებისთვის წარდგენას

დემოგრაფიულ კლებაში მყოფი ქალაქები

ბევრი რაიონული ცენტრი და მცირე ზომის ქალაქი განიცდის ეკონომიკურ დაკნინებას, რასაც შედეგად მოსდევს ინფრასტრუქტურის გაუარესება, მოსახლეობის კლება და ადამიანური კაპიტალის დაკარგვა.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ დეცენტრალიზებული მმართველობის გაძლიერებას (მაგალითად, უფრო ეფექტიან შიდამუნიციპალურ ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ადგილობრივი საჯარო მოხელეების შესაძლებლობების განვითარებას)
- ✓ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას, რომელიც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საჭიროებებზეა მორგებული
- ✓ სტრატეგიულ დაგეგმვას, არსებული, მაგრამ ჯერ კიდევ აუთვისებელი კონკურენტული უპირატესობების ეფექტურად გამოსაყენებლად

ეკონომიკური განვითარება და დასაქმება

თბილისი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი და მთავარი ეკონომიკური ცენტრი, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტს ქმნის და მასში ქვეყნის მოსახლეობის



◄ *თევზაობა ბევრისთვის, როგორც გასართობი თუ შემოსავლის წყარო ზღვისპირა ქალაქ ბათუმში*

დაახლოებით ერთი მესამედი ცხოვრობს. ბათუმთან ერთად ეს ქალაქები დასაქმების ყველაზე მიმზიდველ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. ასეთი ასიმეტრიული ეკონომიკური განვითარება საქართველოს მრავალ რეგიონსა და ქალაქში (თბილისისა და ბათუმის გარდა) სტაგნაციას იწვევს და ისეთ მიდგომას მოითხოვს, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ სადაც ეს შესაძლებელია, ადგილობრივი ეკონომიკების დივერსიფიცირებას
- ✓ შიდა და უცხოური ინვესტიციების წახალისებას
- ✓ პროდუქტიულობის ზრდაზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურული ინვესტიციების განვითარებას
- ✓ მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას
- ✓ რეგიონული ეკონომიკური განვითარების განხორციელებას

საცხოვრებელი

◄ *წიაღისეულის მომპოვებელთა ქალაქი ჭიათურა, ნათელა გრიგალაშვილი / "ჩაიხანა"*

უძრავი ქონების ფასების ზრდა და საბანკო სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები საცხოვრებლის ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვან პრობლემად აქცევს, ამასთან სოციალური საცხოვრებლისა და გამართული საცხოვრებელი პოლიტიკის არარსებობამ აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ საცხოვრებელი პოლიტიკის შემუშავებას
- ✓ სოციალური საცხოვრებლისა და თვითმშენებლობის განვითარებას
- ✓ საცხოვრებელი ბაზრის დივერსიფიკაციისკენ მიმართული სტრატეგიის განხორციელებას
- ✓ საზოგადოებრივი კამპანიების წარმოებას საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობისა და წვდომის მნიშვნელობაზე

მობილობა

◄ *მანქანებზე დამოკიდებულება თბილისში, მწვანე ალტერნატივა*

მიუხედავად იმისა, რომ დიდ ქალაქებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა უმჯობესდება (თბილისში განახლებული ავტოპუსების პარკითა და 'ბასლაინების' (ავტობუსისთვის განკუთვნილი ზოლების) დანერგვით, ხოლო ბათუმში - ახალი მარშრუტებისა და ავტობუსების ამოქმედებით), სათანადოდ კოორდინირებული არ არის სხვა ურბანული სტრატეგიები. ახალი განაშენიანებების დაგეგმვისას მობილობის საკითხებს პრიორიტეტი არ ენიჭება. პიკის საათებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადატვირთულია, ხოლო ავტომობილებზე მაღალი დამოკიდებულება და საცობები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევებად რჩება. საზოგადოებრივი ტრანსპორტის არჩევანი არასაკმარისადაა უზრუნველყოფილი მცირე ქალაქებში.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ 'ბასლაინების' ქსელის დასრულებასა და სრულყოფას
- ✓ საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკმარისი და მრავალფეროვანი ვარიანტების უზრუნველყოფას
- ✓ ქვეითად გადაადგილებისათვის ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესებას
- ✓ სადაც შესაძლებელია, ველობილიკების განვითარებასა და ველომობილობის ქსელის გაუმჯობესებას
- ✓ ქალაქის ფარგლებში და საქალაქთაშორისო სარკინიგზო ტრანსპორტში ინვესტირებას
- ✓ ტრანზიტზე ორიენტირებული განაშენიანების დაგეგმვას
- ✓ სამოქალაქო კამპანიების მეშვეობით ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის ეფექტურობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას

კულტურული მემკვიდრეობა

მიუხედავად ურბანული კულტურული მემკვიდრეობის მასშტაბური დაცვისა და რეაბილიტაციის პროექტებისა, მრავალი (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) სტატუსის მქონე შენობა და ისტორიული განაშენიანებული გარემო კვლავ არასათანადო ფიზიკურ მდგომარეობაშია, რაც მათ რეალურ საფრთხეს უქმნის. ახალი განაშენიანება ხშირად არ შეესაბამება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკას. ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოების სხვადასხვა დონე ერთმანეთთან არაა ჰარმონიზებული და ყოველთვის არ ხდება რეგულაციების საკმარისად მკაცრად აღსრულება. დამატებით გამოწვევას წარმოადგენს არასაკმარისი დაფინანსება და შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებზე მკაცრი მონიტორინგის განხორციელებას
- ✓ კულტურულ მემკვიდრეობაში ინვესტიციების გაზრდას
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის წახალისებას (სტიმულირების მექანიზმების დანერგვით)
- ✓ ხელოსნობისა და რესტავრაციის მიმართულებით პროფესიულ გადამზადებას
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკის გაუმჯობესებისა და დაცვის გეგმების შემუშავებას
- ✓ სამოქალაქო ინიციატივებზე დაფუძნებული შესაძლებლობების განვითარებას კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციისა და დაცვის მიდგომებზე

ღია საჯარო სივრცეები

საქართველოში კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ყოფილი საჯარო ღია სივრცეების პრივატიზაცია და მწვანე ზონებში განაშენიანება. არასაკმარისი ინვესტირება ხორციელდება რეგიონების ქალაქების საჯარო ღია სივრცეებში. ურბანული პარკების რეაბილიტაციის პროცესში კი ხშირად არ გამოიყენება თანამედროვე, მდგრადობასა და ეკოლოგიურ მიდგომებზე ორიენტირებული პრაქტიკა.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ საზოგადოებრივი სარგებლობისთვის საჯარო ღია სივრცეების დაბრუნებას
- ✓ საჯარო ღია სივრცეების ხელახალ დაგეგმარებას, რათა ისინი ყველა მომხმარებლის საჭიროებებს აკმაყოფილებდეს.
- ✓ ურბანულ გარემოში მეტი მწვანე სივრცის შექმნას, ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერისა და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით
- ✓ საჯარო ღია სივრცეების მართვის გაუმჯობესებას (ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობას)

ურბანული მართვა

ზედმეტად პოლიტიზებული გარემო ურბანულ მართვაზე უარყოფითად აისახება და დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობას ზღუდავს. სხვადასხვა უწყებას შორის არასათანადო კომუნიკაციას, შედეგად დიდი ხნის განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემები მოჰყვება. ხშირად უპირატესობა კერძო

განაშენიანების ინტერესებს ენიჭება საჯარო ინტერესებთან შედარებით, ხოლო მოკლევადიანი აზროვნება იმარჯვებს გრძელვადიან ხედვებზე, რის შედეგადაც ვიღებთ ურბანულ მართვას, რომელიც ეფუძნება უფრო რეაგირებაზე ორიენტირებულ და არა პროაქტიულ მიდგომებს. გენერალური გეგმები და სტრატეგიები ხშირად არ სრულდება, რასაც თან ახლავს მიწათსარგებლობის ზონირების ხშირი და დაუსაბუთებელი ცვლილებები. საერთო ჯამში, ურბანული მართვის დაბალი დონე მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სახის უსაფრთხოების რისკებს ქმნის.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ ინტერესთა ბალანსის დაცვას და თემის პოზიციის უფრო მკაფიოდ წარმოჩენას
- ✓ ეფექტიანი საზოგადოებრივი თანამონაწილეობის გაზრდას
- ✓ რეგულაციებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას
- ✓ ქალაქების - როგორც საჯარო სივრცის ღირებულების მქონე აქტივის აღქმის და არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური აქტივის პუპულარიზებას
- ✓ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ურბანული მართვისა და დაგეგმარების გაუმჯობესების მხარდასაჭერად
- ✓ პრიორიტეტის მინიჭებას გრძელვადიან, მდგრად გადაწყვეტილებებზე
- ✓ დამტკიცებული ხედვებისა და გეგმების თანმიმდევრულ განხორციელებას
- ✓ ადგილობრივი მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერებას.

სოციალური ინკლუზია

ჩვენი ქალაქები უნდა იყოს ინკლუზიური და ყველა მომხმარებლის საჭიროებებს უნდა ასახავდეს. საქართველოში ურბანული დაგეგმარების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა კანონითაა აღიარებული, თუმცა პრაქტიკაში ნაკლებად ხორციელდება. კანონმდებლობა საზოგადოებრივ განხილვებს ძირითადად გვიან ეტაპებზე ითვალისწინებს, მაშინ როდესაც საწყის ეტაპებზე ჩართულობა დიდწილად არ ხდება, ხოლო გეგმები საზოგადოების ფართო

◄ *ქალები საქართველოს მთიანი რეგიონებიდან, მწვანე ალტერნატივა*

ნაწილისთვის კვლავ რთულად გასაგებია. არსებობს ახალი გზების მოძებნის აშკარა საჭიროება, რომლებიც სამართლებრივი მოთხოვნების ფარგლებს გასცდება და უზრუნველყოფს მონაწილეობის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ზრდას. ასევე აუცილებელია მომსახურებებსა და ინფრასტრუქტურაზე არათანაბარი წვდომის პრობლემების მოგვარება და იმ არსებული ბარიერების აღმოფხვრა, რომელთაც აწყდებიან სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფები, მათ შორის ქალები და გოგონები, ბავშვები და ხანდაზმული პირები, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები.

ამ გამოწვევებზე რეაგირება მოიცავს:

- ✓ **ინკლუზიურობის, როგორც წამყვანი პრინციპის ხელშეწყობას** დაგეგმარებაში, **გადაწყვეტილებების** შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე მომსახურებებისა და საზოგადოებრივი ობიექტების უზრუნველყოფაში.
- ✓ **ადგილობრივი თემების საჭიროებების იდენტიფიცირებას** დაგეგმარების პროცესის საწყის ეტაპზე თანამონაწილეობითი აქტივობების მეშვეობით
- ✓ ურბანული გეგმების შემუშავების ადრეულ ეტაპებზე **საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას**
- ✓ მკაფიო და გასაგები კომუნიკაციის მეშვეობით **საზოგადოების ინფორმირების მრავალარხიანი მიდგომების ხელშეწყობას**
- ✓ **იდეების თავმოყრას და ურბანული ინტერვენციების ინიციატივების ხელშეწყობას**, თემის წევრებისა და სამოქალაქო აქტორების პრიორიტეტების შესაბამისად,

- ✓ **მოქალაქეთა შესაძლებლობებისა და თავდაჯერებულობის გაძლიერებას**, დაგეგმარებაზე გავლენის მოსახდენად.
- ✓ **ინტერაქტიული ინსტრუმენტების პოპულარიზაციას**, რომლებიც ყველა მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს თავისი ქალაქის ფორმირებაში.
- ✓ **მოსახლეობის მიზნობრივი ჩართულობის მეთოდების შემუშავებას**, ჩვეულებრივ გარიყული ჯგუფების მისაზიდად (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქალები და გოგონები, ხანდაზმული მოქალაქეები)
- ✓ **თემზე დაფუძნებული ინიციატივების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას**
- ✓ გენდერული და ბავშვთა საჭიროებებზე ორიენტირებული **ინიციატივების, ინსტრუმენტებისა და გადაწყვეტილების პოპულარიზაციას და მხარდაჭერას**, ქალებისა და გოგონების საჭიროებებისა და მისწრაფებების სათანადოდ გათვალისწინების უზრუნველსაყოფად
- ✓ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობის უზრუნველყოფას** დაგეგმარებისა და **გადაწყვეტილებების** შემუშავების პროცესის ყველა ეტაპზე
- ✓ **კრიტიკულ მუნიციპალურ სერვისებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას** (მაგალითად, წყალმომარაგება, ენერგომომარაგება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება, განათლება)

საქართველოში ურბანული დაგეგმარების, გეგმებისა და განვითარების ჯიბის გზამკვლევი

საქართველოში სივრცითი და ურბანული დაგეგმარება ისევე, როგორც ურბანული განვითარება რეგულირდება საქართველოს კოდექსით სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის შესახებ-ეროვნული კანონით, რომელიც განსაზღვრავს:

- საქართველოს სივრცითი დაგეგმარებისა და ურბანული განვითარების გეგმების სისტემას
- ფუნდამენტურ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს
- სივრცითი და ურბანული განვითარების გეგმების იერარქიასა და სტრუქტურას
- გეგმების მომზადებისა და დამტკიცების წესებს
- მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობებს, აგრეთვე შენობებისა და ნაგებობების ძირითად ტექნიკურ მოთხოვნებს
- მშენებლობის ნებართვების გაცემის, სამშენებლო ზედამხედველობის, სამშენებლო სამართალდარღვევების ცალკეული ტიპებისა და პასუხისმგებლობის ზომების წესებს
- სამშენებლო სამართალდარღვევების საქმეების განხილვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების წესებს

კოდექსს თან ერთვის ორი დადგენილება

1. დადგენილება № 260 არეგულირებს სივრცითი და ურბანული გეგმების შემუშავების, დაფინანსებისა და დამტკიცების წესს. იგი ასევე ადგენს წინასწარი კვლევების ჩატარებისა და გეგმების შინაარსის მოთხოვნებს. დადგენილება განსაზღვრავს მითითებებს

გეგმის სტრუქტურაზე, გრაფიკულ მასალებზე (ფერები, პირობითი ნიშნების განმარტება, მასშტაბები, საბაზისო რუკები), მონაცემთა მატრიცებზე, დასახლებების კლასიფიკაციაზე, დაგეგმარების ერთეულების განსაზღვრასა და შენობების ზოგად ესთეტიკურ მოთხოვნებზე. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დოკუმენტირება სავალდებულოა და მოიცავს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ინტერვიუები, შეხვედრები და გამოკითხვები.

2. დადგენილება № 261 ადგენს მშენებლობისა და არამშენებლობის არეალების, ფუნქციური ზონების (საცხოვრებელი, შერეული, სამრეწველო, სპეციალური), ქვეზონებისა და დაცვის ზონების წესებს. იგი არეგულირებს მიწის ნაკვეთების განაშენიანებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით (კოეფიციენტები, სიმაღლის სტანდარტები), განსაზღვრავს შენობების განთავსების წესებსა და საზღვრების დადგენის წესებს. ურბანული გეგმების ან ზონირების დოკუმენტების არარსებობის შემთხვევში, დადგენილება №261 მოქმედებს როგორც საბაზისო მარეგულირებელი ჩარჩო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოიცავს მრავალ ასპექტს, მისი მარეგულირებელი ინსტრუმენტები შეზღუდულია და მუნიციპალიტეტებისთვის ხშირად რთულად გამოსაყენებელია სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესში.

მიწათსარგებლობის ზონირება ტერიტორიებისა და მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს:

- კოდექსი განსაზღვრავს განაშენიანებად (სამშენებლო) და არაგანაშენიანებად ტერიტორიებს (ლანდშაფტური, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დანიშნულების), აგრეთვე სოციალური ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, საინჟინრო ინფრასტრუქტურის და წყლის ობიექტების ტერიტორიებს.
- იმ ტერიტორიებზე, სადაც მშენებლობა დაშვებულია, ოთხი ზოგადი და ცამეტი სპეციალური ზონა (ფუნქციური ზონირება) განსაზღვრავს მიწათსარგებლობის ნებადართულ ფორმებს, განაშენიანების ტიპებს (პერიმეტრული, ჯგუფური, თავისუფალი, კომბინირებული და სხვ.), შენობებისა (კოეფიციენტები K1, K2) და ღია სივრცეების პარამეტრებს (კოეფიციენტი K3). თითოეული ზონისთვის დადგენილი რეგულაციები განსაზღვრავს ქუჩებისა და საჯარო სივრცეებისგან დაშორებებს, მომიჯნავე ნაკვეთების საზღვრებთან მიმართებით მოთხოვნებს, კარებისა და ფანჯრების განთავსების წესებს და სხვა პირობებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს როგორც ადგილობრივი გეგმის, ისე კონკრეტული შენობის პროექტირებისას. უფრო მკაცრი რეგულაციები მოქმედებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და წყლის ობიექტების დაცვის ზონებში.
- ურბანული გეგმები შეიძლება მოიცავდეს წითელ ხაზებს, რომელთა მიღმა შენობა-ნაგებობების განთავსება დაუშვებელია, და ლურჯ ხაზებს, რომლებზედაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები.
- საქართველოს საკადასტრო კოდექსი თითოეული მიწის ნაკვეთს უნიკალურ იდენტიფიკატორს ანიჭებს, რაც ქონების საკადასტრო რუკაზე მდებარეობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ონლაინ რეჟიმში შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ქონების მფლობელის, მიწათსარგებლობის დანიშნულების, ფართობის, უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ (საჯარო რეესტრი).

გეგმის მდებარეობის, მასშტაბისა და დეტალიზაციის დონიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, არქეოლოგიური კვლევა, კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, ასევე გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები. გეგმებით შესაძლებელია ასევე განისაზღვროს დაგეგმარების ერთეულში გამოსაყენებელი სამშენებლო მასალების ტიპები, ესთეტიკური და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინებით. ტრანსპორტის კვლევები სავალდებულოა, თუმცა ხშირად ზედაპირული ხასიათისაა და მონაცემებით არასაკმარისადაა გამყარებული.

საქართველოს დაგეგმარების სისტემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ *კვლევაში საქართველოს ურბანული განვითარების და სივრცითი დაგეგმარების ჩარჩოს შესწავლა*, რომელიც ხელმისაწვდომია ‘სალარ ინთერნეშენალისგან’.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოსა და გამგეობას
პეტიცია

03

‘სიმბიოსითი’ გეხმარებათ ადგილობრივი ინიციატივებით მართულ მდგრად ურბანულ განვითარებაში

ქალაქების განვითარება ყველაზე მეტად მდგრადია მაშინ, როდესაც იგი არის **ინკლუზიური, გამჭვირვალე, ეფუძნება ადგილობრივი თემების ცხოვრებისეულ გამოცდილებას და პასუხობს მათ საჭიროებებს**.

ეს მიიღწევა მაშინ, როცა ქალაქის განვითარების პოლიტიკა ორიენტირებულია **ადამიანებზე და მათთან ერთად არის შექმნილი**. ასეთი პოლიტიკა რეალურად ასახავს თემის საჭიროებებსა და ფასეულობებს.

◀ *ახალგაზრდები აგროვებენ ხელმოწერებს ინიციატივებისთვის სიღნაღის მუნიციპალიტეტში, რეგიონის განვითარების ცენტრი*

სამოქალაქო აქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მდგრადი ურბანული განვითარების პროცესში. მათი ინიციატივები ადგილობრივ საჭიროებებზეა დაფუძნებული და ავსებს შედარებით ტრადიციულ, ხელისუფლებაზე ორიენტირებულ ურბანული განვითარების მიდგომებს. 'სიმბიოსითი' არის იმ მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობაა, რომლებიც ინკლუზიური მიდგომის განხორციელებაში დაგეხმარებათ - ისეთი მიდგომა, რომელსაც თემში მცხოვრები ადამიანები ერთად იყენებენ. ამ პროცესში მონაწილეობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას აძლევს, ჰოლისტური, მაშასადამე ყოვლისმომცველი ხედვები შეიმუშავოს და განახორციელოს.

თქვენი ინიციატივების მასშტაბის მიუხედავად (იხილეთ სცენარები-გვერდები 36, 41, 45), არსებობს სამი პრინციპი, რომლებიც დაგეხმარებათ თქვენი ქალაქის განვითარებაში: **ლიდერობა, თანამშრომლობა და ზეგავლენა**.

ურბანული განვითარების პროცესებში ჩართვისას მიზანშეწონილია:

- ✓ კონტექსტისა და რესურსების შესაბამისი მიდგომის შერჩევა (სამუშაო ჯგუფები, სათათბირო შეხვედრები, ფორუმები, კამპანიები)
- ✓ ადგილობრივი თემის მობილიზება და პრიორიტეტული გამოწვევებისა და **გადაწყვეტის გზების** შესახებ საერთო ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ✓ ლეგიტიმაციის გამყარება თემის ფართო სპექტრის შეხედულებების წარმოდგენით
- ✓ მიღწევების დოკუმენტირება და გარე აქტორებთან კომუნიკაცია, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად
- ✓ სხვა სამოქალაქო აქტორებთან კავშირების მაქსიმალურად გამოყენება გავლენის და გამოცდილების გასაზიარებლად

გახსოვდეთ: თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ინფორმაცია თქვენი მუნიციპალიტეტისგან და სხვა საჯარო უწყებებისგან[1]



ლიდერობა

მდგრადი ურბანული განვითარების მისაღწევად კონკრეტული ინიციატივების წინ წამოწევა და მართვა აუცილებელია. ლიდერობა საშუალებას გაძლევთ იდეები რეალურ ქმედებებად გარდაქმნათ და პროცესებს ეფექტურად გაუძღვეთ;

თანამშრომლობა

საერთო გადაწყვეტის გზების საპოვნელად აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. საერთო საქმის ირგვლივ გაერთიანება, მათ შორის პროფესიონალებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, გადაწყვეტილების მიმღებებთან და გავლენიან აქტორებთან, ზრდის ლეგიტიმურობას და წარმატების შესაძლებლობას

ზეგავლენა

მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა, საშუალებას გაძლევთ მოახდინოთ მიზანმიმართული ზეგავლენა და პროცესები სასურველი შედეგებისკენ მიმართოთ. თქვენ როგორც ცვლილების ინიციატორმა შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ ხარისხიანი, კონფორტული და ინკლუზიური საცხოვრებელი გარემოს შექმნას;

1 საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 18, პუნქტი 2) საჯარო ინფორმაციაზე წვდომას უზრუნველყოფს როგორც ძირითად უფლებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (მუხლები 10, 12, 28, 36 და 37) ადგენს, რომ საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან პროაქტიულად გამოაქვეყნონ საჯარო ინფორმაცია და მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდონ იგი კანონით დადგენილ ვადებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაცია კონფიდენციალურია.

კენიის მაგალითი, ჰოუპ რეისერი

დაიბრუნეთ ქუჩები უსაფრთხო საჯარო სივრცით სარგებლობისთვის კენიის მაგალითი

სათემო ორგანიზაცია HopeRaisers, თვეში ერთ-ხელ სხვადასხვა ღონისძიებისთვის ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებს იკავებს. მათი მიზანი, ქუჩის აქტივობების წახალისებაა, რათა საზოგადოებრივი სივრცეები სოციალური ჩართულობის ადგილებს დაუბრუნდეს. მათ სურთ აჩვენონ, რომ პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უკვე განხორციელებული ინფრაქტრუქტურული პროექტი.

მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა თავდაპირველად მუსიკალური ბენდის სახით დაიწყო, Hope Raisers Youth Initiative დღეს კოროგოჩოს (კენია) ქუჩებში სხვა-დასხვა ღონისძიებას აორგანიზებს, რათა არაფორმალური დასახლების მაცხოვრებ-ლებისთვის შექმნას შთამაგონებელი და უსაფრთხო სივრცეები. ქუჩების განახლების პროექტი უფრო ფართო პროგრამის - Korogocho Slum Upgrading Program (KSUP) - ნაწილია.

ცუდი გზების, გაუმართავი წყალანირების, არასაკმარისი ქუჩის განათებისა და წყლისა და საკანალიზაციო სისტემების პრობლემების მოსაგვარებლად, KSUP-ის პროექტმა მიზნად დაისახა ერთიანი მონაწილეობითი და მდგრადი დაგეგმვის პრინციპებით გარეუბ-ნების განახლების მიდგომის შეემუშავებინა.

პროექტმა ხელი შეუწყო ადგილობრივი ეკონო-მიკური აქტივობის გაძლიერებას, სამუშაო ადგილების ზრდას და უსაფრთხოების განცდის დამკვიდრებას. განახლებულმა ქუჩებმა შექმნა მეტი საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცე და გააუმჯობესა შეკავშირებულობა ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებს შორის.



◄ *ბავშვები ველოსიპედის შესაკეთებლად ველოსადგურს იყენებენ - ბათუმის ევროპის მოედანი, ნინო ჩხაიძე*

როდესაც ბათუმში ველომოყვარულებმა იდეა ინფრასტრუქტურად აქციეს

წლების განმავლობაში ბათუმში ველომოყვარულები ქალაქის მასშტაბით ველოპარკირებების მოწყობაზე საუბრობდნენ. 2020 წლის გაზაფხულზე ბათუმის ველო-მოყვარულთა კლუბმა ამ მიზნის მისაღწევად საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბა. იმავე წელს ქალაქმა გამოაცხადა მონაწილეობითი ბიუჯეტირების კონკურსი „შენი იდეა ბათუმს", სადაც მათ მიერ წარდგენილმა პროექტმა - „ბათუმი - ველო ქალაქი" მოქალაქეთა ხმების უმრავლესობა მოიპოვა.

ეს ჯგუფი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ადრე ჩატარებულ კვლევას დაეყრდნო, რომლის ფარგლებშიც ბათუმში ველოპარკირების შესაძლო ადგილები განისაზღვრა. 2023 წლის ზაფხულისთვის ქალაქის 12 საჯარო ლოკაციაზე დამონტაჟდა 70 ველოსიპედის პარკირებისა და ველოსიპედების შესაკეთებელი 5 პუნქტი.

ეს ამბავი, იმის ნათელი მაგალითია თუ როგორ შეიძლება მოქალაქეთა მიერ ინიცირებულმა იდეამ, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, მარტივი ჩანაფიქრი ხელშესახებ მდგრად ურბანულ ინფრასტრუქტურად გარდაქმნას - დასტური იმისა, რომ სამოქალაქო და მუნიციპალურ თანამშრომლობას შეუძლია ქალაქის გარდაქმნა.

წყარო: https://idea.batumi.ge/archive/2020/20105; https://www.facebook.com/LovetoRideBatumi/photos/pb.100058614804432.-2207520000/369854621328475/?type=3

1. ლიდერობა

ცვლილება იწყება შენით

თქვენ და თქვენმა სამეზობლომ უკეთ იცით რა არის თქვენი პრობლემები, რა გჭირდებათ და რა გამოწვევების წინაშე დგახართ. პროცესის მართვა ლიდერის ინიციატივით იწყება და თუ გსურთ ცვლილება, აიღეთ პასუხისმგებლობა და გაუძეხით პროცესს, ცვლილებები თქვენით იწყება. გადადგით პირველი ნაბიჯი და იდეები რეალურ ქმედებებად აქციეთ.

ლიდერობა ყოველთვის არ ნიშნავს ყველაფრის თავად კეთებას, იგი გულისხმობს თემის მობილიზებას, მონაწილეობის წახალისებას, ყველას მოსაზრების გათვალისწინების უზრუნველყოფას, ასევე იმის გარკვევას, თუ როგორ შეგიძლიათ, სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, დაგეგმარებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა. პროცესის ინიცირებით თქვენ შეძლებთ:

- შთააგონოთ სხვები და წაახალისოთ მათი ჩართულობა მიმდინარე პროცესებში;
- ხელისუფლებასა და პარტნიორებთან დისკუსიაში წარმოაჩინოთ თქვენი თემის პრიორიტეტები;
- მოსახლეობას აჩვენოთ, რომ თავად შეუძლიათ თავიანთი მომავლის განსაზღვრა;
- შექმნათ სანდოობისა და თანამფლობელობის განცდა, რაც გაზრდის პროექტების მდგრადობას;
- გააუმჯობესოთ ადგილობრივი გარემო ახალი სივრცეების შექმნით, არსებულის გაუმჯობესებითა და პრობლემათა ერთად გადაწყვეტის გზით - ნებისმიერი ინიციატივა აძლიერებს თქვენს თემს და აუმჯობესებს გარემოს, დაწყებული დასუფთავებით და ხეების დარგვით დამთავრებული.

რეალური ცვლილებები იწყება მაშინ, როცა სამოქალაქო აქტორები და ადგილობრივი თემის წევრები იღებენ პასუხიმგებლობას საკუთარი ტერიტორიის მდგომარეობაზე, ინკლუზიური მიდგომებით მართავენ საერთო საკითხებს და უზრუნველყოფენ ღია და გამჭვირვალე ურთიერთობებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

როგორ ვუხელმძღვანელოთ პროცესებს:

- ✓ **შეკრიბეთ მოსახლეობა:** მოაწყვეთ შეხვედრები უბანში, სკოლაში, ბიბლიოთეკაში ან სათემო ცენტრში, რათა მოქალაქეებს მისცეთ ჩართულობის შესაძლებლობა;
- ✓ **განსაზღვრეთ პრობლემები:** გამოიყენეთ კვლევები, რუკები, ტერიტორიის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები და საველე ვიზიტები და ჩართეთ სხვადასხვა აქტორები და გამოიყენეთ გასაუბრების მეთოდები;
- ✓ **შეკრიბეთ იდეები:** ჰკითხეთ მოქალაქეებს მათი პრიორიტეტებისა და იდენტიფიცირებული პრობლემების შესაძლო გადაწყვეტების შესახებ;
- ✓ **გამოსცადეთ მიდგომა:** დაიწყეთ მცირე საპილოტე აქტივობებით (მაგალითად, პარკის დასუფთავება ან ბავშვთა სათამაშო მოედნის შეკეთება), რათა შეამოწმოთ იდეების ეფექტიანობა;
- ✓ **წარმოადგინეთ შედეგები:** გააცანით მიღწეული შედეგები მუნიციპალიტეტს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, უფრო ფართო მასშტაბიანი ინიციატივების წასახალისებლად;
- ✓ **შეარჩიეთ და წარმოაჩინეთ ცვლილებების ინიციატორები:** წაახალისეთ შედეგებზე ორიენტირებული პირები და ჯგუფები მათი სათანადოდ წარმოჩენითა და პოპულარიზებით. ასეთი მაგალითები (მაგ., გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის დამცველები) სხვებისთვის შთამაგონებელი იქნება.

წარმატებული ლიდერობისთვის და ცვლილებების მისაღწევად გახსოვდეთ:

- ✓ **ჩართეთ პროფესიონალები:** მაქსიმალურად გამოიყენეთ სპეციალისტების დახმარება - არქიტექტორები, დაგეგმვის სპეციალისტები, და ინჟინერები დაგეხმარებიან თქვენი პრიორიტეტების განხორციელების პროცესში;
- ✓ **იყავით მომზადებული, გაცნობიერებული და თავდაჯერებული:** პროფესიონალური მიდგომა, ეფექტური დაგეგმვა და რწმენა თქვენს იდეებში ზრდის პროცესის წარმატების შანსს
- ✓ **იყავით გულწრფელი:** გულწრფელობა საზოგადოებასა და პარტნიორებში ნდობას ამყარებს
- ✓ **იყავით ღია და ანგარიშვალდებული:** მონაწილეებს აჩვენეთ, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება და შედეგების შესრულება; გამჭვირვალობა ზრდის პროექტების შედეგების მდგრადობას

ბათუმის პირველი აუდიტი ველოგადაადგილების პოლიტიკის მიმართულებით

2021 წელს, ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმის თანამონაწილეობითი შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრი გაერთიანდა - ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოება და აქტიური მობილობის მხარდამჭერები. სწორედ ამ პროცესის ფარგლებში საქართველოში პირველად გამოიყენეს ველოგადაადგილების პოლიტიკის აუდიტის ინსტრუმენტი (BYPAD).

აუდიტის ფარგლებში შეფასდა ქალაქში ველოგადაადგილების მთელი ეკოსისტემა: ველოგადაადგილების ქსელი და ინფრასტრუქტურა, ხელმისაწვდომობა, მუნიციპალური ველოსიპედების გაზიარების სისტემა 'ბათუმველო', საპარკინგე შესაძლებლობები, აგრეთვე ველოგადაადგილების თავსებადობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო ფართო სისტემასთან. აუდიტმა ასევე სუსტი მხარეები გამოავლინა როგორც მუნიციპალური, ისე კერძო სექტორის მართვის შესაძლებლობებში.

პოლიტიკის მსგავსი აუდიტი სამოქალაქო აქტორებს მკაფიო გზამკვლევს სთავაზობს - საშუალებას, გაიაზრონ რეალური ვითარება, შეაფასონ არსებული პრაქტიკა და დაგეგმონ მომავალზე ორიენტირებული ქმედებები. 2022 წელს ბათუმის საკრებულომ ოფიციალურად დაამტკიცა ველოგადაადგილების გენერალური გეგმა - არა როგორც საბოლოო მიზანი, არამედ როგორც მნიშვნელოვანი ეტაპი უფრო ველომეგობრული ქალაქის განვითარების გზაზე.

წყარო: https://droa.ge/?p=130949; https://www.facebook.com/LovetoRideBatumi/pho tos/pb.100058614804432.-2207520000/338936554420282/?type=3

2. ითანამშრომლეთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან

თქვენი ქალაქის, ან უბნის მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით: მათ შორის ბიზნესებთან, საჯარო სტრუქტურებთან და ადგილობრივი თემის წევრებთან.

ურბანული განვითარების ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირება და პროცესებში ჩართვა - როგორც იმ აქტორების, რომლებიც ზემოქმედებენ ურბანულ გარემოზე, ისე მათიც, ვინც ამ ზემოქმედებას განიცდის. ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთობლივი მუშაობა გეგმებსა და პროექტებს აძლიერებს, უფრო თანმიმდევრულსა და ინკლუზიურს ხდის და მათ პრაქტიკულად განხორციელებად აქტივობებად გარდაქმნის. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა აქტორთან თანამშრომლობა ადგილობრივების მიერ მართული ინკლუზიური დაგეგმარების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

როგორ ვთანამშრომლობთ?

იმისთვის, რომ თქვენი თანამშრომლობა ეფექტური იყოს, გაითვალისწინეთ შემდეგი პრინციპები:

- **ინფორმირებულობა და ჩართულობა:** დეტალურად მოემზადეთ საჯარო შეხვედრებისთვის. დაესწარით კონსულტაციებს, სათემო შეხვედრებსა და მუნიციპალურ მოსმენებს. გამოთქვით მოსაზრებები, რომლებიც ეყრდნობა მოძიებულ ინფორმაციას. წინასწარ გადაამოწმეთ განცხადებები ონლაინ, საინფორმაციო დაფებზე ან ადგილობრივ ქსელებში.

დასუფთავების აქტივობა სოფელ კუმისში, ახალი კუმისი, Facebook

- **მონაცემებისა და ცოდნის გაზიარება:** გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდეთ ადგილობრივი თემის მონაცემები, კვლევის შედეგები და მოსახლეობის მოსაზრებები, რათა ადგილობრივი შეხედულებები აისახოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- **ერთობლივი ინიციატივების წახალისება:** კონკრეტული პრობლემების ერთობლივად მოგვარების მიზნით წამოაყენეთ სამუშაო ჯგუფების შექმნის იდეები ან გახდით ერთობლივი პროექტების ინიციატორი, სადაც სხვადასხვა სექტორისა და დარგის წარმომადგენლები ერთად იმუშავებენ. ისეთი საკითხები, როგორიცაა მუნიციპალური ტრანსპორტის გამოწვევები, ახალგაზრდული სივრცეების დეფიციტი, გარემოს დაცვა და სხვა ადგილობრივი საჭიროებები, მრავალ აქტორთა ჩართულობას მოითხოვს. ეცადეთ პროცესში ჩართოთ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, ბიზნესისა და საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტორები და მედია.
- **თანამშრომლობის ფორმალიზება:** ცხადი ურთიერთობების შესაქმნელად გამოიყენეთ მარტივი შეთანხმებები, როგორიცაა ურთიერთგაგების მემორანდუმი (MoU), რათა მკაფიოდ განსაზღვროთ მხარეთა როლები, პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.
- **ერთობლივი ანგარიშვალდებულება:** განახორციელეთ ერთობლივად მონიტორინგი, გაზომეთ და შეაფასეთ მიღწეული შედეგები. შემუშავებული დასკვნები გაუზიარეთ მოსახლეობას, რათა გაიზარდოს ნდობა და ანგარიშვალდებულება.

კუმისის ტბის ბიომრავალფეროვნება, ბადრი ვადაჭკორია

კუმისის ტბის დასახლების მაცხოვრებლების მიერ ეკოსისტემის გადარჩენა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, კუმისის ტბის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა წლების განმავლობაში ებრძოდა საგზაო ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობისა და სუფთა წყლის შეზღუდული ხელმისაწვდომობის პრობლემას. მიუხედავად ამისა, მათი მთავარი საზრუნავი ყოველთვის ტბის მოწყვლადი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება იყო.

წყლის შემოდინების ხანგრძლივი დაბლოკვის შედეგად, ტბის ეკოსისტემა მკვეთრი დეგრადაციის წინაშე აღმოჩნდა, რაც საფრთხეს უქმნიდა როგორც ფლორას, ასევე ფაუნას. ამ პრობლემაზე რეაგირების მიზნით ადგილობრივმა სამოქალაქო ჯგუფმა „ახალი კუმისი" თემისა და გარე მხარდაჭერის მოაბილიზა, წყლის არხების გაწმენდისა და ტბის ეკოლოგიური ბალანსის აღდგენის მიზნით.

მას შემდეგ ჯგუფი აქტიურად ახორციელებს ადვოკატირებას, რათა ეროვნულ და ადგილობრივ გარემოსდაცვით უწყებებს მუდმივად მიეწოდებოდეთ ინფორმაცია, მეორეს მხრივ კი უზრუნველყონ მათი ანგარიშვალდებულება, განსაკუთრებით უკანონო თევზჭერისა და ბრაკონიერობის საკითხებთან დაკავშირებით.

კუმისელების დაჟინებული ძალისხმევა ცხადყოფს, თუ როგორ შეუძლია ადგილობრივი ინიციატივით დაწყებულ გარემოსდაცვით აქტივობას, ბიომრავალფეროვნების გადარჩენა და ამავე პროცესში სამოქალაქო მედეგობის გაძლიერება.

წყარო: https://www.facebook.com/AkhaliKumisi; https://greenalt.org/blogs/kumisis-tbis-gamockhadebuli-mkvlelobis-qronika/ 2207520000/3389 36554420282/?type=3

3. გავლენა

ცვლილების ხელშეწყობა

Იმისთვის, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტამ რეალური წვლილი შეიტანოს მდგრად ურბანულ განვითარებში, მინიმუმ 2 პირობაა საჭირო, ის უნდა იყოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობით შემუშავებული და უნდა ეყრდნობოდეს თემის რეალურ საჭიროებებს.

მაშინაც კი, თუ თქვენ თავად არ ხელმძღვანელობთ კონკრეტული გადაწყვეტის შემუშავებას მაინც შეგიძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოთ მის ფორმირებაში, კერძოდ კი თქვენი ჩართულობით შეგიძლიათ პროცესის ინიციატორებს შესთავაზოთ იდეები, მიაწოდოთ მტკიცებულებები, წარადგინოთ თემის წევრების ინტერესები და ამით დაეხმაროთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უკეთ გაიაზრონ ადგილობრივი საჭიროებები და პრიორიტეტები. თქვენი გავლენის შედეგად ინიციატივები ხდება უფრო რელევანტური, ინკლუზიური და ეფექტური, რაც ურბანულ ტერიტორიებზე გრძელვადიანი და პოზიტიური ცვლილებების მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

როგორ მოვახდინოთ გავლენა:

- **მოიძიეთ ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ:** დაინტერესდით და გაეცანით თქვენს მუნიციპალიტეტში დონორებისა და სხვა აქტორების საქმიანობას და თვალყური ადევნეთ, მუნიციპალიტეტის გეგმებსა და ღონისძიებებს, ინფორმაცია დაგეხმარებათ მონაწილეობაში.
- **გამოხატეთ თქვენი აზრი:** დაესწარით საჯარო მოსმენებს, შეიმუშავეთ კომენტარები ან წერილობით მიმართეთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.
- **შეაგროვეთ მოსაზრებები:** გამოიყენეთ პეტიციები, გამოკითხვები ან საკონსულტაციო შეხვედრები ფართო მხარდაჭერის წარმოსაჩენად.

- **შესთავაზეთ ალტერნატივები:** მოამზადეთ მოკლე წინადადებები ან რეკომენდაციები უკეთესი გადაწყვეტილებების შეთავაზების მიზნით;
- **გაზარდეთ ცნობიერება:** გამოიყენეთ ადგილობრივი მედია, სოციალური ქსელები ან სათემო ღონისძიებები თქვენი გზავნილების გასავრცელებლად.
- **შექმენით თქვენი მტკიცებულებების ბაზა:** გამოიყენეთ და გააფართოვეთ თქვენი მონაცემების სია უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღწევად, ამასთან თქვენი რეკომენდაციები დააფუძნეთ მტკიცებულებებს და თემის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს.
- **შექმენით კავშირები:** დაამყარეთ კონსტრუქციული კავშირები გადაწყვეტილების მიმღებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
- **აწარმოეთ ეფექტური კომუნიკაცია:** იყავით მკაფიო, სანდო და თანმიმვედრული.
- **იყავით შეუპოვარი:** ჩაერთეთ დიალოგში, რათა თქვენი წინადადებები ყურადღების მიღმა არ დარჩეს.
- **დაუკავშირდით სხვა სამოქალაქო ჯგუფებს:** ერთად უფრო ძლიერები ხართ/ ძალა ერთობაშია.
- **გამოიყენეთ მარტივი მიდგომები:** საზოგადოებრივი ფორუმები, სამუშაო ჯგუფები, სამოქალაქო სათათბიროები.
- **ისაუბრეთ ფართო საზოგადოების სახელით:** შეხვედრებზე წარმოადგინეთ არა მხოლოდ თქვენი ორგანიზაცია, არამედ ფართო საზოგადოება.

კუმისის ტბა, ბადრი ვადაჭკორია

საფეხმავლო ტური ბათუმის ფეხით გადაადგილების კონცეფციის შემუშავებისთვის, Love to Ride Batumi

სცენარები

'სიმბიოსითის' მეთოდისა (მე-4 თავში წარმოდგენილი) და ინსტრუმენტების (მე-5 თავში წარმოდგენილი) მორგება და გამოყენება შესაძლებელია თქვენს წინაშე არსებული პრაქტიკულად ნებისმიერი ურბანული გამოწვევის გადასაჭრელად. აქ წარმოდგენილია სამი ტიპიური მაგალითი („სცენარი") ინტეგრირებული გადაწყვეტების იდენტიფიცირებისა და შემუშავების დემონსტრირების მიზნით, თუმცა გახსოვდეთ, რომ 'სიმბიოსითი' შექმნილია თქვენი საჭიროებების საპასუხოდ და მისი ადაპტირება შესაძლებელია თქვენივე მოთხოვნის შესაბამისად.

შეგახსენებთ, ერთიანი გადაწყვეტები შეიძლება გამოყენებულ იქნას ქალაქის ან კონკრეტული უბნის განვითარების ხედვის ჩამოსაყალიბებლად, ისინი ასევე შეიძლება გამოიყენოთ, ტურიზმის მართვის გასუმჯობესებლად, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის დოკუმენტირებისას, ახალი საჯარო სივრცის შესაქმნელად ან არსებულის გასაახლებლად. მისი გამოყენება შეიძლება თემისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სივრცის შექმნაზე მუშაობის დროსაც. მაგალითად, ასეთი გადაწყვეტილებები ხელს უწყობს ველოსიპედითა და ქვეითად გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, წყალდიდობების მართვის ნაგებობების მოწყობას, მიტოვებული და მოუვლელი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და ძეგლების აღდგენასა და დაცვას. ერთიანი გადაწყვეტები შესაძლოა განსხვავდებოდეს ტექნოლოგიური სირთულისა და ღირებულების მიხედვით (მაღალი ან დაბალი ტექნოლოგია/ხარჯი), ასევე შესაძლებელია მათი დაგეგმვისა და განხორციელების ხანგრძლივობა იყოს სხვადასხვა - ინიციატივები შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი.

აქ წარმოდგენილია სამი სცენარი:

1. **ქალაქის/უბნის განვითარების ხედვის შემუშავება**
2. **ახალი და გაუმჯობესებული ღია საჯარო სივრცის მოწყობა**
3. **ფეხითა და ველოსიპედით გადაადგილების პოპულარიზება ('ტაქტიკური გადაწყვეტილება')**

ნაბიჯები წარმატებული ურბანული დაგეგმარებისა და განვითარებისათვის

სცენარი 1

ქალაქის/უბნის განვითარების ხედვა

ქალაქის ან უბნის განვითარების ხედვის შემუშავება ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობითი მიდგომის ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფს თქვენი ქალაქის/უბნის უფრო ფართო და სიღრმისეულ გააზრებას, რომელიც ნათლად გამოხატავს თქვენს საჭიროებებსა და მისწრაფებებს და თანხვედრაშია თქვენს პრიორიტეტებთან. იგი დაგეხმარებათ ერთიანი სურათის დანახვასა და თქვენი ქალაქის/უბნის სხვადასხვა ასპექტებს შორის ურთიერთკავშირების გააზრებაში (მაგალითად, „თბილისის სატრანსპორტო გეგმა“, რომელიც მხოლოდ პროექტის სახით არსებობს და საკრებულოს მიერ დაუმტკიცებელია, სადაო დოკუმენტად იქცა ჩანასახშივე, თავისი სახელწოდების, რადგან მას არ ქვია, „მდგრადი ურბანულ მობილობის გეგმა“, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი გამოხატავს ამ უკანასკნელი სახელწოდების სულისკვეთებას და საზოგადოების მოთხოვნის მიუხედავად, „გეგმის“ ინტეგრირება მომხდარიყო „თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში“. ეს მიდგომა ქმნის საფუძველს ერთიანი გადაწყვეტების შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

განვითარების ხედვა შესაძლოა მოიცავდეს როგორც მთელ ქალაქს, ისე კონკრეტულ უბანს. მისი მეშვეობით თქვენ ქმნით საფუძველს თქვენი ქალაქის/უბნის განვითარებაზე გავლენის მოსახდენად, იგი ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც თანამშრომლობის პლატფორმა.

ტრენინგი 'სიმბიოსითის' პროცესზე კუალა ლუმპურში

პრობლემა / შესაძლებლობა:

- საქართველოში არაგეგმაზომიერად და არასათანადოდ მართული ქალაქები მრავალი პრობლემის წინაშე დგას: ფრაგმენტული განაშენიანება, ურბანული გარემოს არასაკმარისი ადაპტაცია კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასა და სტიქიური უბედურების რისკებთან მიმართებაში, მწვანე და რეკრეაციული სივრცეების დაკარგვა, ან არასრულფასოვანი გამოყენება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მიტოვება და უგულებელყოფა, აგრეთვე სუსტი და საფრთხის შემცველი ურბანული მობილობის სქემები, რომლებიც არასახარბიელო პირობებში აყენებს ქვეითებს და ველოსიპედისტებს.
- საქართველოს ქალაქების უმეტესობას ამჟამად არ აქვს ურბანული გეგმები და მოკლებულია უფრო ფართო ხედვას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს ქალაქში არსებობს ურბანული გეგმა, შესაძლოა იგი არაეფექტიანად მიიჩნიოთ თქვენი საჭიროებების ასახვისა და თქვენთვის აქტუალური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით. ორივე შემთხვევაში, **კარგად ჩამოყალიბებული განვითარების ხედვა სათანადო საფუძველს შექმნის**, რომ გავლენის მოხდენა შეძლოთ ურბანული გეგმის შემუშავებაზე, ან მის გადახედვაზე და მთავრობის სხვა ინტერვენციებზე (მაგალითად, ახალი და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების უზრუნველყოფა).
- **თქვენი ქალაქის/უბნის განვითარების ხედვა მხოლოდ თქვენს მისწრაფებებს არ წარმოადგენს**, არამედ ეფექტური საშუალებაა გაიაზროთ, თუ როგორ შეძლებთ ამ მისწრაფებების განხორციელებას. განვითარების ხედვა შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორც საფუძველი კონკრეტული პროექტების იდენტიფიცირებისთვის, პრიორიტეტების განსაზღვრისა და შემუშავებისთვის (იხ. სცენარები 2 და 3).

როგორ გავაკეთოთ ეს

ნაბიჯი 1

პროცესის ორგანიზება

- შეთანხმდით, თუ როგორ შეიმუშავებთ განვითარების ხედვას (ინსტრუმენტი: სამუშაო გეგმა)
- მნიშვნელოვანია ყველა იმ დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირება, ვინც თავის წვლილს შეიტანს განვითარების ხედვის შემუშავებაში (ინსტრუმენტი: დაინტერესებული მხარეების დარუკება (ანალიზი))
- შეათანხმეთ რა საშუალებებით აწარმოებთ კომუნიკაციას თქვენს დაინტერესებულ მხარეებთან, მათი შეხედულებების შესაკრებად, და პროგრესის შესახებ ინფორმაციის გასაზიარებლად. ასევე სასურველია დაინტერესებულ მხარეებს აუხსნათ განვითარების ხედვის გამოყენებით როგორ მოახდენთ თქვენი ქალაქის/უბნის განვითარების პროცესზე ზემოქმედებას. (ინსტრუმენტი: კომუნიკაციის გეგმა)

ნაბიჯი 2

შეაფასეთ არსებული ვითარება

- გადაწყვიტეთ რა ინფორმაცია (მონაცემები) გესაჭიროებათ თქვენი ქალაქის/უბნის, ან პრიორიტეტული საკითხების უკეთ გასააზრებლად და განსაზღვრეთ როგორ შეაგროვებთ მას. (ინსტრუმენტი: მონაცემთა რუკის შედგენა)
- გამოიყენეთ ინსტრუმენტების ფართო სპექტრი, რათა თქვენს მიერ შეკრებილი ინფორმაცია სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან იყოს მიღებული. *(იხილეთ გვერდი 91)*
- გააანალიზეთ შეგროვებული მონაცემები (ინსტრუმენტი: SWOT/C ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და შეზღუდვები/გამოწვევები))
- განსაზღვრეთ ძირითადი პრობლემები SWOT/C - ის მეთოდით გაანალიზებულ მონაცემებზე დაყრდნობით
- შეაფასეთ რას ნიშნავს მდგრადობა თქვენს უბანში (ინსტრუმენტი: „მდგრადობის ვარდი“)

ნაბიჯი 3

ჩამოაყალიბეთ ხედვა, მიზანი და ამოცანები

- კოორდინირებულად იმუშავეთ თქვენი ხედვის ჩამოსაყალიბებლად და იმის დასაზუსტებლად, თუ კონკრეტულად რისი მიღწევა გსურთ. (თქვენი მიზნები და ამოცანები) (ინსტრუმენტები: მინდა /არ მინდა ანალიზი, „თქვენი ხედვა“)

ნაბიჯი 4

შეიმუშავეთ ერთიანი (ინტეგრირებული) გადაწყვეტილებები

- გააანალიზეთ სხვადასხვა მომავლის შესაძლო სცენარები
- შესაძლოა ჩათვალოთ, რომ თქვენი ხედვა საკმარისია ქალაქის განვითარების პროცესზე ზემოქმედებისთვის, თუმცა ამ ხედვის მისაღწევად პრიორიტეტული გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება მის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის
- შეგიძლიათ განსაზღვროთ თქვენი ხედვისა და მიზნების მიღწევის სხვადასხვა ალტერნატივა (შესაძლოა ეს იყოს მუდმივი ან დროებითი, ფიზიკური ან არაფიზიკური, დაბალ ხარჯიანი ან მაღალ ხარჯიანი, დაუყოვნებელი და/ან გრძელვადიანი გადაწყვეტილებები); დარწმუნდით, რომ შერჩეული ვარიანტ(ებ)ი რეალისტური და ფინანსურად ხელმისაწვდომია (ინსტრუმენტები: გადაწყვეტების მატრიცა, ინტეგრირებული გადაწყვეტები).
- ჩამოაყალიბეთ თქვენი გადაწყვეტები

ნაბიჯი 5

შეაფასეთ თქვენი გადაწყვეტების სარგებელიანობა და ზეგავლენა

- შეაფასეთ თქვენი გადაწყვეტები, რათა გამოავლინოთ მდგრადი ტრანსფორმაციის სარგებლიანობა და ზეგავლენა. დარწმუნდით, რომ ისინი შეესაბამება თქვენს ხედვას და განხორციელებადია (ინსტრუმენტები: გადაწყვეტების სტრეს-ტესტი, ზეგავლენის რადარი)

ნაბიჯი 6

დაგეგმეთ განხორციელება

- ჩამოაყალიბეთ სამოქმედო გეგმა და განსაზღვრეთ დაფინანსების წყაროები (ინსტრუმენტები: სამოქმედო გეგმა გაწერა, ადგილობრივი დაფინანსების მოპოვება)
- უზრუნველყავით თქვენი გეგმის გაზიარება და მკაფიო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან; ჩაერთეთ თქვენი ქალაქის/უბნის პოლიტიკისა და დაგეგმარების პროცესებში და მოახდინეთ გავლენა მიმდინარე პროცესზე

იყავით შთაგონებული და ჩართული

- **წყალტუბოში** მრავალდარგობრივმა ადგილობრივმა სამუშაო ჯგუფმა საწყისი (ბაზისური) კვლევა ჩაატარა და შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ადგილობრივი სოციალურ - ეკონომიკური განვითარების გეგმას.
- **რუსთავში** სამოქალაქო აქტორებმა მოქალაქეთა ასამბლეა გამოიყენეს, რათა ჩამოეყალიბებინათ საერთო ხედვა და გავლენა მოეხდინათ რუსთავის ჭალის ტყის განვითარებაზე.
- **დუშეთში** ისტორიული უბნის რეაბილიტაციის გეგმა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით, რის შედეგადაც დაგეგმვის პროცესში მოხდა ადგილობრივი თემის, ექსპერტებისა და ხელისუფლების საჭიროებებისა და ხედვების ინტეგრირება. ამ თანამშრომლობითი მიდგომის მიზანი იყო უბნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამავე დროს, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.
- **ბათუმში**, დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით დამტკიცდა ველოგადაადგილების გენერალური გეგმა, რომელიც ველოგადაადგილების ქსელის განვითარებასა და საჭირო ინფრასტრუქტურის სრულყოფილ შექმნას მოიცავდა.
- **სტამბოლში, თურქეთში** (EMBARQ/ ემბარქი), სატრანსპორტო ასოციაციამ მხარი დაუჭირა უბნის სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეითად გადაადგილების გაუმჯობესებას, გადატვირთული მოძრაობისა და ჰაერის დაბინძურების შემცირებას. სტრატეგიის შედეგად შეიქმნა ახალი საფეხმავლო ქსელი, რამაც გააუმჯობესა ქვეითთა გადაადგილების პირობები, ხელი შეუწყო უბნის საჯარო სივრცეების განვითარებასა და პოპულარიზებას, ასევე გააუმჯობესა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ველოგადაადგილების სისტემები.

საფეხმავლო ტური ბათუმის ფეხით გადაადგილების კონცეფციის შემუშავებისთვის, Love to Ride Batumi

სხვა გამოყენება:

ხედვის ჩამოყალიბების მეთოდი იგივე წარმატებით შეიძლება გამოიყენოთ ისეთი სტრატეგიების შესამუშავებლად, რომლებიც კონკრეტულ და მწვავე პრობლემებს პასუხობს - მაგალითად, წყალდიდობის რისკს, ჰაერის დაბინძურებას, ან ტურიზმის უკეთესი მართვის საჭიროებას.

ვერის ახლადრეაბილიტირებული პარკი

სცენარი 2

ახალი და გაუმჯობესებული ღია საჯარო სივრცე

'სიმბიოსითის' მიდგომა ასევე გეხმარებათ სამეზობლოში ფიზიკური სივრცის გაუმჯობესებაში, მაგალითად შეგიძლიათ შექმნათ ახალი სკვერი ან არსებულის რეაბილიტაცია განახორციელოთ.

თანამშრომლობითი მეთოდის მეშვეობით, შეგიძლიათ ალტერნატიული მიდგომების იდენტიფიცირება და შემდგომ შეფასება, თქვენი შეთავაზების სარგებლისა და ზემოქმედებების გაანალიზება და ისეთი საჯარო ღია სივრცეების გადაწყვეტების შემუშავება, რომლებიც რეალისტური და განხორციელებადია.

პრობლემა / შესაძლებლობა:

- საჯარო ღია სივრცეები (მწვანე და რეკრეაციული ტერიტორიები) საქართველოს ქალაქებში მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს და მათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებელი აქვს: მათი არსებობა ქალაქში ცხოვრების ხარისხის ('საცხოვრებლად ვარგისიანობის') ერთგვარი ინდიკატორია. კარგად დაგეგმილი და ეფექტიანად მართული საჯარო ღია სივრცეები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებასა და ტურიზმს. საჯარო ღია სივრცეები ამაღლებს სოციალურ ინკლუზიას დასვენებისთვის უსაფრთხო და ყველასთვის ხელმისაწვდომი გარემოს, კულტურული აქტივობებისა და სათემო ცხოვრების პირობების უზრუნველყოფით. ამასთან, საჯარო ღია სივრცეები აძლიერებს მდგრადობას კლიმატისა და ბუნებრივი საფრთხეების შემცირების გზით - ბუნებაზე დაფუძნებული გაგრილების, უხვი ნალექის მენეჯმენტის და ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესების გზით.
- თუმცა, საქართველოს ბევრ ქალაქში მნიშვნელოვანი საჯარო ღია სივრცეები კვლავ არასაკმარისია ან არასრულფასოვნადაა გამოყენებული, ხოლო ახალი საჯარო ღია სივრცეების შექმნის შესაძლებლობები იკარგება ქალაქების უკონტროლო განაშენიანების შედეგად. არსებული სივრცეების განვითარება და გაუმჯობა, პირველ რიგში, იქ მაცხოვრებელი თემის საჭიროებებსა და პრიორტებებს უნდა ეფუძნებოდეს.
- მნიშვნელოვანია, რომ ყველა საჯარო ღია სივრცე დაიგეგმოს და განვითარდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის და მათთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღებით იმ ჯგუფების მიმართ, რომლებიც ხშირად უგულებელყოფილი არიან (ქალები და გოგონები, ბავშვები და ხანდაზმულები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები,) და სივრცეები ხშირად არ არის მათთვის მისაწვდომი, უსაფრთხო და სათანადოდ მოწყობილი.

რეაგირება/ როგორ გავაკეთოთ ეს

როდის და როგორ დაიწყებთ სიმბიოსითის მიდგომის გამოყენებას დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ხართ **გადაწყვეტილებების** შემუშავების თვალსაზრისით. თუ პროცესს ახლა იწყებთ, ნაბიჯების თანმიმდევრულად გავლა დაგეხმარებათ განვითარების პროცესიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებაში. ხოლო თუ უკვე გაქვთ სრულად ჩამოყალიბებული გეგმები, შეგიძლიათ გამოიყენოთ საწყისი საფეხურები და ინსტრუმენტები, რათა გადააფასოთ, რამდენად ყოვლისმომცველია თქვენი მიდგომა და საჭიროებს თუ არა გაუმჯობესებას (მაგალითად, ხომ არ გამოგრჩათ მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები ან დახვეწას ხომ არ საჭიროებს შეფასების ეტაპი)

ნაბიჯი 1

პროცესის ორგანიზება

- შეათანხმეთ, როგორ წარმართავთ გადაწყვეტილების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს (ინსტრუმენტი: სამუშაო გეგმის გაწერა)
- გამოავლინეთ დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გადაწყვეტილების ჩამოყალიბებაში (ინსტრუმენტი: დაინტერესებული მხარეების რუკის შედგენა (ანალიზი))
- შეათანხმეთ რა საშუალებებით აწარმოებთ კომუნიკაციას თქვენს დაინტერესებულ მხარეებთან, მათი შეხედულებების შესაგროვებლად და პროგრესის შესახებ ინფორმაციის გასაზიარებლად. ასევე სასურველია დაინტერესებულ მხარეებს აუხსნათ თქვენი ხედვის გამოყენებით, როგორ მოახდენთ საჯარო ღია სივრცის განვითარების პროცესზე ზემოქმედებას. (ინსტრუმენტი: კომუნიკაციის გეგმა)

ნაბიჯი 2

შეაფასეთ არსებული ვითარება

- **განსაზღვრეთ**, რა ინფორმაცია („მონაცემები“) გჭირდებათ საჯარო ღია სივრცის გასააზრებლად და როგორ შეაგროვებთ მას (ინსტრუმენტები: ველზე გასვლა და აღწერა, საჯარო სივრცის ანალიზი)
- **დარწმუნდით, რომ ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს ითვალისწინებთ** (განსაკუთრებით ქალების, გოგონებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების) და გამოიყენეთ ინსტრუმენტების მრავალფეროვანი სპექტრი მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად (ინსტრუმენტები: ბავშვზე ზეგავლენის შეფასება, უბნის დაცულობის კვლევა)

ნაბიჯი 3

ჩამოაყალიბეთ ხედვა, მიზნები და ამოცანები

- კოორდინირებულად იმუშავეთ თქვენი ხედვის ჩამოსაყალიბებლად და იმის დასაზუსტებლად, თუ კონკრეტულად რისი მიღწევა გსურთ (თქვენი მიზნები და ამოცანები) (ინსტრუმენტები: თქვენი ხედვა და სამუშაო შეხვედრა დიზაინზე)

ნაბიჯი 4

შეიმუშავეთ ერთიანი (ინტეგრირებული) გადაწყვეტილება

- განიხილეთ სხვადასხვა ალტერნატიული გზა თქვენი საჯარო ღია სივრცის ხედვისა და მიზნების მისაღწევად (ეს შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი, ფიზიკური ან არაფიზიკური, დაბალხარჯიანი ან მაღალხარჯიანი, დაუყოვნებელი და/ან გრძელვადიანი გადაწყვეტები); დარწმუნდით, რომ შერჩეული ვარიანტ(ებ)ი რეალისტური და ფინანსურად ხელმისაწვდომია

- ჩამოაყალიბეთ საჯარო ღია სივრცის გადაწყვეტა და უზრუნველყავით დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, ასევე დაგეგმვის პროცესში ადგილზე დაფუძნებული მონაწილეობის გათვალისწინება; შესაძლებლობის შემთხვევაში, პროცესში ჩართეთ სამშენებლო სფეროს ექსპერტები, რათა თქვენი გადაწყვეტების შემუშავება მოხდეს ნახაზებისა და სამგანზომილებიანი მოდელების გამოყენებით (ინსტრუმენტები: საჯარო სივრცის შექმნა, 'ქალის თვალით', AI/3D ვიზუალიზაცია)

ნაბიჯი 5

შეაფასეთ სარგებელი და ზემოქმედება

- შეაფასეთ თქვენი გადაწყვეტა მისი სარგებლისა და ზემოქმედების გამოსავლენად; დარწმუნდით, რომ იგი შეესაბამება თქვენს მიზნებს და ამავე დროს განხორციელებადია (ინსტრუმენტები: გადაწყვეტების სტრეს-ტესტი, ზეგავლენის რადარი („მდგრადობის ვარდი"))

ნაბიჯი 6

დაგეგმეთ განხორციელება

- შეიმუშავეთ განხორციელების გეგმა, რომელშიც განსაზღვრავთ, რა უნდა გაკეთდეს და ვინ იქნება პასუხისმგებელი - განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ საჯარო ღია სივრცის სამშენებლო ასპექტებს (ინსტრუმენტები: განხორციელებისა და ტექნიკური მომსახურების სტრატეგია)
- შეადგინეთ გადაწყვეტის ბიუჯეტი (რომელიც მოიცავს როგორც კაპიტალურ ხარჯებს, ისე საჯარო ღია სივრცის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს) და დაფინანსების გეგმა. (ინსტრუმენტი: ადგილობრივი დაფინანსების მოპოვება)
- უზრუნველყავით თქვენი გეგმის გაზიარება და მკაფიო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე ჩაერთეთ თქვენი ქალაქის/უბნის პოლიტიკისა და დაგეგმარების პროცესებში და მოახდინეთ გავლენა მიმდინარე პროცესზე

შთამაგონებელი მაგალითები

- ფოთში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ინიციატიით განხორციელდა ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, რომელიც საზოგადოებრივი თანამონაწილეობით/'ქრაუდფანდინგით' დაფინანსდა და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა.
- „მე ვარ კარაჩი" პაკისტანში განხორციელებული სამოქალაქო კამპანია კულტურული გადააზრების და კრეატიულობის შთამაგონებელი მაგალითია, რაც ადამიანების დიალოგში ჩართვითა და საჯარო სივრცეებში სოციალური ურთიერთქმედების წახალისებით განხორხციელდა. 2011 წელს დაწყებული მოძრაობის ფარგლებში ასევე განახლდა სპორტული ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც მოწყვლად უბნებში 5 000-მდე ახალგაზრდამ გამოიყენა ახალი სერვისები, ხოლო პროცესში 200 ადგილობრივი ხელოვნების სფეროს წარმომადგენელი და დიზაინერი ჩაერთო. სამოქალაქო აქტორებმა და კერძო სექტორმა აჩვენეს, თუ როგორ შეუძლიათ საჯარო ღია სივრცეების ტრანსფორმირების მართვა დაფინანსებისა და რესურსების მობილიზებითა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის ორგანიზების მეშვეობით

წყარო: მსოფლიო ბანკი, 2020. „ქალაქების ფარული სიმდიდრე: საჯარო სივრცეების შექმნა, დაფინანსება და მართვა".

- ნიუ-იორკში არასამთავრობო ორგანიზაცია ‘სთრით ლებ NYC’ მხარს უჭერს საჯარო სივრცეების ადგილობრივებზე მორგებულ სათემო გადაწყვეტებს (მათ შორის პარკებს, მოედნებსა და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებს) ფიზიკური სივრცითი დიზაინის გამოყენებით.

წყარო: C40, 2024 მწვანე და სიცოცხლით სავსე საჯარო სივრცეების დიზაინის სახელმძღვანელო

- ბრაზილიაში, კერძოდ, სან-პაულოში ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა და საზოგადოებრივი მოძრაობების ლიდერებმა ერთობლივად მიიღეს მონაწილეობა მიტოვებული მიწის ნაკვეთის წვიმის ბაღად და მცირე ტყის კუნძულად გარდაქმნაში, სადაც ახლა იმ ზედაპირული წყლის ჩამონადენის შეგროვება ხდება, რომელიც მანამდე სხვა უბნების დატბორვას იწვევდა. სოციალური მედიის გამოყენებითს ხვადასხვა ასაკის მოხალისეები მოიზიდეს და მათი მოტივირებისთვის-მცირე მიწის ნაკვეთებზე მსგავსი მიკრო ტყეები გააშენეს; რის შედეგადაც მოხერხდა კერძო დაფინანსების მოზიდვა ახალი მცირე პარკის მოვლა და დაცვა.

წყარო: CARDIM Arquitetura Paisagística https://oppla.eu/casestudy/20079 http://www.cardimpaisagismo.com.br/portfolio/largo-das- araucarias

რომის ფოტოები, C4D

- რომის სან-ლორენცოს უბანში მდებარეობს ქალაქის პირველი ურბანული მიკრო ტყე (Parco dei Caduti) - ხმელთაშუა ზღვის ბუჩქისებრ მცენარეთა მცირე ბუნებრივი ნაკრძალი, რომელიც მდგრადია სიცხისა და გვალვის მიმართ, ინარჩუნებს ბიომრავალფეროვნებას, წყალს შთანთქავს და ტენიანობას გამოყოფს. ეს მაგალითი ნათლად ცხადყოფს, თუ რამდენად შეუძლია ბუნების მცირე მონაკვეთს ეკოლოგიური და სოციალური ფუნქციების შესრულება და უფრო მდგრადი ცხოვრების წესის წახალისება. პროექტის თანა-დაგეგმვაში ჩართულები იყვნენ უნივერსიტეტისა და საშუალო სკოლის სტუდენტები. ინიციატივა „საპიენცას უნივერსიტეტის“, რომის მუნიციპალიტეტის და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა

წყარო: C40. 2024. „მწვანე და სიცოცხლით სავსე საჯარო სივრცეების დიზაინის სახელმძღვანელო“

ტაქტიკური ურბანიზმის პროექტი ბათუმში - უსაფრთხო გზა სკოლამდე, GIZ Georgia (Mobility4Cities)

სცენარი 3

ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების წახალისება (‘ტაქტიკური გადაწყვეტა’)

მცირე მასშტაბსა და მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირებულმა მიდგომამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები და გრძელვადიანი ზეგავლენა მოიტანოს. ტაქტიკური გადაწყვეტები *(„ტაქტიკური ურბანიზმი“)* წარმოადგენს მიდგომას, რომელიც გულისხმობს უბნის დონეზე განხორციელებულ მცირე მასშტაბის ფიზიკურ ინტერვენციებს, მოკლე ვადაში და შედარებით მცირე ხარჯებით. ასეთი გადაწყვეტები უზრუნველყოფს:

- საგზაო უსაფრთხოების სწრაფ გაუმჯობესებას ავტომობილებით გადატვირთულ გზაჯვარედინებზე ან სკოლების მიმდებარედ; მაგალითად მცირე (‘მიკრო’) რეკრეაციული სივრცეების მოწყობას; ასევე საზოგადოებრივ სივრცეებში მარტივად გადასატანი სკამების დადგმას და ქოთნებში ჩარგულ გამწვანებას.
- ინოვაციური გადაწყვეტების პილოტირება, მაგალითად, ქუჩების დროებითად საფეხმავლოდ და ველოსიპედისტებისთვის გადაკეთება ან კვირაში ერთხელ ან სეზონურად („ზაფხულის ქუჩები“) - საშუალებას იძლევა გამოიცადოს ცვლილებების ეფექტი და შეიქმნას საფუძველი უფრო გრძელვადიანი გადაწყვეტილებებისთვის. ამ პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებლობას შემდგომში უკვე ადგილობრივი ხელისუფლება გადაიბარებდა.
- სამოქალაქო აქტორების მიერ ტაქტიკური გადაწყვეტები ქმნის სწავლისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას და აჩვენებს, რომ გრძელვადიანი და მდგრადი ცვლილებები რეალურად მიღწევადია.

ამ სცენარში აღწერილია თუ როგორ შეგიძლიათ სიმბიოსითის მიდგომებისა და

ტაქტიკური ურბანიზმის პროექტი ბათუმში - უსაფრთხო გზა სკოლამდე, GIZ Georgia (Mobility4Cities)

ინსტრუმენტების გამოყენება ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების გაუმჯობესების მაგალითზე. ეს სცენარი ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების გაუმჯობესების მაგალითზე აღწერს 'სიმბიოსითის' მეთოდის გამოყენებას და სხვადასხვა ინსტრუმენტის პრაქტიკაში დანერგვას. ტაქტიკური გადაწყვეტის განხორციელება შესაძლებელია იქ, სადაც მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებები ამის საშუალებას იძლევა - თუმცა აუცილებელია წინასწარ გაარკვიოთ, გაქვთ თუ არა შესაბამისი სამართლებრივი უფლება. მიუხედავად ამისა, ტაქტიკური გადაწყვეტილებების შემუშავება ყოველთვის შესაძლებელია, როგორც გავლენის მოხდენისა და სხვა მხარეების დარწმუნების ეფექტიანი გზა, რომ შედარებით დაბალბიუჯეტიანი და მარტივად განსახორციელებელი გადაწყვეტებიც რეალურია და შედეგიანია.

პრობლემა / შესაძლებლობა:

- **მრავალ ქალაქში ვაწყდებით კერძო ავტომობილით გადაადგილებაზე ჭარბ დამოკიდებულებას, ხოლო ქვეითებისთვის (ტროტუარები და გადასასვლელები) და ველოსიპედით მოსარგებლეებისთვის (მაგალითად, ველობილიკები და ველოპარკირებები) განკუთვნილი ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოება ხშირად არასაკმარისია. ქუჩები ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაადგილებას ვერც ერთი მომხმარებლისთვის, თუმცა განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები, ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან.**
- **ქალაქების ქვეითად და ველო გადაადგილებაზე მეტად მორგება მრავალმხრივ სარგებელს იძლევა: ხელს უწყობს 'აქტიურ მობილობას', რაც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა; ამცირებს ჰაერის დაბინძურებას და აუმჯობესებს საგზაო უსაფრთხოებას; უზრუნველყოფს მოქალაქეებს შორის უფრო ინტენსიურ და ხარისხიან ურთიერთქმედებას; ზრდის ქუჩების საერთო ხარისხს და შედეგად ეკონომიკური სარგებელი მოაქვს ადგილობრივი ბიზნესისთვის.**
- **მცირე მასშტაბის, დაბალხარჯიანი და სწრაფად განხორციელებადი პროექტები შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენის მქონე აღმოჩნდეს. ეს შეიძლება მოიცავდეს სკოლის წინ ქვეითთა გადასასვლელის ელემენტარულ გაუმჯობესებას ბავშვების უსაფრთხოების გასაზრდელად, დროებითი ველოპარკირების მოწყობას, ან არსებული ქუჩისა და საპარკინგე სივრცის პერიოდულ გამოყენებას დროებითი საზოგადოებრივი აქტივობებისთვის (მაგალითად, ფერმერთა ღია ბაზრობის მოწყობა, სათამაშო მოედნის განთავსება ან საცეკვაო და თეატრალური ღია სივრცის შექმნა).**

რეაგირება - როგორ გავაკეთოთ ეს?

ტაქტიკური გადაწყვეტები გამოირჩევა მოქნილობითა და სწრაფი მოქმედების უნარით და ეფუძნება მოქმედებაში მოყვანაზე ორიენტირებულ გააზრებას. როდის და როგორ დაიწყებთ 'სიმბიოსითის' მიდგომის გამოყენებას დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წინ ხართ გადაწყვეტების შემუშავების თვალსაზრისით. თუ პროცესს ახლა იწყებთ, ნაბიჯების თანმიმდევრულად გავლა დაგეხმარებათ განვითარების პროცესიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებაში. ხოლო თუ უკვე გაქვთ სრულად ჩამოყალიბებული გეგმები, შეგიძლიათ გამოიყენოთ საწყისი საფეხურები და ინსტრუმენტები, რათა გადააფასოთ, რამდენად ყოვლისმომცველია თქვენი მიდგომა და საჭიროებს თუ არა გაუმჯობესებას (მაგალითად, ხომ არ გამოგრჩათ მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას, ან დახვეწა ხომ არ სჭირდება შეფასების ეტაპს).

ნაბიჯი 1

პროცესის ორგანიზება

- შეათანხმეთ სამოქმედო გეგმა თქვენი ტაქტიკური გადაწყვეტების განსახორციელებლად (ინსტრუმენტი: სამუშაო გეგმის გაწერა)
- გამოავლინეთ დაინტერესებული მხარეები, ვისაც ტაქტიკური გადაწყვეტა სარგებელს მოუტანს და ვისაც შეუძლია მისი განხორციელების ხელშეწყობა (ინსტრუმენტი: დაინტერესებული მხარეების რუკის შედგენა (ანალიზი))
- შეათანხმეთ რა საშუალებებით აწარმოებთ კომუნიკაციას თქვენს დაინტერესებულ მხარეებთან, მათი შეხედულებების შესაგროვებლად და ტაქტიკური გადაწყვეტილების შესამუშავებლად

ნაბიჯი 2

შეაფასეთ არსებული ვითარება

- გამოავლინეთ კონკრეტული შესაძლებლობის მქონე ადგილი და დარწმუნდით, რომ კარგად გესმით იმ პრობლემის ძირეული მიზეზები, რომლის მოგვარებაცაა საჭირო (ინსტრუმენტები: ველზე გასვლა და დაკვირვება, უბნის უსაფრთხოების კვლევა)
- გამოიყენეთ ინსტრუმენტების გონივრული რაოდენობა სათანადო ინფორმაციის შესაგროვებლად *(იხილეთ გვერდი 91)*

ნაბიჯი 3

ჩამოაყალიბეთ ხედვა, მიზნები და ამოცანები

- ერთობლივად შეათანხმეთ, როგორ უნდა მოხდეს პრობლემის გადაწყვეტა და რის მიღწევას ისახავთ მიზნად (თქვენი მიზნები და ამოცანები) (ინსტრუმენტები: გვსურს / არ გვსურს ანალიზი, საჯარო სივრცის შექმნა)

სხვა გადაწყვეტები

ამასთან, ტაქტიკური გადაწყვეტები ასევე მოიცავს არაფიზიკურ აქტივობებს, რომლებიც შესაძლებელია სწრაფად დაიგეგმოს და განხორციელდეს. მაგალითად, უბნის დასუფთავების ინიციატივები, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების, ან ხეების მოჭრისგან დაცვის კამპანიები; მოქალაქეთა მიერ ინიცირებული საზოგადოებრივი ფესტივალები და წერილობითი პეტიციები.

ნაბიჯი 4

შეიმუშავეთ ინტეგრირებული გადაწყვეტილება

- განიხილეთ სხვადასხვა ვარიანტი, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია სწრაფად და იაფად. (ინსტრუმენტები: გადაწყვეტების მატრიცა, ერთიანი გადაწყვეტები)
- ჩამოაყალიბეთ თქვენი ტაქტიკური გადაწყვეტა (ინსტრუმენტი: საჯარო სივრცის შექმნა)

ნაბიჯი 5

შეაფასეთ თქვენი გადაწყვეტილებების სარგებელი და ზემოქმედება

- შეაფასეთ თქვენი ტაქტიკური გადაწყვეტა მათი სარგებლისა და ზემოქმედების გამოსავლენად; დარწმუნდით, რომ ისინი შეესაბამება თქვენს ხედვას და რეალურად განხორციელებადია. ეს დაგეხმარებათ განსაზღვროთ, შეძლებთ თუ არა ტაქტიკური გადაწყვეტებისს განხორციელებას თავად, თუ საჭირო იქნება თქვენი კონცეფციის გამოყენება მიწის მესაკუთრეებსა და გადაწყვეტილების მიმღებებ პირებზე გავლენის მოსახდენად (ინსტრუმენტები: გადაწყვეტების სტრეს-ტესტი, ზეგავლენის რადარი („მდგრადობის ვარდი“)).

ნაბიჯი 6

დაგეგმეთ განხორციელება

- შეიმუშავეთ განხორციელების გეგმა, სადაც განსაზღვრავთ რა უნდა გაკეთდეს, რა რესურსებია საჭირო და ვინ იქნება პასუხისმგებელი შესრულებაზე.
- გააზიარეთ თქვენი გეგმა, უზრუნველყავით მკაფიო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან. ჩაერთეთ პროცესში და მოახდინეთ ზეგავლენა თქვენი ქალაქის/ უბნის პოლიტიკასა და დაგეგმვაზე.
- თქვენი ინიციატივის განხორციელებისას დააკვირდით და დააფიქსირეთ ტაქტიკური გადაწყვეტების შედეგები, რათა მიღებული მტკიცებულებები გამოიყენოთ უფრო მდგრადი და გრძელვადიანი ცვლილებების მისაღწევად.

ტაქტიკური ურბანიზმის პროექტი ბათუმში - უსაფრთხო გზა სკოლამდე, GIZ Georgia (Mobility4Cities)

შთამაგონებელი მაგალითები

უსაფრთხო გზა სკოლამდე - როცა ქუჩები მოძრავ საკლასო სივრცეებად იქცევა

2022 წელს ბათუმის მე-14 საჯარო სკოლა გაბედული ექსპერიმენტის ეპიცენტრად იქცა - იმის დასამტკიცებლად, რომ ქუჩები მხოლოდ ავტომობილებს არ ეკუთვნით და რომ შესაძლებელია ქუჩები ბავშვებისთვის უსაფრთხო, სოციალურ და საგანმანათლებლო სივრცეებადაც გადაკეთდეს.

ინასარიძის ქუჩის გადატვირთულ მონაკვეთზე მდებარე სკოლა ყოველდღიურად დგას ხერგილების პრობლემის წინაშე, რის გამოც სკოლამდე მისვლა ყოველდღე სიმამაცის ტოლფასია. ბათუმის მერიის, 'მობილურობა ქალაქებისთვის' (GIZ) და შავი ზღვის ეკო-აკადემიის მხარდაჭერით, სკოლის ადმინის-ტრაციამ ქმედებაზე გადასვლა გადაწყვიტა. მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და ადგილობრივი მოხალისეები გაერთიანდნენ და ქუჩის მანქანებისგან გათავისულფება დაიწყეს - სკოლის წინ ქუჩაზე ჩადგეს მცენარეები ქოთნებით, ქუჩა მოხატეს, ითამაშეს ჭადრაკი და კრეატიულობის ზეიმი მოაწყეს.

ტაქტიკური ურბანიზმის საპილოტე პროექტის ფარგლებში, დროებითმა ბარიერებმა შეამცირა ავტომობილების სიჩქარე და უზრუნველყო ფეხით უსაფრთხო გადაადგილება. ერთი კვირის განმავლობაში სკოლაში ბავშვების ავტომობილით მიყვანა ჩაანაცვლა ფეხით და ველოსიპედით გადაადგილებამ - შედეგი თვალსაჩინო იყო: გაიზარდა სკოლაში ფეხით გადაადგილების შემთხვევები, ველოსიპედით გადაადგილება გაორმაგდა, ხოლო მშობ-ლების უსაფრთხოების განცდა მკვეთრად გაუმჯობესდა - მოსწავლეებმა ახალი დიზაინი კი „10-დან 10 ქულით" შეაფასეს.

ბავშვებისთვის ეს მხოლოდ უსაფრთხოების საკითხი არ იყო - საქმე კუთვნილების თანა-განცდას ეხებოდა. როგორც ერთმა მოსწავლემ თქვა: „სკოლის წინ ქუჩის მოხატვა ჩემთვის ყველაზე საყვარელი ნაწილი იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სკოლა გახდა ჩვენი - ლამაზი, ფერადი ადგილი, სადაც ფეხით და ველოსიპედით გადაადგილება, თუნდაც თამაში აღარ არის შეზრუდული".

პროექტმა აჩვენა, რომ დროებით ცვლილებ-ებსაც შეუძლია გრძელვადიანი შედეგების მოტანა. როდესაც ბავშვებს ეძლევათ უსაფრთხო გადაადგილების მარშრუტები და თავისუფლი მოძრაობის სივრცე, ისინი უფრო დამოუკიდებლები, კონცენტრირებულები და თავდაჯერებულები ხდებიან, ხოლო როდესაც ქალაქები ინვესტიციას დებენ ყველაზე უმცროსი მოქალაქეების უსაფრთხო გადაად-გილებაში, ისინი საკუთარ მომავალშიც დებენ ინვესტიციას.

დღეს ბათუმის მე-14 საჯარო სკოლა ცოცხალი მაგალითია იმისა, რომ მდგრადი ურბანული მობილობა ბავშვებით იწყება და ყოველი უსაფრთხო ფეხით მისვლა სკოლამდე უკეთესი ქალაქისკენ გადადგმული მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ოფისი
ვერაზე
2 31 88 88
568 31 88 88
officerent.ge

04

‘სიმბიოსითის’ მეთოდი

‘სიმბიოსითის’ მეთოდი **მოიცავს 6 ურთიერთდაკავშირებულ საფეხურს და წარმოადგენს პრაქტიკულად გამოცდილ, სტრუქტურირებულ მიდგომას პროექტის მართვისთვის.** იგი სპეციალურადაა შემუშავებული თემის ხელმძღვანელობით განხორციელებული, მდგრადი, ინკლუზიური და მედეგი ურბანული განვითარების მხარდასაჭერად. თითოეული საფეხური ეფუძნება წინა ეტაპზე მიღებულ შედეგებს, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტების ფაქტობრივ მასალაზე დაფუძნებას, მონაწილეობით პროცესს და საზოგადოების რეალურ საჭიროებებზე ორიენტაციას.

მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი შექმნილია, როგორც ურბანული განვითარების გასაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებების გზამკვლევი, **მისი გამოყენება შესაძლებელია სრულად თუმცა ამასთან, ნაწილობრივ. მეთოდის ადაპტირება დამოკიდებულია თქვენს საჭიროებებზე** და იმაზე, თუ რომელ ეტაპზე იმყოფებით, თქვენი ქალაქისთვის პრობლემების იდენტიფიცირების, გადაწყვეტების შემუშავების თუ მათი განხორციელების პროცესში. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სცენარები (იხილეთ გვერდები 43-55) დაგეხმარებათ უკეთ გაიზროთ, როგორ შეიძლება ‘სიმბიოსითი’ მეთოდის გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში.

◀ *ველომსვლელობა თბილისის მობილობის ევროპული კვირეულის ფარგლებში, Love to Ride Batumi*

'სიმბიოსითი' და მისი ეტაპები, ისევე როგორც ყველა წარმატებული ურბანული განვითარების პროცესი, ეფუძნება მკაფიო და თანმიმდევრულ საპასუხო ქმედებებს შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- ✓ პროცესის მონაწილეთა იდენტიფიცირება და **პროცესის ორგანიზება** - ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა, რომელიც აძლიერებს ლეგიტიმაციას, ზრდის მონაწილეთა პასუხისმგებლობასა და ჩართულობას და განაპირობებს უკეთეს შედეგებს **(ეტაპი 1)**
- ✓ **არსებული მდგომარეობის შეფასება** - პრიორიტეტული საკითხების, ქალაქისა და უბნის კონტექსტში არსებული ტენდენციების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების სისტემური ანალიზი **(ეტაპი 2)**
- ✓ **სასურველი მომავლის განსაზღვრა** - ხედვის, მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება **(ეტაპი 3)**
- ✓ მიზნების მიღწევის გზების დაგეგმვა - **სხვადასხვა სცენარისა** და ერთიანი გადაწყვეტების შემუშავება **(ეტაპი 4)**
- ✓ გადაწყვეტების **ეფექტებისა** და **სარგებლიანობის** გააზრება - დადებითი შედეგების მაქსიმიზაციისა და უარყოფითი გავლენების მინიმიზაციის გზით **(ეტაპი 5)**
- ✓ განხორციელება და შეფასება - **დაგეგმილი გადაწყვეტების პრაქტიკაში დანერგვა**, მათი გავლენის მონიტორინგი და შეფასება **(ეტაპი 6)**

მიუხედავად იმისა, რომ 'სიმბიოსითის' ეტაპები ლოგიკურ თანმიმდევრობას ეფუძნება, პრაქტიკაში შესაძლებელია ეტაპებს შორის წინ და უკან გადასვლა, ასევე ადრეული დასკვნებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაბრუნება. მაგალითად, თუ საჯარო ღია სივრცის დიზაინი არასაკმარისად ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, შესაძლოა საჭირო გახდეს პროცესის გადახედვა და გადაწყვეტების შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ახალი ჯგუფების ჩართვა. ამასთან, პროცესის დაწყებიდანვე მნიშვნელოვანია განხორციელების და შეფასების ეტაპების გათვლა და გათვალისწინება.

წარმატების მისაღწევად აუცილებელია პროცესის ეფექტიანი ლიდერობა, მჭიდრო თანამშრომლობა და ცვლილებებზე ზემოქმედების უნარი, რაც მიიღწევა 'სიმბიოსითის' მიდგომის გააზრებული, სისტემური და თანმიმდევრული გამოყენებით.

ნაბიჯები წარმატებული ურბანული დაგეგმარებისა და განვითარებისათვის

ნაბიჯი 1
პროცესის ორგანიზება

მეტად მნიშვნელოვანია მთელი პროცესის გააზრება, სანამ 'სიმბიოსითის' მიდგომის გამოყენებას დაიწყებთ. ინკლუზიური დაგეგმარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის პროცესი ორგანიზებული, რამდენად უზრუნველყოფს იგი ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და თანამონაწილეობის რეალური გარემოს შექმნას. კარგად ჩამოყალიბებული პროცესი ზოგავს დროსა და რესურსებს, ზრდის გამჭვირვალობის ხარისხს, შემოაქვს მეტი სიცხადე და უზრუნველყოფს ყველა მონაწილის შეთანხმებას საერთო მიზნისკენ სწრაფვისთვის.

პროცესის ორგანიზებისას გაითვალისწინეთ შემდეგი კითხვები:

- ✓ რა მიზანს ისახავს თქვენი ინიციატივა?
- ✓ ვინ უხელმძღვანელებს პროცესს?
- ✓ ვინ უნდა იყოს ჩართული პროცესში?
- ✓ როგორ მიაღწევთ დასახულ მიზანს და რა ვადაში?
- ✓ ვინ იქნება პასუხისმგებელი განახორციელებაზე?

ვინ უხელმძღვანელებს პროცესს?

საწყის ეტაპზე აუცილებელია შეთანხმება იმაზე, თუ ვინ უხელმძღვანელებს პროცესს და როგორ იქნება იგი ორგანიზებული. ამისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს მართვაზე და დაგეგმვაზე პასუხისმგებელი გუნდის შექმნა, რომლის მთავარი ამოცანა იქნება უფრო რთული და მრავალმხრივი პროცესების წარმართვა.

ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესები ასევე მოითხოვს მუშაობის და პროცედურების წესებზე წინასწარ შეთანხმებას, მათ შორის, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები, როგორ მოხდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვა და როგორ წარიმართება მათთან კომუნიკაცია.

ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს გუნდის საქმიანობის ხანგრძლივობა - დაგჭირდებათ იგი მხოლოდ გადაწყვეტების იდენტიფიცირებისა და შემუშავების ეტაპზე, მთელი განხორციელების პროცესის განმავლობაში, თუ უფრო ხანგრძლივი ვადით. შესაძლებელია მმართველი სტრუქტურა იყოს მუდმივმოქმედი ან კონკრეტულ, მოკლევადიან სცენარებზე მორგებული.

თქვენი საჭიროებებისა და კონტექსტის მიხედვით, მართვაზე პასუხისმგებელი გუნდი შესაძლოა დაკომპლექტდეს შემდეგნაირად:

- **გავლენიანი და სანდო ადგილობრივი ლიდერებით:** 'სიმბიოსითის' პროცესი მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას სამოქალაქო აქტორებს შორის ერთიანი ხედვისა და პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. ეს შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის საკოორდინაციო საბჭოს, სამოქალაქო სათათბიროს ან პლატფორმის, ან ადგილობრივი განვითარების თემაზე შექმნილი სამოქალაქო „ლაბორატორიის" მეშვეობით. არჩეული სტრუქტურის მიუხედევად, მასში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართული ადგილობრივი გავლენიანი ლიდერები, რომლებიც საზოგადოების ნდობით სარგებლობენ.
- **სხვადასხვა სფეროს ექსპერტებით:** შესაძლებლობის ფარგლებში პროცესში უნდა იყვნენ ჩართულნი ურბანული დაგეგმარების სპეციალისტები, ეკონომისტები, გარემოს დაცვის ექსპერტები და სხვა დარგის პროფესიონალები, რათა მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებსა და პრობლემების გადაჭრაში. მათი პროფესიული ცოდნა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ერთიანი, რეალისტური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტების შესამუშავებლად.
- **დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებით:** თანამშრომლობითი მიდგომის უზრუნველსაყოფად აუცილებელია თემის მოსახლეობის, სამოქალაქო

საზოგადოების, აკადემიური წრეების, კერძო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობა. ეს ჯგუფები მრავალფეროვანია და მათი როლი და წვლილი განსხვავებული თითოეული კატეგორიის მიხედვით. დროთა განმავლობაში დაინტერესებულ მხარეთა შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს აქტივობების სხვადასხვა ეტაპზე. მნიშვნელოვანია ჩართულობის განსხვავებული ფორმატების გათვალისწინება, რადგან ყველა დაინტერესებული მხარე თავს კომფორტულად ვერ გრძნობს ფართო ან შერეულ აუდიტორიაში საკუთარი მოსაზრების გამოთქმისას.

წესებისა და პროცედურების გაწერისას შემდეგი შეკითხვები დაუსვით თქვენ თავს:

- ✓ როგორ მიიღებთ გადაწყვეტილებებს?
- ✓ კომუნიკაციის რა სტრატეგიას გამოიყენებთ?
- ✓ როგორ და რა არხებით გავრცელდება ინფორმაცია პროცესის შესახებ?
- ✓ რომელ ეტაპზე მოხდება დამატებითი ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა?
- ✓ პროცესის რომელ ეტაპზეა მიზანშეწონილი ექსპერტების მოწვევა მათი ცოდნისა და გამოცდილების გამოსაყენებლად?
- ✓ ფლობთ თუ არა საკმარის რესურსს (ფინანსურს, ადამიანურს და ტექნიკურს) პროცესის ეფექტიანად წარმართისთვის?

რომელი დაინტერესებული მხარის ჩართვაა საჭირო?

ურბანული განვითარების პროცესზე მრავალი დაინტერესებული მხარე ახდენს გავლენას. მათ შორის არიან, მთავრობის წარმომადგენლები სხვადასხვა დონეზე (რომელთა უფლებამოსილებაც ვრცელდება თქვენს ტერიტორიაზე და გადაწყვეტის სფეროზე), სამოქალაქო აქტორები, ბიზნესის, აკადემიური წრეების, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე სასურველია გაითვალისწინოთ მასმედია, პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლები; არ დაგავიწყდეთ თქვენი თანამოქალაქეები, რომლებიც პირდაპირი გამოცდილებით არიან დაკავშირებული ადგილობრივ საკითხებთან.

დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა საშუალებას მოგცემთ ერთმანეთისგან განასხვაოთ სუსტად ან კარგად ცნობადი ჯგუფები, გაიაზროთ მათი გავლენა და ჩართულობის ხარისხი. მათი აქტიური მონაწილეობა უზრუნველყოფს პროცესის ინკლუზიურობას, გამჭვირვალობას და ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებზე მორგებას. ამგვარი მიდგომით, დაგეგმვა ხდება ხალხისთვის და ხალხთან ერთად, რაც ზრდის გადაწყვეტების ეფექტიანობას, ლეგიტიმურობას და საზოგადოების მხრიდან მაღალ მხარდაჭერას.

დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებისა და გავლენის რუკის შედგენა დაგეხმარებათ განსაზღვროთ თითოეული მხარის როლი პროცესში. ასევე ეს ხელს უწყობს გადაწყვიტოთ, როდის და როგორ არის მიზანშეწონილი მათი ჩართულობა.

გაითვალისწინეთ, რომ „თემი“ ერთგვაროვან ჯგუფს არ წარმოადგენს. დაგეგმვის პროცესში აუცილებელია სქესის, ასაკის, ფიზიკური შესაძლებლობების, შემოსავლისა და განათლების მრავალფეროვანი წარმომადგენლების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. ეს არა მხოლოდ ინკლუზიურობას ზრდის, არამედ გადაწყვეტებს სძენს ლეგიტიმურობას და საზოგადოების საჭიროებებთან შესაბამისობას.

დაინტერესებულ მხარეთა რუკა სასურველია შეადგინოთ პროცესის საწყის ეტაპზე, ხოლო მასში ცვლილებების შეტანა შეგიძლიათ

ლაგოდეხის შშმ თემის ლიდერი ინკლუზიური გარემოს მნიშვნელობაზე, გურამ გოგოლაძე, Facebook

შთამაგონებელი მაგალითები

ინკლუზიური გადაწყვეტები ლაგოდეხიდან და ჩოხატაურიდან: თემის წარმატების მაგალითები

კარგი ურბანული დაგეგმარება და მართვა ყველას საჭიროებისა და მიზნის გათვალისწინებით მიიღწევა. ამისთვის აუცილებელია იმ ჯგუფების ხმის გაგონება და გარემოს მათი თვალით დანახვა, ვისაც ხშირად ვერ ამჩნევენ და ვისიც ხშირად არ ესმით. კერძოდ, ქალები და გოგონები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ბავშვები და სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები. ქალაქები საუკეთესოდ ფუნქციონირებს და ყველაზე წარმატებულია მაშინ, როცა მათი ურბანული გარემო (მაგალითად, საჯარო შენობები, ქუჩები, დასასვენებელი სივრცეები, ტურისტული ობიექტები) და სერვისებზე წვდომა (მაგალითად, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური მომსახურება) ინკლუზიურია. ინკლუზიური დიზაინი ქალაქში ცხოვრებას ადამიანებისთვის პოზიტიურ გამოცდილებად აქცევს, რადგან ის ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობისა და უსაფრთხოების პრინციპებს. კომფორტულ გარემოში ყველას უზრუნველყოფილი აქვს სივრცით ხელმისაწვდომობა და სხვადასხვა სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა.

2022 წელს შეზღუდული შესაძლებლობების უფლებებზე მომუშავე აქტივისტმა ლაგოდეხიდან, რომელიც თავად ეტლით მოსარგებლეა, გაბედული ნაბიჯი გადადგა თავისი თემის საჭიროებების საპასუხოდ. დიდი ხნის განმავლობაში ის მარტო იცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს თუმცა რეგიონული განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით, პროექტის „ადგილობრივი განვითარებისათვის თანამშრომლობის“ ფარგლებში, გადაწყვიტა ადვოკატირების კამპანია წამოეწყო, რომლის

მიზანიც საერთო ურბანული გამოწვევების ირგვლივ ადგილობრივი თემის მობილიზება და კოლექტიური, მდგრადი ურბანული განვითარების გადაწყვეტების შემუშავება წარმოადგენდა.

თანამშრომლობის ამ სულისკვეთებით შთაგონებულმა აქტივისტმა ის მაცხოვრებლები გააერთიანა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არაადაპტირებული ურბანული გარემოს გამოწვევების წინაშე იდგნენ. ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ქალაქის მერიის შენობაში შესვლა შეუძლებელი იყო, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე სივრცეები არ არსებობდა - ეს ის ყოველდღიური ბარიერები იყო, რომლებიც ზღუდავდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მონაწილეობასა და დამოუკიდებელ გადაადგილებას პროექტის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდვის არმქონე პირებმა ძალები გააერთიანეს ცვლილებების ადვოკატირებისთვის. მათი ერთობლივი ძალისხმევა შედეგიანი აღმოჩნდა, ლაგოდეხის მერიის შენობას ამჟამად აქვს ყველასთვის ხელმისაწვდომი შესასვლელი, ასევე მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე სივრცეები, ამასთან, მერიის მიერ ახლად შეძენილი მუნიციპალური ტრანსპორტი სრულად ადაპტირებულია.

ჩოხატაურში ქალთა ჯგუფმა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დედებმა გადაწყვიტეს ყოველდღიური საქმიანობის თავიდან გადააზრება და მათი ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერება. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით აღნიშნული ქალები უნიკალურ ინიციატივაში ჩაერთნენ, რომელიც მიზნად ისახავდა მათთვის საკუთარი პრიორიტეტებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში დახმარებას.

ქალებმა მომზადება გაიარეს ფოკუს ჯგუფების დისკუსიების წარმართვაში, მათ ახლომდებარე დასახლებებიდან მოიწვიეს სხვა დედები მათი გამოცდილებების, გამოწვევებისა და სამომავლო მისწრაფებების გასაზიარებლად და ერთობლივად ჩამოაყალიბეს საერთო ხედვა, თუ როგორ შეიძლებოდა საოჯახო უნარებისა და ზრუნვის საქმიანობის გარდაქმნა მცირე ბიზნესებად, რომლებიც შემოსავლით უზრუნველყოფის გარდა, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხს გაუმჯობესებდა. ამ პროცესით შთაგონებულმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა 2025 წელს 30,000 ლარი გამოყო ქალთა მიერ მართული მიკრობიზნესებისა და სტარტაპების მხარდასაჭერად.

ერთმანეთის მოსმენა, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა და ერთობლივი აქტივობების განხორციელება ცალკეული შემთხვევების სისტემურ ცვლილებად გარდაქმნის საშუალებას იძლევა. ერთი მცირე ნაბიჯი - ქალთა გაძლიერება საკუთარი საჭიროებებისა და იდეების გასაჟღერებლად - გენდერულად მგრძნობიარე ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში გადაიზარდოს, რომელიც მთლიანად თემს ეხება და აძლიერებს.

▶ **ინკლუზიურობის თემაზე დამატებითი შთაგონებისთვის იხილეთ:** უსაფრთხო გზა სკოლამდე ბათუმში - როდესაც ქუჩები მოძრავ საკლასო სივრცეებად გარდაიქმნა

ნებისმიერ დროს, როდესაც ახალი დაინტერესებული მხარეები გამოიკვეთება. რუკის შედგენისას გაითვალისწინეთ შემდეგი კითხვები:

- ✓ ვინ ახდენს გავლენას, ან ვისზე მოახდენს გავლენას თქვენი ქალაქის ურბანული განვითარება?
- ✓ ვინ ქმნის ცვლილებებს თქვენს ქალაქში?
- ✓ ვისზე იქონიებს გავლენას შემოთავაზებული ცვლილებები?

დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა და ანალიზი უმნიშვნელოვანესია ძლიერი, ინკლუზიური და ეფექტური დაგეგმვის პროცესის უზრუნველსაყოფად.

როგორ უნდა ჩართოთ დაინტერესებული მხარეები?

დაინტერესებულ მხარეების ჩართულობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თქვენს მიზნებსა და ჯგუფის მრავალფეროვნებაზე. პროცესის ეფექტურობისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩართულობის ოთხი ძირითადი პრინციპი.

- **ჩართეთ ადრეულ ეტაპზე:** გადაწყვეტების შემუშავების პროცესის საწყის ეტაპზევე ჩართეთ დაინტერესებული მხარეები, რათა თავიდანვე ჩამოყალიბდეს ერთიანი და შეთანხმებული ხედვა და გაძლიერდეს პროცესის ინკლუზიურობა.
- **გამოიყენეთ ჩართულობის მრავალფეროვანი მეთოდები:** დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით: სამუშაო ჯგუფების შეხვედრებით, საჯარო განხილვებით, გამოფენებითა და სემინარებით, ქუჩის საინფორმაციო სტენდების მოწყობით, არაფორმალური და ინდივიდუალური შეხვედრებით, ფოკუს ჯგუფებით და ადგილზე ვიზიტებით.
- **ეწვიეთ დანიშნულების ადგილს და ადგილობრივებთან ერთად დაყავით დრო:** ურბანული სივრცის ადგილზე გაცნობა და ველზე გასვლა საუკეთესო გზაა, რათა დარწმუნდეთ, რომ ადგილობრივების ინტერესები და თქვენი მისწრაფებები ერთმანეთს ემთხვევა. მიეცით თავს უფლება თქვენი შემოქმედებითობა უფრო მეტად გაღვიდეს თუნდაც განსხვავებული შეხედულებების მოსმენით.
- **აწარმოეთ ღია და გულისხმიერი კომუნიკაცია:** გააზიარეთ ინფორმაცია გასაგებ ფორმატში, მოუსმინეთ უკუკავშირს და უპასუხეთ შეკითხვებს. პრობლემური საკითხები განიხილეთ ფართო დისკუსიებში, ჩართეთ პროფესიონალები და საჯარო უწყებების წარმომადგენლები.

პრაქტიკული რჩევა:

შესაძლოა პრობლემური იყოს საჯარო შეხვედრებისთვის ადგილის გამოძებნა. დარწმუნდით, რომ წინასწარ მოიძიებთ შესაძლო საზოგადოებრივ ცენტრებს, ან ალტერნატიულ სივრცეებს, მაგალითად: შეარჩევთ სოციალურ კაფეს, ბიბლიოთეკის დარბაზს, ან ზაფხულში, გამოიყენებთ ღია სივრცეებს.

როგორ უნდა დაამყაროთ კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან?

კომუნიკაცია და ინფორმაციის ეფექტური გაცვლა აუცილებელია **ნდობის ჩამოსაყალიბებლად**, დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, მათი პროცესში ჩართვისა და აქტიური მონაწილეობის მოტივაციის ასამაღლებლად.

კომუნიკაციის დაგეგმვა გულისხმობს მარტივი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც კომუნიკაციის ყველა შესაძლო არხს ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედია ხშირად ეფექტური ინსტრუმენტია. ზოგიერთ შემთხვევაში, ტრადიციული მეთოდები, მაგალითად, თემის საინფორმაციო დაფები - უფრო შედეგიანია. კომუნიკაციისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ **ჩართულობის მრავალფეროვანი მეთოდები**, თუმცა დაუბრუნდით თქვენს დაინტერესებულ მხარეთა რუკას. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შესაძლოა ესაჭიროებოდეს განსხვავებული საკომუნიკაციო გზავნილები.

მობილობის შეფასების სამუშაო შეხვედრა, რეგიონის განვითარების ცენტრი

ეფექტიანი კომუნიკაციის დასაგეგმად, დასვით შემდეგი კითხვები:

- ✓ **ვისთან უნდა განხორციელდეს კომუნიკაცია?** გამოიყენეთ დაინტერესებულ მხარეთა რუკა როგორც სახელმძღვანელო.
- ✓ **რა არის კომუნიკაციის მიზანი თითოეულ ჯგუფთან?** - განსაზღვრეთ, რას უნდა მიაღწიოთ კონკრეტული დაინტერესებული მხარის ჩართვით.
- ✓ **რომელი არხები იქნება ყველაზე ეფექტიანი?** გაითვალისწინეთ სამოქალაქო აქტორები, სახელმწიფო უწყებები და მათთვის კომუნიკაციის სასურველი გზები. განსაზღვრეთ, ვისთან უნდა დამყარდეს კონტაქტი, რა არხების გამოიყენებთ და როგორ გაავრცელებთ ძირითად გზავნილებს.
- ✓ **როგორ უზრუნველყობთ ორმხრივ კომუნიკაციას?** გახსოვდეთ, რომ კომუნიკაცია გულისხმობს არამხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მოსმენასაც.
- ✓ **როდის უნდა განხორციელდეს კომუნიკაცია?** აქტივობები დაგეგმეთ ისე, რომ მაქსიმალური ჩართულობა უზრუნველყოთ.
- ✓ **ვინ იქნება პასუხისმგებელი?** როლები და პასუხისმგებლობები დააზუსტეთ, რათა ანგარიშვალდებულება იყოს ცხადი თითოეული ამოცანისთვის.

პრაქტიკული რჩევა:

ჩართეთ კომუნიკაციის სპეციალისტი დაგეგმვის გუნდში, რათა სტრატეგია კარგად იყოს შემუშავებული და განხორციელებული.

მედია ყოველთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან გარე დაინტერესებულ მხარეს და მისი ინფორმირება პროცესის წარმატებისთვის აუცილებელია.

როგორ უნდა დაიგეგმოს პროცესი?

პროცესის წინასწარ დაგეგმვა საშუალებას გაძლევთ დაინახოთ ფართო სურათი და გქონდეთ გარკვეული ხედვა, როგორ მიაღწევთ დასახულ მიზნებს - იქნება ეს უბნისთვის ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, ქუჩის გასწვრივ ხეების დარგვა, თუ მუნიციპალიტეტისთვის პეტიციის მომზადება.

მარტივი და მკაფიო სამუშაო გეგმა წარმოადგენს შედეგების მიღწევის გზამკვლევს, რომელიც ეყრდნობა ადგილობრივი თემის წევრების ლიდერობას, პასუხისმგებლობას და არსებულ რესურსების გათვალისწინებას. პროექტის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია გუნდან ერთად პერიოდულად გეგმის გადახედვა, პროგრესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ნაბიჯების ცვლილება.

თელავის ერთ-ერთ სოფელში დასუფთავების კამპანიის შედეგების შეფასება, რეგიონის განვითარების ცენტრი

რუკები კარგი საშუალებაა ადგილობრივი საჭიროებების ვიზუალიზაციისთვის, მწვანე ალტერნატივა

ნაბიჯი 2
არსებული ვითარების გაანალიზება

პრიორიტეტებისა და გადაწყვეტების შეთავაზებამდე აუცილებელია იმ კონტექსტის სიღრმისეული გააზრება, რომელშიც მათი განხორციელება იგეგმება. **სიტუაციის ანალიზი** წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც საშუალებას გაძლევთ:

- **გაანალიზოთ** არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, ასევე მათი ძირეული მიზეზები და გაიაზროთ, როგორ მივიდა თქვენი ქალაქი, უბანი ან პრიორიტეტული საკითხი დღევანდელ მდგომარეობამდე;
- **უზრუნველყოთ**, რომ ყველა მონაწილე დაეფუძნოს ერთიან და გაზიარებულ ცოდნას;
- **ჩართოთ** დაინტერესებული მხარეების ფართო წრე, მათ შორის ადგილობრივი ბიზნესები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური წრეები, თემის წევრები, სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სხვა საჯარო უწყებები;
- **გამართოთ** ღია და ფართო დისკუსიები და უზრუნველყოთ სხვადასხვა ჯგუფის განსხვავებული შეხედულებების გათვალისწინება;
- **მიიღოთ** გადაწყვეტილებები და განსაზღვროთ პრიორიტეტები შეგროვებული მტკიცებულებებისა და ინფორმაციის საფუძველზე.

ანალიზი ყოველთვის უნდა იყოს ჰოლისტური, თუმცა მისი მასშტაბი და სიღრმე იცვლება დასახული მიზნისა და ინიციატივის ტიპის მიხედვით:

- **ქალაქის მასშტაბის ხედვა:** მოითხოვს ფართო, მრავალდარგობრივ და ყოვლისმომცველ ანალიზს;
- **სამეზობლო ან უბნის დონეზე განხორციელებული პროექტი:** შესაძლოა ფოკუსირდეს კონკრეტულ საკითხებზე და დაეფუძნოს ადგილზე დაკვირვებასა და მიზნობრივ ანალიზსს;
- **სექტორული პროექტები** (მაგ., წყლის მართვა): მოიცავს შესაბამისი სექტორის, ასევე მასთან დაკავშირებული მიმართულებების ანალიზს, როგორიცაა მიწათსარგებლობა, ნარჩენების მართვა და საცხოვრისის პოლიტიკა;
- **კონკრეტული ან თემატური აქტივობები** (მაგ., ჰაერის ხარისხი, ვანდალიზმი, მიუსაფარი ცხოველები): ფოკუსირდება მკაფიოდ განსაზღვრულ საკითხებზე და მოიცავს კონკრეტულ, პრაქტიკულ და განხორციელებად ღონისძიებებს.

მოსახლეობის, ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს ადგილობრივ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირებას. იმის ნაცვლად, რომ ერთდროულად ყველაფრის მოცვა სცადოთ, ყურადღება გაამახვილეთ ურბანული მდგრადობის პრიორიტეტული საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე და ყოველთვის უპირატესობა მიანიჭეთ ადგილზე ყოფნას - პრობლემებისა და არსებული რეალობის უშუალო დაკვირვებასა და გაანალიზებას.

მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გააზრება

ფაქტების მოძიება და შეგროვება გადამწყვეტია, რათა სწორად გაიაზროთ ადგილობრივი ურბანული გამოწვევები, გამოავლინოთ განვითარების შესაძლებლობები და შეიმუშაოთ შესაბამისი გადაწყვეტები. მონაცემები მოიცავს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას, რომლის მოძიებაც შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდით. მოძიებული ინფორმაცია საბოლოოდ დაგეხმარებათ, იმაში რომ, თქვენი გადაწყვეტილებები დააფუძნოთ მტიკებულებებსა და არსებულ რეალობას.

ცოდნისა და მონაცემების შეგროვების საუკეთესო მეთოდების შერჩევა

ინფორმაციის შეგროვების გეგმის შედგენა

შექმენით მარტივი სია თუ რა ინფორმაცია გჭირდებათ, მონიშნეთ რა არის უკვე ხელმისაწვდომი და მიუთითეთ რა გზებით შეგიძლიათ დამატებით საჭირო ინფორმაციის შეგროვება.

მეორადი მონაცემების შეგროვება

განსაზღვრეთ მეორადი მონაცემების პოტენციური წყაროები (მაგალითად, თქვენს საკითხთან დაკავშირებული კვლევები და ანგარიშები).

პირველადი მონაცემების შეგროვება

შეაგროვეთ როგორც თვისებრივი და ისე რაოდენობრივი მონაცემები ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტებისა და მარტივი კითხვარების შემუშავების გზით.

SWOT/C ანალიზი

ჩაატარეთ მარტივი SWOT/C ანალიზი სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, რაც საშუალებას მოგცემთ სწრაფად შეაჯამოთ თქვენი ქალაქის, ან იმ საკითხის ძირითადი ძლიერი მხარეები, სისუსტეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელზეც მუშაობთ.

ადგილის დათვალიერება და მოქალაქეებთან გასაუბრება / საველე ვიზიტები

ტერიტორიის საერთო მდგომარეობის ან კონკრეტული საკითხის შეფასებისას, ასევე განსხვავებული შეხედულებების გასაგებად, დაგეგმეთ ველზე გასვლა, ამ პროცესში ჩართეთ თემის ინფორმირებული წევრები და, შესაძლებლობის ფარგლებში, თქვენი პრიორიტეტებისთვის შესაბამისი ტექნიკური ცოდნის მქონე პირები. ადგილზე გასვლა და დაკვირვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რეალური მდგომარეობა ხშირად განსხვავდება რუკებსა და ოფიციალურ ანგარიშებში ასახული სურათისგან. რეგულარული საველე ვიზიტები დაგეხმარებათ უკეთ გაიაზროთ, როგორ გამოიყენება სივრცე, ვინ სარგებლობს მისით და რა პრაქტიკული გამოწვევები არსებობს.

ფოტო კვლევა

ერთ ფოტოს მეტის თქმა შეუძლია ვიდრე ათას სიტყვას, ხოლო ფოტო - კვლევა მყარ საფუძველს ქმნის მოსახლეობასთან იმაზე სასაუბროდ, თუ რა მოსწონთ მათ და რა არ მოსწონთ და რა პრიორიტეტები აქვთ მათ. შეგიძლიათ ადგილობრივ ახალგაზრდულ ჯგუფებს სთხოვოთ პროცესში ჩაერთვა და ფოტოების გადაღება.

დისკუსიები ფოკუს ჯგუფებში

ჯგუფური საუბრები, რომლის დროსაც მონაწილეები საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამენ კონ-კრეტულ თემასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოსავლენად და მათი შეხედულე-ბების სიღრმისეულად გასაცნობად ან გადაწყვეტის შემუშავების პრო-ცესისთვის საჭირო მოსაზრებების მისაღებად.

დისკუსიები თემთან/ დაინტერესებულ მხარეებთან

გამოწვევებისა და შესაძლებლობების განხილვის პროცესში დაინტერესებუ-ლი მხარეებისა და თემის წევრების ჩართვის მრავალი საშუალება არსებობს. მაგალითად, ბაზრობებზე მოქალაქეებთან გასაუბრება, ქუჩაში საინფორმაციო სტენდების მოწყობა, ან მობილური დაფის - „გაგვიზიარეთ თქვენი აზრი“ გამოყენება.

თანამონაწილეობითი რუკის შედგენა

‘OpenStreetMap’ ყურადღებას ადგილობრივ ცოდნაზე ამახვილებს, თემის მოსახლეობის მიერ იმართება და უფასოა ნებისმიერი დანიშნულებით გამოყენებისთვის - მისი გამოყენება შესაძლებელია ინფრასტრუქტურისა და სერვისების ფართო სპექტრზე მონაცემების შეგროვებისა და მართვისთვის.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას გეოსივრცითი მონაცემების შეგროვე-ბის, მართვისა და გაზიარებისთვის, ასევე არსებული გამოწვევების უკეთ გასააზრებლად. ასევე QGIS-ის მსგავსი უფასო ვერსიები მონაცე-მების ვიზუალიზაციის ეფექტიან შესაძლებლობას იძლევა.

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას მონაცემების შეგროვებამდე:

- რომელი მონაცემებია საჭირო და როგორ მოხდება მათი გამოყენება? - მოიძიეთ მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც რეალურად გჭირდებათ;
- რომელი მონაცემებია უკვე ხელმისაწვდომი და რამდენად სანდოა ისინი?
- რა დამატებითი მონაცემებია შესაგროვებელი და რომელი მეთოდების გამოყენებაა ყველაზე მიზანშეწონილი - გაითვალისწინეთ დრო, ადამიანური რესურსები და ბიუჯეტი;
- არიან თუ არა დაინტერესებული მხარეები, ან ექსპერტები, რომლებიც შეძლებენ მოგაწოდონ სანდო, ნაკლებად გავრცელებული, ან გამოუქვეყნებელი მონაცემები?

სოციო-კულტურული

(მაგალითად: დემოგრაფიას, სოციალური ერთიანობას, კულტურულ ნორმებს, თემის დინამიკას, გენდერული თანასწორობასა და უსაფრთხოებას შორის კავშირი)

მოსახლეობის რაოდენობა და მისი ზრდა	სიღარიბე	განათლების დონეები	კულტურა და ტრადიციები	გენდერული თანასწორობა	ჯანდაცვა	ურბანული უსაფრთხოება
ცხოვრების ხარისხი	სამართლიანობა	ადამიანის უფლებები	სოციალური ინკლუზია	მიგრაცია	იმიგრაცია	კავშირები ქალაქსა და სოფელს შორის

გარემოსდაცვითი

(მაგ., მწვანე სივრცეების, ჰაერისა და წყლის ხარისხს, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და კლიმატის მედეგობას შორის ურთიერთკავშირი)

წყლის რესურსები	ჰაერი	მიწა	ურბანული გამწვანება და ტყეები	მთები	ბუნებრივი საფრთხეები და რისკები	ემისიები
გამონაბოლქვია და დაბინძურება	კლიმატის ცვლილება					

ეკონომიკური

(მაგ., დასაქმებას, შემოსავალს, ადგილობრივ ბიზნესებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის კავშირი)

ურბანული ეკონომიკის ძირეული ასპექტები/მამოძრავებლები	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება	მოხმარება და წარმოება	ეკონომიკური ზრდა	დასაქმება	ჩრდილოვანი ეკონომიკა
ტურიზმი	შემოსავლიანობა	საყოფაცხოვრებო მოხმარება	ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტი და ხარჯები		

URBANULI SIVRCEEBIS GAAZREBIS CARCHO

თუ თქვენი სცენარი ითვალისწინებს ქალაქის ან უბნისთვის გადაწყვეტის შემუშავებას, სასურველია გამოიყენოთ ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც გეხმარებათ არსებული მდგომარეობის, მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და ტენდენციების, ასევე მათ შორის არსებული ურთიერთკავშირების გააზრებაში (თავი 2). ამ დროს მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გაანალიზება:

ახალგზარდების მიერ პრობლემების ანალიზის სავარჯიშო, რეგიონის განვითარების ცენტრი

ურბანული (სისტემური) საკითხები

წყალმომარაგება	წყლის გამოყენება	წვიმის წყლის შეგროვება	წყალგაყვანილობა და კანალიზაცია
ჩამდინარე წყლების გაწმენდა	წყალდიდობისგან დაცვა	წყალარინება	მობილობის საჭიროებები
ველოსიპედითა და ფეხით გადაადგილება	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	კერძო ტრანსპორტი	პარკირება
სატვირთო გადაზიდვები	ნარჩენების წარმოქმნა	შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება	ნარჩენების შეგროვება
ნარჩენების გატანა	საშიში ნარჩენები	საცხოვრისის ტიპები	ხელმისაწვდომი საცხოვრისი
უძრავი ქონების ბაზარი	საჯარო სივრცის ხელმისაწვდომობა	უსაფრთხოება	საჯარო სივრცის შექმნა
რეკრეაციული შესაძლებლობები	პარკები	საჯარო დაწესებულებები	ურბანული გამწვანება
ურბანული მიწათმოქმედება	ურბანული დიზაინი	გამწვანებული ფართობის კოეფიციენტი	ღირსშესანიშნაობები
კულტურული მემკვიდრეობა	ქუჩების განათება	კომერციული სერვისები	სამრეწველო ზონები
საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დაწესებულებები	სპორტული ინფრასტრუქტურა	კულტურული დაწესებულებები	ენერგიის წარმოება
ენერგიის განაწილება	ენერგიის მოხმარება	ინტერნეტზე წვდომა	მობილური კავშირის გამოყენება
ონლაინ სერვისები	ხედვები და სტრატეგიები	პოლიტიკა და გეგმები	პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები
ურბანული მართვა	ურბანული დაგეგმარება	კანონები და კანონქვემდებარე აქტები	ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა
საზოგადოების ჩართულობა	ქალაქის სტრუქტურა	მიწათსარგებლობის მოდელები	განვითარების დინამიკა
ქალაქსა და სოფელს შორის კავშირები	რეგიონალური კავშირები	ტოპოგრაფია	ურბანული განაშენიანების სიმჭიდროვე

- წყალი
- მობილობა
- ნარჩენები
- საცხოვრებელი
- საზოგადოებრივი სივრცე
- ქალაქის სტრუქტურა და არქიტექტურა
- მიწათსარგებლობა
- ენერგია
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
- ურბანული პოლიტიკა და მართვა
- სივრცითი განზომილებები

როგორ გამოიყენოთ მონაცემები ეფექტიანი დაგეგმვისთვის

სცენარის მასშტაბის მიუხედავად, შეგროვებული მონაცემები საშუალებას გაძლევთ:

- გაიაზროთ არსებული ვითარება და ადგილობრივი კონტექსტი;
- გამოავლინოთ მდგრადობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, პრობლემები და გამოწვევები;
- ჩამოაყალიბოთ მომავლის საერთო და შეთანხმებული ხედვა შემდგომი ქმედებებისთვის;
- განსაზღვროთ პრიორიტეტები მტკიცებულებებსა და ფაქტებზე დაყრდნობით;
- დარწმუნდეთ, რომ შემუშავებული გადაწყვეტები პასუხობს რეალურ საჭიროებებს და ეფუძნება სანდო მონაცემებს;

სიტუაციის ანალიზი შემდეგ ძირითად კომპონენტებს მოიცავს:

- ინფორმაციის, მონაცემებისა და ცოდნის შეგროვება - კვლევების, ინტერვიუების, სემინარების, რუკებისა და სხვა შესაბამისი წყაროების გამოყენებით;
- ანალიზი და დისკუსია - არსებული გამოწვევების, შესაძლებლობების, ტენდენციების, მათი ძირეული მიზეზებისა და სექტორთაშორისი კავშირების განხილვა;
- ადგილობრივი ურბანული მდგრადობის ძირითადი საკითხების იდენტიფიცირება და შეჯამება;
- მიღებული შედეგების გაზიარება - პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

ძირითადი შეხსენებები სამოქალაქო აქტორებისთვის

- ჩართეთ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, რათა მათი მოსაზრებები, გამოცდილება და პრიორიტეტები სრულად იყოს გათვალისწინებული; ამისთვის შეარჩიეთ ჩართულობის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმები და მეთოდები;
- გამოიყენეთ კატეგორიების მიხედვით დაყოფილი მონაცემები (მაგალითად, სქესი, ასაკი, შემოსავალი და სხვა), რათა გადაწყვეტილებები დაეფუძნოს მტკიცებულებებს და არა ზოგად ვარაუდებს;
- მიღებული შედეგები რეგულარულად გააცანით დაინტერესებულ მხარეებს, რათა შეინარჩუნოთ გამჭვირვალობა, ნდობა და თანასაკუთრების განცდა პროცესის მიმართ.

ნაბიჯი 3

ხედვის, მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება

ხედვის, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა წარმოადგენს პროცესს, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული მხარეები თანხმდებიან თემისთვის სასურველ მომავალზე. ეს შეიძლება ეხებოდეს როგორც კონკრეტული პრობლემის გადაჭრას, ისე უფრო ფართო გამოწვევათა მოგვარებას, იმ ტერიტორიაზე, სადაც მუშაობთ - იქნება ეს ქალაქი, უბანი თუ კონკრეტული მცირე ტერიტორია.

მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები დაგეხმარებათ დაგეგმვისა და გადაწყვეტების შემუშავების პროცესის ინკლუზიურად და ეფექტიანად წარმართვაში. აღნიშნული მიდგომა, უნივერსალურია და შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სცენარში; ამასთან მცირე მასშტაბის გადაწყვეტები ხშირად ამარტივებს დაგეგმვის პროცესს და გადაწყვეტილებების მიღებას.

დაგეგმვის დონეები

- **ხედვა:** ხედვა წარმოადგენს სასურველი მომავლის საერთო სურათს- როგორ ხედავთ თქვენს ქალაქს, უბანს ან კონკრეტულ საკითხს 20, 10 ან 5 წლის შემდეგ?
- **მიზნები:** მიზნები ასახავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომელთა საშუალებითაც საშუალოვადიან პერსპექტივაში აპირებთ ხედვისკენ სვლას.
- **ამოცანები:** ამოცანები არის მოკლევადიანი, კონკრეტული და გაზომვადი ქმედებები, რომლებიც მიზნებს კონკრეტულ ნაბიჯებად გარდაქმნის და ხელს უწყობს ხედვის განხორციელებას.

საერთო ხედვის ჩამოყალიბება

მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის შედეგად თქვენ უკვე ფლობთ ახალ ცოდნას თემის მდგრადობასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ. ეს ცოდნა ქმნის მყარ საფუძველს თქვენი ქალაქის ან უბნის სამომავლო განვითარების მიმართულებაზე საერთო დისკუსიისთვის.

ხედვა აღწერს თქვენთვის სასურველი მომავლის „დიდ სურათს“ - იმას, რისკენაც გსურთ სვლა. ხედვის ფორმირებისას გაითვალისწინეთ, რომ:

- ხედვა მხოლოდ მისწრაფება არ არის - იგი წარმოადგენს გრძელვადიანი განვითარების რეალისტურ და მიღწევად მიმართულებასა და გზამკვლევს;
- იგი აყალიბებს საერთო მიზანს და ზრდის მოტივაციას დაინტერესებულ მხარეებს, თემის წევრებსა და ადგილობრივ ლიდერებს შორის, რათა ერთობლივად იმუშაონ მისი განხორციელებისთვის;
- ხედვა უნდა ეფუძნებოდეს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც გამოვლინდა დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობის დროს.

ხედვის ჩამოყალიბებაში ადგილობრივი თემის წევრებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს მოქალაქეთა ინტერესების, საჭიროებების, ღირებულებებისა და მისწრაფებების ასახვას. შედეგად ჩამოყალიბებული საერთო

სამუშაო შეხვედრა გადაკვეთის წერტილებზე, 'სიმბიოსითის' საერთაშორისო ტრენინგ პროგრამა

ხედვა ხდება მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის საფუძველი, რომლებიც თქვენს გადაწყვეტებს წარმართავს და გადაწყვეტილების მიმღებებს მკაფიო და შეთანხმებულ მიმართულებას სთავაზობს.

მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა

მიზნები და ამოცანები ხედვის განხორციელების ქმედით ჩარჩო ქმნის და ნათლად აჩვენებს მისი მიღწევის გზებს.

- **მიზნები** უნდა იყოს **მკაფიო, სტრატეგიული და ინკლუზიური** და მოიცავდეს ქალაქის ან უბნის ხედვისა და სამოქმედო გეგმის იმ ძირითად სფეროებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სხვადასხვა ჯგუფისთვის (მაგ., საცხოვრებელი გარემო, მობილობა, მწვანე სივრცეები, ახალგაზრდული შესაძლებლობები);
- **ამოცანები** უნდა იყოს **კონკრეტული, გაზომვადი და დროში გაწერილი,** რათა შესაძლებელი იყოს პროგრესის მონიტორინგი და შედეგების შეფასება.

თითოეული ამოცანა სასურველია მოიცავდეს:

- ✓ **ინდიკატორს:** რომლითაც გაიზომება შესრულებულია თუ არა ამოცანა. შესაძლებლობის ფარგლებში, სასურველია ინდიკატორები ეფუძნებოდეს მდგრადობის ადგილობრივ ინტერპრეტაციას;
- ✓ **სამიზნე მაჩვენებელს:** რა შედეგი უნდა იქნას მიღწეული და რა ვადაში;
- ✓ **საწყის მდგომარეობას:** არსებული ვითარების აღწერას, რომელიც შეფასების საწყის წერტილს წარმოადგენს.

ამოცანების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია, რომ ისინი:

- ✓ ტოვებდეს სივრცეს სხვადასხვა შესაძლო გადაწყვეტისთვის.
- ✓ ასახავდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს (მაგ., ქალების, კაცების, ახალგაზრდების, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების);
- ✓ ხელს უწყობდეს კონსენსუსის ჩამოყალიბებას და დაინტერესებულ მხარეებში თანასაკუთრების განცდის გაძლიერებას.

ნაბიჯი 4

ინტეგრირებული გადაწყვეტების შემუშავება

ინტეგრირებული გადაწყვეტები მიიღწევა მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და სხვადასხვა ღონისძიებათა ერთობლიობის შედეგად. ფართო და ჰოლისტური მიდგომა ზრდის ინოვაციური გადაწყვეტების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს უფრო მასშტაბურ გავლენას და ერთობლივი მოქმედების შედეგად რესურსების უფრო ეფექტიანი მობილიზებისა და გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

გახსოვდეთ: გულწრფელად ერთიანი გადაწყვეტების საფუძვლებია:

- **იფიქრეთ ერთეული ღონისძიებების ფარგლებს მიღმა:** ძლიერი გადაწყვეტები აერთიანებს რამდენიმე ურთიერთშემავსებელ ღონისძიებას, რომლებიც ერთმანეთის ეფექტს აძლიერებს.
- **გამოიყენეთ ინტეგრირებული მიდგომა:** ეძიეთ ისეთი გადაწყვეტები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა საჭიროებებსა და ინტერესებს და ერთდროულად ითვალისწინებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან შედეგებს.
- **ხელი შეუწყვეთ თანამშრომლობას:** მოიწვიეთ სხვადასხვა სექტორისა და სხვადასხვა დონის დაინტერესებული მხარეები, რათა მათ საკუთარი პროფესიული წვლილი შეიტანონ პროცესში.
- **იყავით ინკლუზიური:** შეიმუშავეთ გადაწყვეტები, რომლებიც მრავალფეროვანი ჯგუფების საჭიროებებს აკმაყოფილებს და უზრუნველყავით, რომ საბოლოო მომხმარებლები და სხვა დაინტერესებული პირები, პირდაპირ იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტების ფორმირების პროცესში.

ერთიანი გადაწყვეტები

მეტი შედეგი, ნაკლები რესურსით

ერთიანი გადაწყვეტა წარმოადგენს თქვენს ქალაქში არსებული პრიორიტეტული გამოწვევებისადმი პასუხს, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას. როგორც წარმოდგენილი სცენარები მიუთითებს, ეს შეიძლება მოიცავდეს ქალაქის ან უბნის ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ახალი საჯარო ღია სივრცის განვითარებას, ან არსებული სივრცის გაუმჯობესებას, საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად ახალი ქვეითთა გადასასვლელის მოწყობას, ან ხეების დარგვას.

გადაწყვეტა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური (სტრუქტურული) ხასიათის, ისე არაფიზიკური - მაგალითად, უსახლკარო პირთა მხარდაჭერის პროგრამები, დასუფთავების კამპანიები, ან ფეხით სეირნობისა და ველოტურების ორგანიზება მოქალაქეთა დასაახლოებლად და თემის გასაერთიანებლად.

სადაც ეს შესაძლებლებელია, გადაწყვეტები უნდა იყოს ერთიანი (ინტეგრირებული), აერთიანებდეს ღონისძიებათა შესაბამის რაოდენობას, აგვარებდეს ურთიერთდაკავშირებულ გამოწვევებს და მაქსიმალურად ახდენდეს ქალაქისთვის ხელშესახები სარგებლისა და ზემოქმედების ოპტიმიზაციას. ერთიანი გადაწყვეტები ხშირად უფრო ხარჯთეფექტური და მდგრადია, რადგან ერთიანი მიდგომის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ნაკლები რესურსით მეტი შედეგის მიღწევა!

ერთიანი გადაწყვეტები გაძლევთ მეტის გაკეთების საშულებას, შეზღუდული რესურსების ფონზე



- **განიხილეთ ალტერნატივები:** შეისწავლეთ სხვადასხვა გზა მიზნების მისაღწევად. ვარიანტების შედარება ხელს უწყობს ყველაზე ეფექტური და მიზანშეწონილი მიდგომის არჩევას.
- **შეაფასეთ უპირატესობები და ნაკლოვანებები:** გამოიყენეთ შეფასების ინსტრუმენტები იმის დასადგენად, რამდენად რეალისტური, განხორციელებადი, მდგრადი და მიზანშეწონილია თითოეული ვარიანტი.
- **დარჩით რეალისტურები:** ამბიციური გეგმები მნიშვნელოვანია, თუმცა მხოლოდ მაშინ, თუ მათი განხორციელება და გრძელვადიანად შენარჩუნება შესაძლებელი იქნება.

ალტერნატიული გადაწყვეტების განხილვა

ერთ კონკრეტულ ვარიანტზე შეჩერების ნაცვლად, დრო დაუთმეთ სხვადასხვა ალტერნატივების განხილვას. შეაფასეთ, რამდენად ეფექტიანად აკმაყოფილებს თითოეული ვარიანტი თქვენს საჭიროებებს და აღწევს სასურველ შედეგებს. გახსოვდეთ, რომ ხშირად არსებობს პრობლემების მოგვარების დაბალბიუჯეტიანი და სწრაფად განხორციელებადი ჩარევებიც, რომლებიც ისევე იძლევა მდგრად შედეგებს, როგორც ძვირადღირებული და ხანგრძლივადიანი პროექტები. დაგეგმვის პროცესის ადრეულ ეტაპზე ალტერნატიული ვარიანტების გააზრება საშუალებას გაძლევთ: იპოვოთ მოკლევადიან პერსპექტივაში უფრო პრაქტიკული, ხელმისაწვდომი და სწრაფად განხორციელებადი გადაწყვეტები და ამავე დროს წვლილი შეიტანოს მდგრად ურბანულ განვითარებაში.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ ეტაპობრივი ან დაბალბიუჯეტიანი გადაწყვეტები ყოველთვის საუკეთესი ვარიანტი არაა. თითოეული ვარიანტი უნდა შეფასდეს მისი ხარჯებისა და სარგებლის მიხედვით მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

მაგალითად, შეგიძლიათ შეადაროთ, მცირე და დაბალბიუჯეტიანი ცვლილებების მყისიერი ეფექტი უფრო ძვირადღირებულ

თქვენი იდეის ბიუჯეტის განხილვა

ადრეული ეტაპიდან დაიწყეთ ფინანსებზე ფიქრი. განხორციელებისთვის გადამწყვეტია რეალისტურად იმის შეფასება, თუ რა ეღირება თქვენი გადაწყვეტა და საიდან შეიძლება დაფინანსების მიღება. ეს ყოველივე დაგეხმარებათ თავიდანვე გაიაზროთ, რამდენად განხორციელებადია დაგეგმილი გადაწყვეტა.

და გრძელვადიან ჩარევებს, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ უფრო მაღალი მდგრადობის უზრუნველყოფა.

ერთად დაპროექტება

ჩართეთ ადგილობრივი მაცხოვრებლები, თემის ლიდერები, მეზობლები, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები გადაწყვეტების შემუშავების პროცესში. ამ პროცესში სამუშაო ჯგუფები ან 'საჯარო სივრცის შექმნის' სავარჯიშოები ეფექტიანი საშუალებაა ცოდნის თავმოყრისა და მონაწილეებში თანასაკუთრების გაძლიერებისთვის. ასეთი მიდგომით მიღებული გადაწყვეტილებები უკეთ ასახავს თემის საჭიროებებსა და იდეებს, ზრდის მათ ეფექტიანობასა და მდგრადობას.

მომგებიანი მიდგომების გათვალისწინება

მომგებიანი მიდგომა ეფუძნება მცირე, დაუყოვნებლივ განხორციელებად ნაბიჯებს, რომლებიც დროთა განმავლობაში თანდათან გარდაიქმნება უფრო ფართო გადაწყვეტებსა და ფართომასშტაბიან ზეგავლენად. ამ მიდგომის უპირატესობები შემდეგია:

- **რისკის შემცირება:** მცირე ნაბიჯები ამცირებს სერიოზული შეცდომების ალბათობას;
- **დაბალი საწყისი ხარჯები:** არსებული რესურსების გამოყენებით დაწყება უფრო მარტივია;

- **ხილული პროგრესი:** დაინტერესებულ მხარეებს სწრაფად უჩნდებათ შედეგების დანახვის შესაძლებლობა, რაც ზრდის მოტივაციასა და ნდობას;
- **ადაპტირების შესაძლებლობა:** თითოეული ბანიჯი შეიძლება შეფასდეს და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს არასასურველი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს თემს გზადაგზა მცირე წარმატებებით იზეიმოს, და იმავდროულად სტაბილურად იმოძრაოს გრძელვადიანი მიზნებისკენ.

გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები:

- **დაფინანსების შესაძლებლობების იდენტიფიცირება:** გაარკვიეთ მხარდაჭერის შესაძლო წყაროები, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლება, დონორები, კერძო სექტორი და თემის მიერ მობილიზებული რესურსები.
- **გადაწყვეტის მცირე კომპონენტებად დაყოფა:** განსაზღვრეთ არის თუ არა შედარებით სწრაფად განხორციელებადი, დაბალბიუჯეტიანი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც დაუყოვნებლივაა შესაძლებელი და ასევე ისეთი კომპონენტები, რომელთა განხორციელებას მეტი დრო და უფრო მაღალი ხარჯები სჭირდება. თითოეული კომპონენტი დაუკავშირეთ შესაბამის ხარჯსა და პოტენციურ დაფინანსების წყაროს.
- **„მოულოდნელი“ ხარჯების შესაძლებლობის გათვალისწინება:** გადაწყვეტის განხორციელებასა და შემდგომ ეტაპებს შესაძლოა მეტი დრო და რესურსი დასჭირდეს, ვიდრე თავდაპირველად იყო ნავარაუდევი. შესაბამისად, გონივრულია ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის სარეზერვო ფონდის გათვალისწინება.
- **გამჭვირვალობის უზრუნველყოფა:** გაუზიარეთ ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ მხარეს, რათა გაძლიერდეს ნდობა, გაიზარდოს ანგარიშვალდებულება და შესაძლებელი გახდეს ყველას თანამონაწილეობა გადაწყვეტების მიღებაში.

ხარჯებზე ადრეული ეტაპიდან დაწყებული მსჯელობა დაგეგმვის პროცესს უფრო რეალისტურს, ინკლუზიურს და მდგრადს ხდის.

სამუშაო შეხვედრა საჯარო სივრცის შექმნაზე, 'სიმბიოსითი' კენია

ნაბიჯი 5

სარგებლიანობის და ზეგავლენის შეფასება

სარგებლიანობის და ზეგავლენის შეფასება გადაწყვეტებისს შემუშავების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. სხვადასხვა ალტერნატივის განხილვისას აუცილებელია თითოეული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი ფაქტორების შესწავლა სხვადასხვა მიმართულებებით, ისეთი როგორიცაა: სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ფაქტორები. ამ შეფასების პროცესის უწყვეტი განხორციელება საშუალებას გაძლევთ, ადრეულ ეტაპზე გამოავლინოთ პოტენციური რისკები და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოთ გადაწყვეტის დაგეგმვაში.

თქვენს გადაწყვეტებთან დაკავშირებით დასვით შემდეგი კითხვები, თუ რამდენად:

- ✓ აღწევს დასახულ მიზანსა და ამოცანებს;
- ✓ ინკლუზიურია და სარგებელი მოაქვს სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის;
- ✓ მაქსიმალურად ზრდის დადებით შედეგებს;
- ✓ მინიმუმამდე ამცირებს უარყოფით ზემოქმედებას;
- ✓ აგვარებს ანალიზის შედეგად გამოვლენილ ძირეულ პრობლემებს და არა მხოლოდ მათ სიმპტომებს;
- ✓ რეალისტური და განხორციელებადია, რისკების, განხორციელების შესაძლებლობების, ბიუჯეტის, პოლიტიკური ნების და სხვა საჭირო რესურსების გათვალისწინებით.

► *ახალგზარდების მიერ პრობლემების ანალიზის სავარჯიშო, რეგიონის განვითარების ცენტრი*

შემუშავებული გადაწყვეტების პრაქტიკაში გამოცდა

მას შემდეგ, რაც შემუშავებული გადაწყვეტის სამუშაო ვერსია ჩამოყალიბდება, მნიშვნელოვანია მისი სიფრთხილით გაანალიზება და დატესტვა შემდგომ ეტაპებზე გადასვლამდე. დაუსვით საკუთარ თავს და დაინტერესებულ მხარეებს შემდეგი კითხვები:

- – რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ გადაწყვეტის განხორციელებას?
- – იღებს თუ არა ყველა დაინტერესებული მხარე გარკვეულ სარგებელს?
- – რამდენად მისაღებია არჩეული გზა პროცესში ჩართული სხვადასხვა ჯგუფისთვის (განსაკუთრებით გაითვალისწინეთ მოწყვლადი ჯგუფების ხედვები და საჭიროებები)?
- – რომელი ვარიანტებია ყველაზე ეფექტიანი?
- – შესაძლებელია თუ არა გადაწყვეტის შემუშავების ცვლილებებით მდგრადობის გაუმჯობესება?



სამოქალაქო აქტორების, მედიის და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ თანამშრომლობის დეკლარაციაზე ხელმოწერის ცერემონია, რეგიონის განვითარების ცენტრი

- არის თუ არა სამართლიანად გათვალისწინებული სხვადასხვა საჭიროებისა და შეხედულების მქონე აქტორების ინტერესები?
- გაქვთ თუ არა მკაფიო და დამაჯერებელი არგუმენტები კონკრეტული გადაწყვეტის არჩევის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ის შესაძლოა სრულყოფილი სულაც არ იყოს?
- ხომ არ შეიძლება ამ გადაწყვეტამ ახალი დაძაბულობა ან კონფლიქტები გამოიწვიოს ურთიერთსაპირისპირო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის?
- რა სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სარგებელს მოიტანს იგი?
- რამდენად კარგად პასუხობს აღნიშნული გადაწყვეტა საზოგადოების მრავალფეროვან საჭიროებებსა და შესაძლებლობებს?

ამ კითხვებზე პასუხები პირდაპირ დაინტერესებული მხარეებისგან უნდა მოდიოდეს. მათი უკუკავშირი აძლიერებს გადაწყვეტას, ზრდის მის ინკლუზიურობას და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საზოგადოების პრიორიტეტებთან.

ინკლუზიური თანა-შექმნის პროცესის უზრუნველყოფა

გადაწყვეტების კონცეფციის შექმნის პროცესის ინკლუზიურობის უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორც სამოქალაქო აქტორებისათვის მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფების აქტიურად ჩართვა შემოთავაზებული გადაწყვეტის მოსალოდნელი ზემოქმედებების განხილვაში. მათი მონაწილეობა უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტები იქნება სამართლიანი, პრაქტიკული და სათანადო.

იმის შესამოწმებლად, ყველასთვის მისაღებია თუ არა კონკრეტული გადაწყვეტა, გაითვალისწინეთ ხუთი ძირითადი კითხვა:

- **არის თუ არა იგი ფინანსურად ხელმისაწვდომი?** შეუძლიათ თუ არა ადამიანებს ისარგებლონ გადაწყვეტებით და მიიღონ მისგან სარგებელი? „ხელმისაწვდომობა“ შეიძლება განსხვავებულად აღიქმებოდეს როგორც სხვადასხვა ჯგუფში, ასევე ერთი და იმავე ჯგუფის შიგნითაც.

- **არის თუ არა ფიზიკურად ხელმისაწვდომი?** არის თუ არა გადაწყვეტების შედეგები ხელმისაწვდომი იქ, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან? არის თუ არა ის ადაპტირებული სხვადასხვა მომხმარებლისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის?
- **არის თუ არა ხელმისაწვდომი საჭირო დროსა და სათანადო მოცულობით?** არის თუ არა გადაწყვეტის შედეგები წარმოდგენილი საჭირო რაოდენობითა და ხარისხით და იმ პერიოდში, როცა ადამიანებს ეს სჭირდებათ? გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა ჯგუფს შესაძლოა სერვისები განსხვავებულ დროს სჭირდებოდეს.
- **არის თუ არა სოციალურად მისაღები?** რამდენად მისაღებია აღნიშნული გადაწყვეტა სამიზნე ჯგუფებისთვის? თუ იგი სოციალურად მიუღებელია, ხალხმა შიძლება უარყოს ის, ან თავი აარიდოს მას. უსაფრთხოება და დაცულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისთვის, ახალგაზრდებისთვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.
- **არის თუ არა განხორციელებადი?** არსებობს თუ არა საკმარისი დაფინანსება და დრო გადაწყვეტის განხორციელებისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად? არის თუ არა ის პრაქტიკულად განხორციელებადი (მაგ., ხელმისაწვდომია თუ არა სათანადო მიწის ნაკვეთი აღნიშნული გადაწყვეტისთვის, შესაძლებელი იქნება თუ არა საჭირო ნებართვების აღება და ინსტიტუციური მხარდაჭერის მოპოვება)? (ინსტრუმენტი: გადაწყვეტების სტრეს-ტესტი)

მართეთ რისკები და მინიმუმამდე დაიყვანეთ უარყოფითი ზემოქმედება

როდესაც გადაწყვეტის შემუშავება განხორციელების ეტაპზე გადადის (ნაბიჯი 6), ზოგიერთ გადაწყვეტისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს რისკების უფრო დეტალური შეფასება, რათა გამოვლინდეს პოტენციური რისკები, მათი ალბათობა და შესაძლო ზემოქმედება, ასევე განისაზღვროს ამ რისკების შემცირების გზები.

ყოველთვის გახსოვდეთ:

ქალებსა და მამაკაცებს, სხვადასხვა ასაკის, შესაძლებლობის, შემოსავლისა და განათლების დონის მქონე ადამიანებს ხშირად განსხვავებული საჭიროებები აქვთ. ამ განსხვავებების გათვალისწინება თქვენს გადაწყვეტას გახდის უფრო ინკლუზიურს, სამართლიანს და მდგრადს.

ნაბიჯი 6
განხორციელების დაგეგმვა

ახლა დადგა დრო თქვენი გადაწყვეტა ქმედებად აქციოთ. კარგად ჩამოყალიბებულ განხორციელების სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვნად ზრდის თქვენი იდეის წარმატებით განხორციელებას, რითაც მოხდება ადგილობრივი თემისთვის რეალური და ხელშესახები ცვლილებების დადგომა.

ბევრი გადაწყვეტა წარმატებით ვერ განხორციელდა არა იმის გამო, რომ ცუდი იდეები ედო საფუძვლად, არამედ იმიტომ რომ არ არსებობდა მათი განხორციელების მკაფიო მიდგომა. სწორედ ამიტომ განხორციელების ეტაპი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ გადაწყვეტის განსაზღვრისა და შემუშავების საწყის ეტაპზე.

უმნიშვნელოვანესია, რომ სამოქმედო გეგმაში დეტალურად იყოს გაწერილი:

- ✓ **ვინ არის პასუხისმგებელი** კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე;
- ✓ **რას აკეთებს თითოეული აქტორი** და რა ვადებში;
- ✓ **საჭიროების შემთხვევაში**, რამდენი აქტორი ჩაერთვება, რათა ყველა კომპონენტი დროულად და ეფექტურად შესრულდეს.

მკაფიო პასუხისმგებლობების, ვადებისა და ამოცანების განსაზღვრა უზრუნველყოფს, რომ თქვენი გადაწყვეტილება არ დარჩეს მხოლოდ იდეად, არამედ გამოიღოს კონკრეტული შედეგები. ეს ასევე ზრდის საზოგადოების ნდობას და აძლიერებს მათ ჩართულობას.

ძირითადი რეკომენდაციები წარმატებული განხორციელებისთვის

განხორციელების ეტაპზე გადასვლისას გაიხსენეთ **ადგილობრივად წარმართული მდგრადი განვითარების სამი საკვანძო პრინციპი: ლიდერობა, თანამშრომლობა და ზეგავლენა.** ეს პრინციპები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებითი ცვლილებების მისაღწევად და გადაწყვეტის წარმატებული განხორციელების უზრუნველსაყოფად.

განხორციელებისთვის საჭიროა გულდასმით დაგეგმვა და კოორდინაცია. ამ ეტაპზე სასარგებლო შეიძლება იყოს პირველი ნაბიჯის (პროცესის ორგანიზება) გადახედვა და ორგანიზაციული მოწყობის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და კომუნიკაციის სტრატეგიის ამ ფაზისთვის მორგება. თქვენი სამუშაო გეგმა ახლა შეიძლება გაფართოვდეს და დეტალური განხორციელების გეგმად იქცეს, რომელიც საქმიანობების სწორ მიმართულებასა და დროულ შესრულებას უზრუნველყოფს. აღნიშნული გეგმა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ იმას, თუ როგორ განხორციელდება გადაწყვეტა, არამედ როგორ მოხდება მისი გრძელვადიანი ფუნქციონირება, ექსპლუატაცია და ტექნიკური უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ფიზიკური გადაწყვეტის შემთხვევაში,

საუკეთესო რჩევები ეფექტიანი განხორციელებისთვის:

- ✓ განამტკიცეთ პარტნიორული თანამშრომლობა
- ✓ დაწერეთ მოკლე, მარტივი ანგარიშები განხორციელების შესახებ
- ✓ ღიად გაუზიარეთ დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის თაობაზე
- ✓ მუდმივად გადახედეთ, შეაფასეთ და განაახლეთ თქვენი მიდგომა (რაც მოიცავს ბიუჯეტს, ინდიკატორებს, განრიგს, რესურსებს)
- ✓ შეცდომები სწავლის შესაძლებლობად აქციეთ

- ✓ მუდმივად ჩაატარეთ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შეხვედრები
- ✓ მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ ფუნქციები და პასუხისმგებლობები;
- ✓ ადრეულ ეტაპზევე მოაგვარეთ კომუნიკაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და კონფლიქტები
- ✓ დარჩით შედეგებზე ორიენტირებული
- ✓ მუდმივად შეახსენეთ დაინტერესებულ მხარეებს საერთო ხედვა

განხორციელების გეგმა

განხორციელების გეგმა აერთიანებს დღემდე გაწეულ მთელ თქვენს შრომას; იგი უნდა იყოს მოკლე, მკაფიო, ადვილად გასაგები და დამაჯერებელი. განხორციელების პროცესში იგი გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს. ხშირ შემთხვევაში უკვე არსებობს შეთანხმებული ფორმატები, რომელთა გამოყენებაც

ყოველთვის გადაამოწმეთ

ფონდების მიღების ვადები და პროცედურები, რადგანაც მათ შორის დიდი განსხვავებაა დაფინანსების წყაროების მიხედვით.

შესაძლებელია, სხვა შემთხვევებში თქვენს საჭიროებებს ზოგადი შაბლონი შეგიძლიათ მოარგოთ. აუცილებელი არ არის, მე-6 ნაბიჯს დაელოდოთ განხორციელების გეგმის შესამუშავებლად - პირიქით, უფრო ეფექტიანი იქნება მისი უწყვეტი შემუშავება მთელი პროცესის განმავლობაში.

შესაძლებლობის ფარგლებში, განხორციელების გეგმა უნდა ითვალისწინებდეს და ავსებდეს სხვა აქტორების ინიციატივებს, მათ შორის მუნიციპალიტეტის, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და განვითარებაზე მომუშავე საერთაშორისო პარტნიორების საქმიანობას.

თელავის ერთ-ერთ სოფელში დასუფთავების კამპანიის შედეგების შეფასება, რეგიონის განვითარების ცენტრი

დარწმუნდით, რომ განხორციელების გეგმა გააზიარეთ დაინტერესებულ მხარეებთან შესათანხმებლად და საჭიროების შემთხვევაში გადასახედად. პროცესის დაწყების ეტაპიდანვე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უკვე უნდა ქმნიდეს თანასაკუთრების განცდას, რაც ამ პროცესს ამარტივებს. გახსოვდეთ, რომ გავლენიანი და აქტიური აქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მხარდაჭერის მოპოვებასა და გადაწყვეტების დაჩქარებაში.

ფონდების მოზიდვა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრა

ახლა უკვე დროა თქვენი გადაწყვეტის განსახორციელებლად დაიწყოთ ფინანსური რესურსების მოზიდვის რთული სამუშაო. დაფინანსების საკითხისადმი თქვენი მიდგომა, როგორც წესი, მოითხოვს როგორც ფონდების მოზიდვას, რაც თქვენი გადაწყვეტის მიმართ მხარდაჭერის არსებობას წარმოაჩენს, ასევე ტრადიციული დაფინანსების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

უმეტეს შემთხვევაში, გადაწყვეტებს დაფინანსება დასჭირდებათ შემდეგი მიმართულებებისთვის:

- პროექტის მოსამზადებლად
- განსახორციელებლად
- ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურებისთვის (ფიზიკური გადაწყვეტების შემთხვევაში)

დაგეგმვის საწყის ეტაპზევე გაითვალისწინეთ დაფინანსების წყაროები. დაფინანსების მიღების შესაძლებელი/ან სავარაუდო გზებია:

- **საზოგადოებრივი დაფინანსება** ონლაინ პლატფორმის გამოყენებით/(ე. წ. 'ქრაუდ ფანდინგი') - საზოგადოებრივი დაფინანსების გამჭვირვალობამ შესაძლოა შემოწირულობები მოიზიდოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაფინანსების მიზანს უახლოვდებით.
- **კერძო სექტორის** შემოწირულობები - განაშენიანებული გარემოს გაუმჯობესებამ შესაძლოა ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსება მოიზიდოს.
- **ფილანტროპული დაფინანსება** - ფონდებისგან და ცალკეული პირებისგან.
- **შემოსავლის გენერირება** - ზოგიერთი გადაწყვეტებები შესაძლოა მოიცავდეს გარკვეული შემოსავლის გენერირების შესაძლებლობებს (მაგ., საწევრო შენატანები, შესასვლელი ბილეთები, შემოწირულობები ღია საჯარო სივრცეებში)
- **დონორების დაფინანსება** – საერთაშორისო განვითარების აქტორებისგან, რომლებიც შესაბამის საქმიანობასა და პროგრამებს ახორციელებენ.
- **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** – დაფინანსების გარკვეული ნაწილი შესაძლოა თქვენმა მინიციპალიტეტმა უზრუნველყოს.

კომუნიკაცია აწარმოეთ თქვენს დაინტერესებულ მხარეებთან

დაინტერესებულ მხარეებთან და თემის წარმომადგენლებთან ღია დიალოგის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია განხორციელების პროცესში. განაახლეთ თქვენი დაინტერესებული მხარეების რუკა და კომუნიკაციის გეგმა ეტაპის საჭიროებების მიხედვით.

პრაქტიკული რჩევა:

ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია უწყვეტი პროცესია. ის არ მთავრდება გადაწყვეტის განხორციელების შემდეგ

განიხილეთ გადაწყვეტების ანგარიშის გამარტივებული ვერსია, რომელიც მარტივი ენით იქნება დაწერილი და ილუსტრაციებით გამდიდრებული, ან შექმენით სიტუაციის ამსახველი მარტივად აღსაქმელი და მამოტივირებელი ვიდეო სოციალური მედიის არხებისთვის - რათა ის ხელმისაწვდომი და საყურადღებო იყოს მოსახლეობისთვის.

გახსოვდეთ: კომუნიკაციის ნაკლებობას შესაძლოა მოჰყვეს ნდობის შემცირება, წინააღმდეგობა და საზოგადოებრივი აზრის პროექტის წინააღმდეგ შემობრუნებაც.

კომუნიკაცია აწარმოეთ ადგილობრივი ხელისუფლებასთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან

უმეტეს გადაწყვეტათა შემთხვევაში თქვენი მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარე იქნება, ხოლო გადაწყვეტის შემუშავების მთელი პროცესის განმავლობაში მნიშვნელოვანია მათი პოზიტიური ჩართულობა და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა. თქვენი გადაწყვეტიდან გამომდინარე, სხვა საჯარო უწყებებიც შეიძლება მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები აღმოჩნდნენ. გახსოვდეთ, რომ სახელისუფლებო ორგანოებს ხშირად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ თქვენი გადაწყვეტის განხორციელებაში.

მონიტორინგი და შეფასება

თავიდანვე ჩართეთ მონიტორინგისა და შეფასების (M&E) მექანიზმები თქვენი გადაწყვეტის განხორციელების პროცესში, მისი სწორი მიმართულებით წარსამართად და ხარისხიანი შედეგების მისაღებად.

- ✓ მონიტორინგი უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების გეგმის მიხედვით განხორციელებას;
- ✓ იგი ასევე გადაწყვეტის მიღებასა და უწყვეტ სწავლებას უზრუნველყოფს;
- ✓ ასევე ახდენს გამოყენებული რესურსებისა და მიღწეული შედეგების ანგარიშვალდებულების დემონსტრირებას;

ექსპლუატაცია და მოვლა - შენახვა /(ტექნიკური მომსახურება)

ბევრი გადაწყვეტა განხორციელების შემდეგ ეფექტიანობას კარგავს, რადგან ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა (ან „O&M“) სათანადოდ არ არის დაგეგმილი და დაფინანსებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეფექტიანმა O&M გეგმამ მკაფიოდ განსაზღვროს პასუხის-მგებლობები, ვინ რაზეა პასუხისმგებელი და როდის და ასევე, როგორ დაფინანსდება ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის პროცესები. გახსოვდეთ: შედეგები მდგრა-დია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსე-ბობს მიღებული შედეგის მკაფიო მართვის გეგმა.

თქვენს გეგმაში უნდა იყოს განსაზღვრული:

- ✓ ვის საკუთრებაშია კონკრეტული გადაწყვეტა (იქნება ეს საჯარო ღია სივრცე, საზოგადოებრივი ტუალეტი თუ ხეები)?
- ✓ ვინ იქნება პასუხისმგებელი ექსპლუ-ატაციასა და მოვლა-შენახვაზე (O&M), სათემო ორგანიზაცია, მუნიციპალიტეტი, სხვა საჯარო უწყება, კერძო სექტორი, თუ რამდენიმე მათგანი ერთად? როგორც მე-2 თავშია განხილული, ქალაქების მართვა მრავალ აქტორს მოიცავს და პასუხისმგებელი სუბიექტის სწორად იდენტიფიცირება უმნიშვნელოვანესი საწყისი ნაბიჯია.
- ✓ არის თუ არა შეთანხმება მიღწეული და საჭიროებს თუ არა იგი სამართლებრივ დამტკიცებას?
- ✓ როგორ დაფინანსდება ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა (O&M) და არის თუ არა ეს გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადი?

ველოსიპედით გადაადგილების აუდიტი, ეკო-ტრანსპორტით გადაადგილებას ცვლად და განვითარებად პროცესად აფასებს.

- ✓ არსებობს თუ არა საკმარისი უნარები და ადამიანური რესურსი ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის (O&M) ამოცანების განსახორციელებლად?

თუ გადაწყვეტა მოქალაქეთა საკუთრებაშია, უნდა შემუშავდეს მისი უწყვეტი მოვლისა და შენახვის მართვის ერთობლივი პროცედურები. იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტს ეკისრება, აუცილებელია შესაბამისი უწყებების ჩართვა და საზოგადოებისთვის იმის ახსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლება ანგარიშვალდებული იყოს მათ წინაშე მიღწეული შედეგების შენარჩუნების საკითხში.

ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის (O&M) მექანიზმების სწორად ჩამოყალიბება

როდესაც თქვენი გადაწყვეტა ფიზიკური აქტივის მშენებლობას მოიაზრებს, O&M-ში გათვალისწინებული უნდა იყოს სამართლებრივი საკითხები, მათ შორის სამართლებრივი სტატუსი, საკუთრება და პასუხისმგებლობები (იხ. ფაქტების გადამოწმების ინსტრუმენტი, გვ. 130).

თუ თქვენი აქტივი კერძო საკუთრება არის ან იქნება, არსებობს სამი პრაქტიკული ვარიანტი:

- აქტივი ეკუთვნის რეგისტრირებულ ამხანაგობას, სათემო ორგანიზაციას, ან კოოპერატივს, ხოლო ახალი აქტივ(ებ)ი აისახება ორგანიზაციის/კავშირის ბალანსში და მისი ექსპლუატაციის/მოვლა-პატრონობის ხარჯები გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის ბიუჯეტში/ხარჯთა ნუსხაში.
- აქტივი საერთო საკუთრებაშია და მფლობელებს შორის ფორმდება ოფიციალური შეთანხმება, რომელიც მოიცავს კონკრეტულ დებულებებს აქტივის გამოყენების, მოვლა-პატრონობის, დაფინანსების, შემოსავლების განაწილებისა და აქტივის გადაცემის/ლიკვიდაციის შესახებ.
- აქტივი ეკუთვნის ცალკეულ პირს და სამოქალაქო აქტორებს შორის ფორმდება შეთანხმებები, რომლშიც აისახება მფლობელის ნება აქტივის განაშენიანებისა და ექსპლუატაციის თაობაზე და დაარეგულირებს მის გამოყენებას, მოვლა-პატრონობას და ხარჯების დაფარვას.

თუ ფაქტების გადამოწმება დაადასტურებს, რომ აქტივი (მათ შორის მიწა) ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია, ნებისმიერი სახის ოპერირებისთვის საჭიროა შესაბამისი სახელმწიფო უწყების (მერია ან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) მიერ კონცეფციის წინასწარ ოფიციალურ დამტკიცებას.

აქტივის მშენებლობის დასრულების შემდეგ იგი შესაბამის სახელმწიფო უწყებას გადაეცემა და მხარეებს შორის უნდა გაფორმდეს გადაცემის აქტი. გადაცემის შემდეგ აქტივის ექსპლუატაციასა და მოვლა-შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა ამ სახელმწიფო ორგანოს ეკისრება. გადაცემის აქტით შეიძლება დადგინდეს აქტივის გამოყენების პირობები (მაგ., უფასო სარგებლობის პირობებით ჩვილებისა და/ან შშმ პირებისთვის).

შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება

როგორც კი გაივლით აღნიშნულ პროცესს და ხელშესახებ შედეგებს მიაღწევთ, მნიშვნელოვანია თქვენი გამოცდილების გაზიარება. შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება უზრუნველყოფს, როგორც თქვენი საქმიანობის მდგრადობას, ასევე უფრო ფართო საზოგადოების გაძლიერებასა და ინფორმირებულობას.

შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება:

- **აძლიერებს** ურთიერთობებს და პარტნიორობას, რომელიც პროცესის დროს ჩამოყალიბდა
- **სტიმულს აძლევს** ახალ მოკავშირეებსა და პარტნიორებს შემოუერთდნენ თქვენს ძალისხმევას
- **აფართოებს** თქვენი თანამშრომლობის ქსელს და ქმნის მომავალი ინიციატივების საფუძველს
- **ხელს უწყობს** მიღებული გამოცდილების გაზიარებას, რაც სხვებს საშუალებას აძლევს გაიმეორონ, ან გააუმჯობესონ თქვენი მეთოდები
- **შთააგონებს** სხვა სამოქალაქო აქტორებს, ჩაერთონ თავიანთ ქალაქებსა და თემებში ინოვაციური, ინკლუზიური და მდგრადი გადაწყვეტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში და ამით ხელი შეუწყონ მნიშვნელოვან და სასარგებლო ცვლილებებს.
- პოპულარიზაციას უწევს ურბანული განვითარების ადგილობრივ ლიდერების ინკლუზიურობის წარმოჩენას და ღირსეული სახელის დამკვიდრებას.

◀ *ზუბალაშვილის ქუჩის მობილობის საჭიროებების შეფასება GIZ-ის "Connect Georgia"-ს პროექტის ფარგლებში, Love to Ride Batumi*

როგორ უნდა გავავრცელოთ ინფორმაცია თქვენი შედეგების შესახებ

- შეგიძლიათ კომუნიკაციის მრავალი მეთოდი და არხი გამოიყენოთ თქვენს მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. გაითვალისწინეთ, შეგიძლიათ:
- **სოციალური მედიის გამოყენება,** გააზიარეთ განახლებული ინფორმაცია, ფოტოები და ძირითადი ამბები ისეთ პლატფორმებზე, როგორებიცაა Facebook, Instagram, და LinkedIn.

დასკვნითი მოსაზრება

'სიმბიოსითის' პროცესი არა მხოლოდ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, არამედ ახალ ხედვებსა და ცოდნას გაძლევთ. იგი აფართოებს თქვენი პროფესიული და სამოქალაქო კონტაქტების ქსელს, აძლიერებს ურთიერთნდობას და ქმნის მსგავსად მოაზროვნე ადამიანებთან მდგრადი თანამშრომლობის საფუძველს. ამგვარად, 'სიმბიოსითი' წარმოადგენს ახალი იდეების, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების ძლიერ პლატფორმას.

გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა გაავრცელეთ აღნიშნული მიდგომა, გააფართოვეთ თქვენი მოკავშირეების წრე და გააძლიერეთ ერთად სასარგებლო საქმეების კეთება. რაც უფრო ფართოა თანამოაზრეებისა და პარტნიორების ქსელი, მით უფრო ძლიერია თქვენი თემი. ერთად ადვილია გავლენის მოხდენაც, ეფექტური და არსებითი ცვლილებების განხორციელებაც.

- **ადგილობრივი მედიის ჩართვა,** გამოაქვეყნეთ სტატიები ადგილობრივ პრესაში, ან ინტერვიუები მიეცით ადგილობრივ გაზეთებს, რადიოსადგურებსა და ტელევიზიებს.
- **არსებული ქსელებისა და ფორუმების გამოყენება,** თქვენი საქმიანობა წარადგინეთ სამოქალაქო პლატფორმებში, პროფესიულ ასოციაციებსა ან სათემო ფორუმებში მონაწილეობის მეშვეობით.
- **საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა,** მონაწილეობა მიიღეთ ვებინარებში, კონფერენციებში ან გამოფენებში თქვენი გამოცდილების უფრო ფართო საზოგადოებისთვის გასაზიარებლად.
- **საველე ლექციების, ან სასწავლო ვიზიტების ორგანიზება,** მოიწვიეთ სტუდენტები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ან სათემო ჯგუფები შედეგების უშუალოდ ადგილზე გასაცნობად.
- **უნივერსიტეტებთან და სკოლებთან დაკავშირება,** წარადგინეთ სიტუაციური ანალიზი სტუდენტების მოტივირებისთვის და მიღებული გამოცდილების სასწავლო პროგრამებში ჩასართავად.
- **ადგილობრივი სათემო ლიდერებსა და მედიატორებთან ურთიერთობა,** თემში გამოავლინეთ პატივსაცემი ლიდერები, რომლებიც შეძლებენ თქვენი წარმატებების პოპულარიზაციასა და მისი მდგრადობის შენარჩუნებას.
- **ეროვნულ, ან რეგიონულ პლატფორმებში მონაწილეობა,** გააზიარეთ თქვენი გამოცდილება საქართველოს ურბანული განვითარების ქსელებისა და ფორუმების გამოყენებით.

- *სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი*
- *შენი იდეა ბათუმს, Facebook*
- *რეგიონის განვითარების ცენტრი*
- *მწვანე ალტერნატივა*

შედეგების გაზიარება შესაძლებელია სხვადასხვა გზით - ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, სტრატეგიული დოკუმენტების შექმნით, გამოფენებითა და საფეხმავლო თუ საველე აქტივობებში ჩართულობით.

HAVE
DO WANT
Decreasing
Important Education
Health insurance level
Xlen workers places
Population
Nocturne

05

სიმბიოსითის სასარგებლო ინსტრუმენტები და შაბლონები

'სიმბიოსითის' მიდგომის გამოყენებაში ინსტრუმენტების ფართო სპექტრი დაგეხმარებათ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინსტრუმენტების მიმოხილვა, მათ შორის **ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტების ნიმუში**, რომელიც ისეთ ფორმატშია წარმოდგენილი, რომ მოკლედ აღწერს თუ რას მოიცავს ინსტრუმენტი, რატომ გამოიყენება, ვინ უნდა იყოს ჩართული, როდის გამოიყენება და რა მასალებია საჭირო. 'სიმბიოსითის' ყველაზე გამოსადეგ ინსტრუმენტებზე წვდომა შეგიძლიათ 'სიმბიოსითის' ვებგვერდის მეშვეობით. აქ ასევე მოცემულია ბმულები დამატებით პრაქტიკულ რესურსებზე, სადაც შეგიძლიათ მოიძიოთ იდეები, გამოყენების მაგალითები და შაბლონები.

შეგიძლიათ შეარჩიოთ და მოირგოთ ის ინსტრუმენტები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს 'სიმბიოსითის' პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ცხრილში ჩამოთვლილი ინსტრუმენტები ნაბიჯების მიხედვითაა დაჯგუფებული, ზოგიერთი მათგანი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ეტაპზე და თქვენი საჭიროებების შესაბამისად. ცხრილში „ცერის აწევის" ნიშნით აღნიშნულია ის შემთხვევები, სადაც ინსტრუმენტები სასარგებლოა კონკრეტულ სცენარებში, ასევე მითითებულია, სად შეგიძლიათ იპოვოთ თითოეული ინსტრუმენტი.

◀ *სამუშაო შეხვედრა 'სიმბიოსითის' საერთაშორისო ტრეინგ პროგრამის ფარგლებში*

ნაბიჯი 1

პროცესის ორგანიზება

'სიმბიოსითის' ეტაპები	ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები	სცენარი			სად ვიპოვოთ
		1	2	3	
ნაბიჯი 1 პროცესის ორგანიზება	სამუშაო გეგმის გაწერა	✔	✔	✔	ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	დიალოგის დაწყება	✔	✔	✔	ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი (რუკის შედგენა)	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	იდეების შეჯერების სავარჯიშო	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	კომუნიკაციის გეგმის შედგენა	✔	✔	✔	'სიმბიოსითი' ჩვენი ქალაქგეგმარება

ნაბიჯი 2

არსებული ვითარების გაანალიზება

'სიმბიოსითის' ეტაპები	ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები	სცენარი			სად ვიპოვოთ
		1	2	3	
ნაბიჯი 2 არსებული ვითარების გაანალიზება	SWOT/C ანალიზი	✔	✔	✔	ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	მონაცემთა რუკის შედგენა	✔	✔		'სიმბიოსითის' მიდგომა
	ველზე გასვლა და დაკვირვება	✔	✔	✔	ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	თქვენი უბნის ვიზუალური შესწავლა (ფოტო-კვლევა)	✔	✔	✔	ჩვენი ქალაქგეგმარება კენიაში ინკლუზიური ურბანული განვითარების ინსტრუმენტთა კრებულში
	'OpenStreetMap'-ის გამოყენებით რუკის შექმნა	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	ხმის (ელ) მიცემა	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	მობილობის ხედვის შემუშავება	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	პრობლემათა ხე	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	უბნის დაცულობის კვლევა	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	საზოგადოებრივი სივრცის ანალიზი		✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	ურბანული ნაკადებისა და ურთიერთ-კავშირების რუკის შედგენა				'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები
	შედეგების დათვლა/აღწერა (ადგილობრივი რესურსების რუკის შედგენა)				'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები
	მემკვიდრეობის ძეგლების რუკის შედგენა	✔			2030 წლის დღისწესრიგის განხორციელება 'სიმბიოსითის' მეშვეობით
	კლიმატ-მეგობრულობა (საფრთხეებისანალიზი)				ამ ინსტრუმენტთა კრებულში

◄ *ველო-ტური ბათუმის ფეხით გადაადგილების კონცეფციის შემუშავებისთვის, Love to Ride Batumi*

ნაბიჯი 3

ხედვის, მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება

'სიმბიოსითის' ეტაპები	ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები	სცენარი			სად ვიპოვოთ
		1	2	3	
ნაბიჯი 3 ხედვის, მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება	მინდა/არ მინდა ანალიზი („სურვილების ოთხეული“)	✔			ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	ფაქტების გადამოწმება	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	თქვენი ხედვა	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	„ოცნების კედელი“				'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები
	სივრცითი იდეების ვიზუალიზაციის სემინარი		✔	✔	'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები
	მდგრადობის ადგილობრივი გაგება	✔	✔		'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები. ჩვენი ქალაქ-გეგმარება კენიაში ინკლუზიური ურბანული განვითარების ინსტრუმენტთა კრებულში

ნაბიჯი 4

ინტეგრირებული გადაწყვეტილებების შემუშავება

'სიმბიოსითის' ეტაპები	ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები	სცენარი			სად ვიპოვოთ
		1	2	3	
ნაბიჯი 4 ინტეგრირებული გადაწყვეტილებების შემუშავება	გადაწყვეტების მატრიცა	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	საჯარო სივრცის შექმნა		✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში – იხილეთ 'სიმბიოსითის' საჯარო სივრცის შექმნის სახელმძღვანელო
	ერთიანი გადაწყვეტილებები	✔	✔		'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები
	ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	სცენარების დაგეგმვა და ტენდენციების ანალიზი	✔	✔		'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები
	„ქალის თვალით“ (გენდერული ზემოქმედების ანალიზი)	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	გადაწყვეტების სტრეს - ტესტი		✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში

ნაბიჯი 5

სარგებლისა და ზემოქმედების შეფასება

'სიმბიოსითის' ეტაპები	ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები	სცენარი			სად ვიპოვოთ
		1	2	3	
ნაბიჯი 5 სარგებლისა და ზემოქმედების შეფასება	ზეგავლენის რადარი („მდგრადობის ვარდი“)	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	გავლენის შედეგების სია		✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	"ბავშვზე მორგებული" (ზეგავლენის შეფასება)	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში

ნაბიჯი 6

განხორციელების დაგეგმვა

'სიმბიოსითის' ეტაპები	ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები	სცენარი			სად ვიპოვოთ
		1	2	3	
ნაბიჯი 6 განხორციელების დაგეგმვა	გადაწყვეტილების მიღების სავარჯიშო	✔			ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	სამოქმედო გეგმა	✔			'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები
	წინადადების/პროექტის მომზადება დასაფინანსებლად	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	ადგილზე დაფინანსების მოძიება	✔	✔		ამ ინსტრუმენტთა კრებულში
	განხორციელება და მოვლა-პატრონობის სტრატეგია		✔	✔	'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები – 'სიმბიოსითის' მიდგომა
	შეფასება და მონიტორინგი: მიღწევების შესახებ კომუნიკაცია		✔	✔	'სიმბიოსითის' ინსტრუმენტები და მეთოდები – 'სიმბიოსითის' მიდგომა

► *Bicycle parking installed for Batumi 18th Public School, Love to Ride Batumi*

სამუშაო გეგმის გაწერა

რა?

სამუშაო გეგმის მომზადება შესაძლებელია მარტივად, შაბლონის ადაპტირებითა და გამოყენებით, რომელშიც მოცემულია ამოცანები, პასუხისმგებლობები, ვადები, მოსალოდნელი შედეგები, შენიშვნები და შესრულების მიმდინარეობა. პროექტის მიმდინარეობისას რეგულარულად გადახედეთ და განაახლეთ, რაც დაგეხმარებათ სამუშაოს სწორი მიმართულებით წარმართვასა და პროგრესის მონიტორინგში.

რატომ?

კარგი ორგანიზება მოიცავს როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას, აქტივობების დაგეგმვას, გრაფიკის შედგენასა და მართვას. რაც დროში მომგებიანია, ზრდის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას, ადამიანებში თანამშრომლობისა და მიზნების მიღწევის შესაძლებლობას აძლიერებს.

ვინ?

სამუშაო გეგმის შემუშავება დამოკიდებული იქნება თქვენს გარემოებებსა და იმაზე, თუ ვინ იყო ინიციატორი თქვენი აქტივობების დაწყებაში. სამუშაო გეგმის შემუშავების პროცესს ეყოლება ხელმძღვანელი და დაგეგმვაზე პასუხისმგებელი გუნდი - სამუშაო გეგმის შემუშავებას სწორედ ეს გუნდი უხელმძღვანელებს.

როდის?

სამუშაო გეგმა უმჯობესია 'სიმბიოსითის' პროცესის დასაწყისშივე შემუშავდეს და პროცესის მიმდინარეობისას ეტაპობრივად მოხდეს მისი განახლება.

საჭირო მასალები

სამუშაო გეგმა უმჯობესია ელექტრონულად შემუშავდეს, რათა შესაძლებელი იყოს მისი რეგულარული გადახედვა და განახლება. თუ ეს შეუძლებელია, შეგიძლიათ იგი დიდი ფორმატის ქაღალდზე შეიმუშავოთ და ინიციატივის მიმდინარეობისას გამოიყენოთ წებოვანი ფურცლები (ე. წ. 'სტიკერები') ინფორმაციის დასატანად და განსაახლებლად.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სამუშაო გეგმა განსაზღვრავს აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, მოსალოდნელ შედეგებს და თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილ ვადებს და/ან საბოლოო ვადებს.

მეთოდი

1. **შეიმუშავეთ მარტივი სამუშაო გეგმის ჩარჩო**, რომელიც საშუალებას მოგცემთ დააფიქსიროთ რა უნდა გაკეთდეს, ვინ არის პასუხისმგებელი, რა ვადებში უნდა განხორციელდეს აქტივობები და იქნება თუ არა კონკრეტული შედეგი (მაგ., პეტიციის პროექტი, დაინტერესებული მხარეების სია, შეხვედრების ჩანაწერი). ასევე, გაითვალისწინეთ სივრცე შენიშვნებისა და კომენტარებისთვის. მარტივი სტატუსის გადამოწმების სვეტი დაგეხმარებათ თვალყური ადევნოთ რა შესრულდა, რა ხორციელდება და რა არის დაგეგმილი.
2. **ცხრილის შევსების გზით შეადგინეთ საწყისი სამუშაო გეგმა**
3. **მუშაობის პროცესში რეგულარულად გადაამოწმეთ** სამუშაო გეგმა და საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ.

სარეკომენდაციო მითითებები

ქვემოთ ნაჩვენები მაგალითის მსგავსად შეიძლება მარტივი ფორმატის გამოყენება, სასურველია Excel-ის ფაილში.

პროექტის "ბათუმი-ველოქალაქის" ფარგლებში ველო-პარკირებების დაიდგა ბათუმის მე-18 საჯარო სკოლასთან, Love to Ride Batumi

მაგალითი

ველოსიპედით სკოლაში - ცნობიერების ამაღლების კამპანია | მიზანი: მოსწავლეების წახალისება, რომ უსაფრთხოდ მივიდნენ ველოსიპედით სკოლაში

ამოცანა	რა უნდა გავაკეთოთ?	ვისთან ერთად უნდა გავაკეთოთ ეს?	როდის უნდა განხორციელ-დეს?	რა შედეგს მივიღებთ?	შენიშვნები	მიმდინარე-ობა ● ● ●
1	მოვიკვლიოთ ჩვეულებრივ რითი დადიან მოსწავლეები სკოლაში	სკოლის სამოქალაქო კლუბმა და მოხალისეების ჩართულობით	I კვირა	მარტივი ანგარიში	Google-ის ფორმები პირისპირ შეხვედრა ფოკუს ჯგუფი	●
2	განვსაზღვროთ უსაფრთხო ველო მარშრუტები	სამოქალაქო აქტორს + ქალაქის ტრანსპორტის დეპარტამენტი /შპპ/შპს	II კვირა	უსაფრთხო მარშრუტე-ების რუკა	გამოვიყენოთ 'OpenStreetMap'	●
3	მოვამზადოთ კამპანიის მასალები	მოხალისე გრაფიკული დიზაინერი, ან პარტ-ნიორი არასამთავრობო ორგანიზაცია	III კვირა	პოსტერები, სოციალური მედიის პოსტები	გზავნილები უნდა იყოს სახალისო და ვიზუალურად მიმზიდველი	●
4	მოვაწყოთ „ველოსიპედით სკოლაში" დღის ორგანიზება"	სკოლის მოსაწავლეები, ადგილობრივი ველომო-ძრაობის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგა-ნიზაცია და მშობლები	IV კვირა	საჯარო შეხვედრა პირისპირ ფორმატში	უსაფრთხოების კოორდინირება პოლიციასთან	●
5	შევაგროვოთ შთაბეჭდილე-ბები და უკუკავშირი	სკოლის მოსწავლეები, სამოქალაქო კლუბი, ადგილობრივი ველომო-ძრაობის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგა-ნიზაცია და მშობლები	V კვირა	მონიტორინ-გისა და შეფასების-თვის უკუ-კავშირის ანგარიში	გამოვიყენოთ შემდეგი კამპანიისთვის	●

● = დასრულებული ● = დაუსრულებელი/მიმდინარე ● = ჯერ არ დასრულებული/დაგეგმილი

გეგმის შაბლონი

ამოცანა	რა უნდა გავაკეთოთ?	ვისთან ერთად უნდა გავაკეთოთ ეს?	როდის უნდა განხორციელდეს?	რა შედეგს მივიღებთ?	შენიშვნები	მიმდინარეობა

● = დასრულებული ● = დაუსრულებელი/მიმდინარე ● = ჯერ არ დასრულებული/დაგეგმილი

ახალგზარდების მიერ პრობლემების ანალიზის სავარჯიშო, რეგიონის განვითარების ცენტრი

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

(რუკის შედგენა)

რა?

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც დაგეხმარებათ მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ურბანული განვითარების პროცესებში ჩართული სხვა აქტორების როლების გააზრებაში.

რატომ?

მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ ვის შეუძლია გადაწყვეტილების განხორციელებაში თავისი წვლილის შეტანა და ვისზე შეიძლება მან იქონიოს გავლენა, რაც გადამწყვეტია ადგილობრივად ინიცირებული საკითხების პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში და იმის უზრუნველსაყოფად რომ თქვენი გადაწყვეტილება აქტუალურობას ინარჩუნებს.

ვინ?

ძირითადად განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც ჩართული არიან ან კარგად იცნობენ შესაფასებელ 'სიმბიოსითის' საკითხს. აუცილებელია როგორც ქალების, ისე მამაკაცების ჩართვა.

როდის?

აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენეთ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისათვის თქვენი საქმიანობის დასაწყისშივე თუმცა მისი განახლება უწყვეტად შეგიძლიათ ახალი დაინტერესებული მხარეების გამოჩენისთანავე.

საჭირო მასალები

- ✔ A1 ფორმატის ფურცელი
- ✔ სხვადასხვა ფერის წებოვანი ფურცლები ('სტიკერები')
- ✔ ფანქარი/კალამი

შემაჯამებელი მიმოხილვა

მდგრადი ურბანული განვითარება მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის მოქალაქეების მხარდაჭერას. დაინტერესებული მხარეების ანალიზი არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხდება იმ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ 'სიმბიოსითის' თქვენს პრიორიტეტულ მიმართულებაზე, ან თავად მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ (დადებითი ან უარყოფითი), რათა მათი ჩართულობა უზრუნველყოფილი იყოს სათანადოდ და ეფექტიანად. ასეთ დაინტერესებულ მხარეებს შორის შეიძლება იყვნენ აკადემიური წრეები, კერძო სექტორი, ადგილობრივი თემები და განვითარების სააგენტოები.

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი შეიძლება სწრაფად განხორციელდეს ძირითადი პირების, და ორგანიზაციების ჩამოწერით და მათი გავლენის, მოტივაციის, შესაძლებლობისა და ზემოქმედების შეფასებით მაღალი-საშუალო-დაბალი შკალის გამოყენების მეთოდით, თქვენს ინიციატივაში მათი შესაძლო როლის გასააზრებლად.

მეთოდი

1. **გუნდთან ერთად ჩაატარეთ იდეების გენერირების სავარჯიშო/'ბრეინშტორმინგი'** და შეადგინეთ იმ პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების ჩამონათვალი.
2. **ჩამოწერეთ ისინი ფერად წებოვან ფურცლებზე/('სტიკერებზე')**, მაგალითად: ხელისუფლება - ლურჯი, თემი - მწვანე, ბიზნესი - წითელი.
3. **ჯგუფში განიხილეთ**, როგორ და რა ეტაპებზე ჩართავთ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს. სასარგებლოა დაინტერესებული მხარეების მნიშვნელობის შეფასება მათი გავლენის, მოტივაციის, შესაძლებლობების და ზემოქმედების მიხედვით და ამის მარტივ მატრიცაში შეტანა.

რუკირების მაგალითი

დაინტერესებული მხარე	გავლენა	მოტივაცია	შესაძლებლობა	ზემოქმედება	შენიშვნები
პროფესიული ასოციაციები (ურბანისტები / არქიტექტორები)					მოსახლეობაში ძლიერი ადგილობრივი ჩართულობა და ლეგიტიმაცია. ტექნიკური ექსპერტიზისა და რესურსების მხარდაჭერის საჭიროება.
სამოქალაქო აქტორები (ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები)					მოსახლეობაში ძლიერი ადგილობრივი ჩართულობა და ლეგიტიმაცია. ტექნიკური ექსპერტიზისა და რესურსების მხარდაჭერის საჭიროება.
ადგილობრივი პოლიტიკოსები (საკრებულო/ მერია)					მთავარი გადაწყვეტილების მიმღებები - პროექტის დამტკიცებისა და დაფინან-სებისთვის საჭიროა მათი მხარდაჭერა. მოტივაცია დამოკიდებულია საჯარო ხილვადობასა და პოლიტიკურ დღის წესრიგთან დროში თანხვედრაზე.
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (არასამთავრობო ორგანიზაციები, ადვოკატირების ჯგუფები)					შეუძლიათ დახმარება კომუნიკაციის, მობილიზაციისა და ადვოკატირების პროცესებში; ასევე შეუძლიათ პროექტის დაკავშირება უფრო ფართო მიზნებთან.

მითითებები ორიენტაციისთვის

იდეალურ შემთხვევაში, პროცესი იწყება **Excel-ის ფაილში მონაცემთა ბაზის შექმნით**, რაც გულისხმობს აუცილებელი საკონტაქ-ტო ინფორმაციისა და საქმიანობის სფეროების სისტემურად და ორგანიზებულად აღრიცხვას. ეს აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაციისთვის, ასევე დაინტერესებული მხარეების დაჯგუფებისთვის, რადგან მათი როლები და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის ქონა აშკარა იყოს.

თუ კომპიუტერსა და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომა არ გაქვთ, ინფორმაცია ჩაწერეთ ფურცელზე და საჭიროებისამებრ განაახლეთ.

ექსელის ფაილის ნიმუში:

ორგანიზაცია	სახელი	თანამდებობა	ტელეფონი	ელ-ფოსტა	ვებ-გვერდი

იდეების შეჯერების სავარჯიშო /(MIND MAPPING)

რა?

იდეების შეჯერების სავარჯიშო გამოყენება შეიძლება სამოქალაქო აქტორებს შორის დიალოგის დაწყებამდე, იდეების, პრობლემური საკითხებისა და ურთიერთკავშირების ვიზუალიზაციის მიზნით და ხშირად სამუშაო შეხვედრის ფორმატში ტარდება.

რატომ?

იდეების შეჯერების სავარჯიშოს ჩატარება მნიშვნელოვანია, რადგან საწყის, ფუნდამენტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს იდეების ორგანიზებისა და სტრუქტურირებისთვის. სავარჯიშო დაგეხმარებათ სრულყოთ იდეები და მოემზადოთ ტრანსფორმაციის პროცესისთვის დიალოგისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის წინ.

ვინ?

იდეების შეჯერების სავარჯიშო შეუძლია ჩაატაროს ფასილიტატორმა, სამოქალაქო ან თემის ლიდერმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ვისაც სურვილი აქვს ჯგუფს დაეხმაროს იდეების სწრაფად ორგანიზებასა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაში. პროცესში ჩართულია მონაწილეთა შერეული ჯგუფი.

როდის?

იდეების შეჯერების სავარჯიშო განსაკუთრებით ეფექტიანია პროექტის ან დიალოგის საწყის ეტაპზე, როდესაც სამოქალაქო ჯგუფებს სჭირდებათ იდეების გაზიარება, განსხვავებული პოზიციების გააზრება და საკითხებს შორის ურთიერთკავშირების დანახვა უფრო ფართო სურათის წარმოდგენის გზით. ეს პროცესი საერთო ენის გამონახვასა და პრიორიტეტების განსაზღვრას ამარტივებს.

საჭირო მასალები

- ✔ დიდი ზომის ფურცელი ან თეთრი დაფა
- ✔ ფერადი წებოვანი ფურცლები/'სტიკერები'
- ✔ ფერადი მარკერები
- ✔ არასავალდებულო - ციფრული ხელსაწყოები (პროექტორი)
- ✔ იდეების გამოსაფენად სივრცე კედელზე და ტაიმერი შეხვედრის დროის სამართავად

მეთოდი

1. ერთ სივრცეში შეკრიბეთ შესაბამისი სამოქალაქო აქტორები
2. შეაგროვეთ იდეები 'სტიკერებზე' ან 'ფლიპჩარტზე'
3. დააჯგუფეთ დაკავშირებული იდეები ურთიერთკავშირების წარმოსაჩენად
4. თემატური ჯგუფების საფუძველზე გამოყავით საერთო პრიორიტეტები

შემაჯამებელი მიმოხილვა

იდეების შეჯერება სწრაფი და ვიზუალური მეთოდია, რომელიც გამოიყენება პროექტის ან დიალოგის საწყის ეტაპზე იდეების, პრობლემური საკითხებისა და ურთიერთკავშირების ვიზუალიზაციისა და ორგანიზებისთვის. იგი ეხმარება სამოქალაქო აქტორებს საკითხების საერთო აღქმის ჩამოყალიბებაში და უფრო სტრუქტურირებული განხილვებისთვის ამზადებს მათ.

▼ *ქალების მიერ ქალების საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა, რეგიონის განვითარების ცენტრი*

მითითებები ორიენტაციისთვის

იდეების შეჯერების სავარჯიშოს ორგანიზება შეიძლება დაფაზე ცალკეული მონახაზის დახატვით ჯგუფური 'ბრეინშტორმინგის' დროს, 'სტიკერების' თემატური დაჯგუფების, ციფრული ინსტრუმენტების ან ფასილიტატორის მიერ წარმართული რუკების შედგენის პროცესის გამოყენებით ხელსაყრელ დროს და თქვენი ინიციატივის პრიორიტეტული თემიდან გამომდინარე.

იდეების შეჯერებას შესაძლოა 2-2.5 საათი დასჭირდეს, გააჩნია ჯგუფის მოცულობას და განსახილველ თემას.

დიალოგის დაწყება

რა?

ეს ინსტრუმენტი მოიცავს ფასილიტატორის მიერ წარმართულ, სტრუქტურირებულ დიალოგს იმისათვის, რომ დაეხმაროს ჯგუფს კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებაში და რთულ ადგილობრივ საკითხებზე კონსენსუსის ჩამოყალიბებაში.

რატომ?

აღნიშნული ინსტრუმენტი უზრუნველყოფს კოლექტიური გადაწყვეტილებების წარმომადგენლობითობას და ადგილობრივად წარმართვას, რადგანაც სამოქალაქო აქტორებისგან მოითხოვს სადისკუსიო მაგიდასთან გააზიარონ თავიანთი უნიკალური, ცხოვრებისეული გამოცდილება და თემში არსებული პრობლემური საკითხები - მათი ძირითადი პოზიციები, რაც მათი მონაწილეობის მნიშვნელობას ადასტურებს და სარგებელი მოაქვს საბოოლოო შეთანხმების მისაღწევად.

ვინ?

'დიალოგის დაწყება' შეიძლება წამოიწყოს ნებისმიერმა პირმა ან ჯგუფმა, რომლის ინტერესშიცაა ადგილობრივი ინიციატივების ხელშეწყობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების მხარდაჭერა. პროცესში უნდა მონაწილეობდეს შერეული შემადგენლობის მონაწილეთა ჯგუფი.

როდის?

იდეების შეჯერების სავარჯიშოს შემდეგ იწყება კონსტრუქციული დიალოგი, რაც მომდევნო ლოგიკურ ნაბიჯს წარმოადგენს, უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული იდეების სტრუქტურირებას, მათ სიღრმისეულ განხილვებად ტრანსფორმირებას და ნიადაგის მომზადებას გადაწყვეტილების მისაღებად.

საჭირო მასალები

- ✔ 'ფლიპჩარტები' ან თეთრი დაფა
- ✔ 'სტიკერები'
- ✔ მარკერები, ფანქრები და ბლოკნოტები
- ✔ არასავალდებულო - პროექტორი, რომელიც ხელს შეუწყობს ღია, ინკლუზიურ დისკუსიას.

შემაჯამებელი მიმოხილვა

'დიალოგის დაწყება' ფასილიტატორის მიერ წარმართული, სტრუქტურირებული დისკუსიაა, რომელიც ერთ სივრცეში კრებს სამოქალაქო აქტორებს იდენტიფიცირებული იდეების კოლექტიურ გადაწყვეტილებებად ჩამოსაყალიბებლად, კონსენსუსის მისაღწევად და ადგილობრივად წარმართული აქტივობების პრიორიტეტების განსასაზღვრად.

ტრანსპორტის შეფასების სამუშაო შეხვედრა „სამეზობლოს თანაშემქმნელები“ თელავში, რეგიონის განვითარების ცენტრი

მეთოდი

1 შეხვედრამდე

7 ნაბიჯი ნახევარ დღიანი შეხვედრის დასაგეგმად

✔ **განსაზღვრეთ მიზანი**
(გუნდი, 30-60 წუთი)
განმარტეთ ძირითადი შედეგი - მაგ., ერთობლივად შეთანხმდით ძირითად პრიორიტეტებზე, შეიმუშავეთ ქმედითი იდეები, ან მიიღეთ გადაწყვეტილება შემდეგი ნაბიჯების შესახებ.

✔ **შეარჩიეთ მონაწილეები და მოიწვიეთ**
(გუნდი, 1 კვირით ადრე)
მაცხოვრებლების, ადგილობრივი ბიზნესების წარმომადგენლების, სკოლის წარმომადგენლების, შშმ პირების წარმომადგენელის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელის (თუ შესაძლებელი იქნება) და ახალგაზრდების ნაკრები.

✔ **დაჯავშნეთ შეხვედრის ადგილი და უზრუნველყავით ლოგისტიკა** (გუნდი, 1 კვირით ადრე) მოიძიეთ ადაპტირებული ოთახი. მოამზადეთ 'ფლიპჩარტები', 'სტიკერები', კალმები, პროექტორი (სავალდებულო არაა), სახელების 'ბეიჯები', წასახემსებელი და წყალი.

✔ **მოამზადეთ მასალები**
(გუნდი, 2-3 დღით ადრე)
ამობეჭდეთ იდეების შეჯერების სავარჯიშოს შეჯამება, მოამზადეთ მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცლები და ფასილიტატორის მასალები

✔ **გადაანაწილეთ როლები**
(გუნდი, ღონისძიებამდე)
დანიშნეთ ფასილიტატორი, ჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირი, დროის მაკონტროლებელი და მონაწილეთა მიღებასა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი

✔ **შეიმუშავეთ შეხვედრის დღის წესრიგი და ინსტრუმენტები**
გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული დღის წესრიგის ნიმუში და თქვენი ჯგუფის ზომას მოარგეთ დრო

✔ **წინასწარ წასაკითი და შეხსენებები**
(1-2 დღით ადრე)
გაგზავნეთ ერთგვერდიანი იდეების შეჯერების სავარჯიშოს შეჯამება და დაურთეთ მოკლე შეხსენების შეტყობინება.

2 შეხვედრის დროს

10 ნაბიჯი ფასილიტატორებისთვის (2 დან 3 საათიანი შეხვედრა)

მისალმება და მიზნების წარმოდგენა (მიღება/კომუნიკაცია)

გაცნობითი აქტივობა და მონაწილეთა წარდგენა

იდეების შეჯერების სავარჯიშოს შეჯამება და კონტექსტის განმარტება

სამუშაო ჩარჩოს განსაზღვრა და მუშაობის ძირითად წესებზე შეთანხმება

მცირე ჯგუფებში დისკუსიები (თანა-ფასილიტატორი)

საერთო პლენარული განხილვა და შედეგების დაფიქსირება (ფასილიტატორი და ჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირი)

განმარტება და სინთეზი

პრიორიტეტების განსაზღვრა

გადაწყვეტილებისა და მოქმედების დაგეგმვა

შეჯამება და შემდგომი ნაბიჯები

3 შეხვედრის შემდეგ

5 ნაბიჯი ყველასთვის!

✔ **შეაჯამეთ შედეგები (დღე 1–2)**
დაწერეთ მოკლე შეჯამება: ძირითადი გადაწყვეტილებები, პრიორიტეტები და ვინ რას აკეთებს.

✔ **გაუზიარეთ მონაწილეებს (დღე 2-3)**
ყველას გაუგზავნეთ შეჯამება და აქტივობების ცხრილი (ელ-ფოსტით, 'ვოთსაფით', ან ფოსტით)

✔ **შემდგომი ქმედებები (კვირა 2)**
დაუკავშირდით თითოეულ ამოცანაზე პასუხისმგებელ პირებს - ჰკითხეთ, რა დაიწყო უკვე და რა არის საჭირო.

✔ **პროცესის მონიტორინგი (კვირა 4–6)**
ჩაატარეთ მოკლე შემაჯამებელი შეხვედრა პირისპირ, ან ონლაინ. დააფიქსირეთ, რა არის უკვე შესრულებული და რა შეფერხდა.

✔ **რეფლექსია და შემდეგი ნაბიჯის დაგეგმვა (თვე 3)**
გადაახედეთ რამ იმუშავა, ამის შედეგად რა დასკვნების გაკეთება შეიძლება და შეთანხმდით თემთან შემდგომ ქმედებაზე ან დიალოგზე.

SWOT/C ანალიზი

რა?

ეს არის მარტივი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გეხმარებათ ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების/შეზღუდვების განსაზღვრაში (SWOT/C).

რატომ?

SWOT/C წარმოადგენს სწრაფ და ეფექტურ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია თქვენი საკითხის რელევანტური ფაქტორების იდენტიფიცირება და კატეგორიზაცია. იგი პრაქტიკული ინსტრუმენტია მონაწილეობის წასახალისებლად და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოსაზრებების 'ფლიპჩარტზე' დასაფიქსირებლად. შემდგომში მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია იმ სფეროების გამოსავლენად, სადაც საჭიროა საკითხების უფრო სიღრმისეული ანალიზი და უკეთესი გააზრება.

ვინ?

უმთავრესად გამოიყენება იმ პირებისთვის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი შესაფასებელ საკითხში ან კარგად იცნობენ მას. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ, როგორც მამაკაცებმა, ასევე ქალებმა და იდეალურ შემთხვევაში - საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენელმა (მათ შორის ხანდაზმულმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა).

როდის?

ანალიზის გამოყენება ნებისმიერი ინიციატივის საწყის ეტაპზეა აქტუალური, იქნება ეს ორგანიზაციის, პროექტის თუ საზოგადოებრივი საკითხის შეფასება, რადგანაც ის საწყის ეტაპზევე სიცხადეს უზრუნველყოფს. ეს კი აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, მკაფიო სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად და თქვენს პრიორიტეტებზე საპასუხოდ.

საჭირო მასალები

- ✔ 'ფლიპჩარტი', ან დიდი ფორმატის ფურცელი SWOT/C ცხრილით-ოთხ დიდ კვადრატად დაყოფილი
- ✔ კალმები/'სტიკერები' თითოეული კვადრატის სათანადოდ შესავსებად.

შემაჯამებელი მიმოხილვა

SWOT/C არის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც აღნიშნავს შემდეგ კომპონენტებს: ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები/შეზღუდვები. ამ ინსტრუმენტის გამოყენება შეიძლება კონკრეტული გეოგრაფიული ტერიტორიის, მაგალითად თქვენი უბნის, ან თქვენზე გავლენის მქონე კონკრეტული საკითხის შესაფასებლად. ასევე შესაძლებელია მისი უფრო ჰოლისტური მიდგომით გამოყენება და თქვენი ქალაქის საერთო განვითარების საკითხების შეფასება.

მითითებები ორიენტაციისთვის

SWOT/C-ის შემუშავება სასურველია განსხვავებული შეხედულებების მქონე მონაწილეებთან ერთად, რათა პრობლემებისა და შესაძლებლობების უფრო სრულყოფილი სურათი მიიღოთ. სცენარის მიხედვით, ის შეიძლება ჩატარდეს, როგორც სემინარის ფორმატში, ასევე თქვენს პარტნიორებთან ერთად არაფორმალური შეხვედრისას (მაგალითად, ყავის დალევის დროს). SWOT/C-ის შედეგები შეგიძლიათ გამოიყენოთ ხედვის სემინარისთვის სასურველი მომავლის განსასაზღვრად და საბოლოოდ 'თანა-დაგეგმვის' სემინარის ჩასატარებლად, სადაც მოხდება პრაქტიკული გადაწყვეტილებების შემუშავება, რომლებიც SWOT/C-ის მიგნებებზე იქნება დაფუძნებული.

მეთოდი

1. **განსაზღვრეთ შესაფასებელი საკითხის მდგომარეობა** და მონაწილეებს განუმარტეთ SWOT/C-ის ფორმატი.
2. **შეკრიბეთ მონაწილეები**, რომლებიც კარგად იცნობენ შესაფასებელ საკითხს, სასურველია იყვნენ განსხვავებული შეხედულებებისა და გამოცდილების მქონე პირები. მონაწილეთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მასშტაბს.
3. **შეავსეთ ცხრილი** ინდივიდუალურად ან ჯგუფებში. მუშაობა დაიწყეთ ძლიერი და სუსტი მხარეებით, რის შემდეგაც გააგრძელეთ შესაძლებლობებისა და საფრთხეების/შეზღუდვების განხილვა.
4. **განიხილეთ მიღებული შედეგები** და ჩამოაყალიბეთ საერთო SWOT/C ცხრილი იმ საკითხებით, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევთ; საჭიროების შემთხვევაში დაალაგეთ ისინი პრიორიტეტების მიხედვით.

'სიმბიოსითის' სამუშაო შეხვედრა სტოკჰოლმში, 'სიმბიოსითი' ჩინეთი

პრობლემის ხე

რა?

ეს გახლავთ ჩარჩო-ინსტრუმენტი, რომელიც პრობლემების ძირეული მიზეზებისა და მათი შედეგების იდენტიფიცირებაში და მათ შორის პრიორიტეტების განსაზღვრაში, ასევე პრობლემების მართვად, მცირე ნაწილებად დაყოფაში დაგეხმარებათ.

რატომ?

ის მრავალფეროვანი მიზეზებისა და შედეგების გააზრებას უზრუნველყოფს, წარმოაჩენს მათ ურთიერთკავშირს და მათ ნეგატიურ შედეგებს.

ვინ?

პრობლემის ხის შემუშავება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სამუშაოს ფორმატში (გენდერის, ასაკისა და შესაძლებლობების მიხედვით შერეული შემადგენლობით), ან ამ ორი მიდგომის კომბინაციით.

როდის?

იგი ყველაზე მეტად გამოსადეგია ანალიზის საწყის ეტაპზე კრიტიკული პრობლემების მკაფიო განსაზღვრის უზრუნველსაყოფად.

საჭირო მასალები

- ✔ A1 ფორმატის ქაღალდი ცხრილით, რომელშიც მიზეზებსა და შედეგებს დააფიქსირებთ.
- ✔ კალმები და 'სტიკერები' თითოეული უჯრის სათანადოდ შესავსებად

შემაჯამებელი მიმოხილვა

პრობლემის ხის ანალიზი ხელს უწყობს გადაწყვეტების მოძიებას კონკრეტული პრობლემის მიზეზებისა და შედეგების სტრუქტურის ვიზუალიზაციის გზით. ეს ხელსაწყო ისეთი პოტენციური გადაწყვეტების განსაზღვრის საშუალებას გაძლევთ, რომლებიც მიმართულია პრობლემის მიზეზების (ფესვების) აღმოფხვრისკენ და არა მხოლოდ მის სიმპტომებზე (ღერო და ვარჯი).

მეთოდი

1. ინდივიდუალურად ან დისკუსიის ჯგუფში განსაზღვრეთ გადასაჭრელი **მნიშვნელოვანი პრობლემა** (ან პრობლემები).
2. გამოავლინეთ ამ პრობლემ(ებ)ის **შესაძლო ძირეული მიზეზები**.
3. განსაზღვრეთ პრობლემ(ებ)ის **შედეგები და ზემოქმედებები**.
4. გამოავლინეთ **შესაძლო გადაწყვეტები**, რომლებიც ერთდროულად მოაგვარებს როგორც მიზეზებს, ისე შედეგებს.

მითითებები ორიენტაციისთვის

- საჭიროა გავითვალისწინოთ პრობლემის ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალურ-კულტურული განზომილებები.
- აუცილებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რომელი მიზეზები და ზემოქმედებები უმჯობესდება და რომლები უარესდება.
- გასათვალისწინებელია როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი გადაწყვეტილებები.

პრობლემის ხე

პრობლემის ეფექტი/ზეგავლენა



პრობლემა

პრობლემის წარმოქმნის მიზეზები

ველზე გასვლა და დაკვირვება

რა?

ველზე გასვლა და დაკვირვების სავარჯიშო საშუალებას გაძლევთ ტერიტორია სხვადასხვა კუთხით გააანალიზოთ იმის მიხედვით, რასაც ადგილზე გაეცნობით. ველზე გასვლა ხდება მოქალაქეებთან და ქალაქში მცხოვრებ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. ყველა მონაწილე არის არსებული გარემოს ექსპერტი საკუთარი გამოცდილებისა და ხედვის მიხედვით.

რატომ?

ეს ინსტრუმენტი შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს გასცდნენ ოფისებს და უშუალოდ სამიზნე უბანი დაათვალიეროთ, რაც საშუალებას გაძლევთ თქვენი პირადი ისტორიები გაუზიაროთ ერთმანეთს და იმ ადგილას აღმოაჩინოთ მიმდინარე პრობლემები. ეს ინსტრუმენტი მარტივი, მეგობრული და განსაკუთრებით ეფექტური საშუალებაა საზოგადოებრივი კავშირების გასაძლიერებლად და ადგილზე არსებული რეალობის სიღრმისეულად გასააზრებლად.

ვინ?

მისი ჩატარება შესაძლებელია ინდივიდუალურადაც, თუმცა სასურველია ჯგუფთან ერთად. უზრუნველყავით, რომ ჯგუფში იყვნენ ქალები და იდეალურ შემთხვევაში, იყვნენ ბავშვები, ხანდაზმული პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები.

როდის?

მისი გამოყენება ძირითადად მიზანშეწონილია პროექტის წინადადების შემუშავებამდე, რადგან იძლევა ადგილზე არსებული რეალობების უკეთ გააზრების შესაძლებლობას.

საჭირო მასალები

- ✔ ტერიტორიის რუკა
- ✔ რვეული
- ✔ ფოტოაპარატი
- ✔ კალმები

შემაჯამებელი მიმოხილვა

‘ველზე გასვლა და დაკვირვება’ არის მოკლე, სტრუქტურირებული და თანამონაწილეობაზე დაფუძნებული დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, რომლის ფარგლებშიც მცირე ჯგუფი მიყვება წინასწარ განსაზღვრულ მარშრუტს, ადგილ-ადგილ ჩერდებიან ჩანაწერების გასაკეთებლად და ფოტოების გადასაღებად, იქვე განიხილავენ ადგილზე დაკვირვების შედეგად აღმოჩენილ საკითხებს, ტერიტორიის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ კონკრეტული კუთხით (მაგალითად, უსაფრთხოება, მობილობა). ეს მეთოდი საშუალებას გაძლევთ ტერიტორია გააანალიზოთ ადგილზე გავლისა და შეფასების გზით, ადგილზე თქვენს მიერ აღქმული ყველა შეგრძნების გათვალისწინებით. იგი ხელს უწყობს ტერიტორიის სხვადასხვა კუთხიდან აღქმას და ადგილზე არსებული რეალობის უფრო სიღრმისეულ გააზრებას. ‘ველზე გავლა და დაკვირვება’ შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ ეტაპზე თუმცა განსაკუთრებით მკაფიო სურათს წარმოაჩენს ოფიციალური მონაცემების გადახედვის შემდეგ, როდესაც საჭიროა ადგილზე არსებული ფიზიკური და სოციალური რეალობების გადამოწმება და შეუსაბამობების იდენტიფიცირება. ხშირად სოციალური და ფიზიკური ურთიერთქმედებების ნიუანსები ოფიციალურ ანგარიშებში არ აისახება, ხოლო ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტის იდენტიფიცირება ეფუძნებოდეს საზოგადოების რეალურ, ყოველდღიურ გამოცდილებას.

მეთოდი

1. **წინასწარ დაგეგმეთ** მარშრუტი და მონიშნეთ იგი რუკაზე - შეგიძლიათ განსაზღვროთ წერტილები, სადაც გაჩერდებით და მონაწილეებს შესთავაზოთ კითხვები განსახილველად. საკონტროლო სია შეგიძლიათ მოარგოთ თქვენთვის მნიშვნელოვან მიზნებსა და საჭიროებებს.
2. **მონაწილეთა რაოდენობა** შეიძლება იცვლებოდეს, თუმცა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 ადამიანს, ხოლო ველზე გასვლის ხანგრძლივობა დაახლოებით ერთ საათს უნდა შეადგენდეს. მონაწილეები თავს კომფორტულად უნდა გრძნობდნენ საკუთარი გამოცდილების გაზიარებისას.
3. **დანიშნეთ პროცესის ხელმძღვანელი,** რომელიც ჯგუფის გაძღოლაზე იქნება პასუხისმგებელი.
4. თითოეული შეჩერებისას დარჩით ადგილზე **დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში.**
5. ხვადასხვა ადგილას გაჩერებისას მონაწილეებმა **უნდა გააანალიზონ ადგილი** საკუთარი ცოდნისა და სენსორული აღქმების გამოყენებით, წინასწარ ფორმულირებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად.
6. **ჩანაწერები გააკეთეთ ჩუმად და ინდივიდუალურად.**
7. **შეაგროვეთ მიღებული პასუხები.**
8. **ერთობლივად განიხილეთ შედეგები** და ის, თუ როგორ აღიქვამენ სხვადასხვა მონაწილეები ერთსა და იმავე ადგილს ან საკითხს განსხვავებულად.

მითითებები ორიენტაციისთვის

ველზე ყოფნა

- ‘ველზე გასვლისა და დაკვირვების’ ლიდერი უძღვება ჯგუფს შუქნიშნებამდე
- დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილეს სწორად ესმის დასმული კითხვები
- თითოეული გაჩერებისას დაფიქრდით ადგილის მიმართ თქვენი თანაგანცდის გასაზიარებლად
- თქვენთვის გააკეთეთ მოკლე ჩანაწერები მოგვიანებით მნიშვნელოვანი დეტალების გასახსენებლად.

დისკუსია

- **‘ველზე გასვლისა და დაკვირვების’** ლიდერი წარმართავს დისკუსიას
- განიხილეთ თითოეული ადგილი, სადაც შეჩერდით
- თითოეულ მონაწილეს ეძლევა საკუთარი გამოცდილების წარმოდგენის შესაძლებლობა
- ერთი პირი იწერს საუბარს
- საბოლოო პრეზენტაციამდე შეეცადეთ შეაჯამოთ ძირითადი მიგნებები

ველზე ყოფნისას შეავსეთ ეს ფორმა:

საკონტროლო პუნქტი	შეფასების ჭრილი	კითხვა/შესასრულებელი ამოცანა	სტატუსი
განაშენიანებული გარემო	ინფრასტრუქტურა	არის თუ არა ტროტუარები უსაფრთხო და ხელმისაწვდომი (არის ქუჩის ბარიერები? არსებობს პანდუსები)?	**კი თუ არა**
მობილობა	ხელმისაწვდომობა	ქუჩის საგზაო ნიშნები და განათება ფუნქციურია და ადეკვატურია თუ არა ქვეითებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და ველოსიპედისტებისთვის?	
სოციალური ურთიერთობები	თემის ცხოვრება	სად იკრიბებიან ადამიანები ჩვეულებრივ და რა აქტივობებს ეწევიან? არსებობს თუ არა სივრცეები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის (ბავშვები, ხანდაზმულები)?	
გარემოსდაცვითი ჯანმრთელობა 1	სისუფთავე და გამწვანება	შეინიშნება თუ არა ნაგავი, გადავსებული ურნები ან უკანონო ნაგავსაყრელები?	
გარემოსდაცვითი ჯანმრთელობა 2	გამწვანება	სათანადო დონეზეა თუ არა გამწვანებული სივრცეების მოვლა-პატრონობა? რა მდგომარეობაშია მწვანე საფარი? დაავადებული ხეები ხომ არ არის?	



საფეხმავლო ტურის შედეგების რუკაზე დატანა, 'სიმბიოსითი' მიანმარი

„დაარუკე“

(რუკების შექმნის სავარჯიშო/OPENSTREETMAP)

რა?

‘OpenStreetMap’-ი არის უფასო, ღიად ხელმისაწვდომი მსოფლიოს ყველა ადგილის ინტერაქტიული რუკა, რომელიც თანამშრომლობითი პრინციპზე დაყრდნობითაა შექმნილი და რედაქტირებადია ყველას მიერ.

რატომ?

‘OpenStreetMap’-ი ღირებული ინსტრუმენტია სამოქალაქო აქტორებისთვის, რადგან იგი ადგილობრივი მონაწილეობის შედეგად შექმნილი მონაცემთა წყაროა.

ვინ?

‘OpenStreetMap’-ის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ პირს და იგი სასარგებლო იქნება, როგორც ინიციატივების მოსამზადებლად და წარსადგენად ასევე ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომია (უფასოა).

როდის?

‘OpenStreetMap’-ი განსაკუთრებით ეფექტური და ძლიერი ინსტრუმენტია სამოქალაქო აქტორებისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი იმგვარ გამოწყვევებს აწყდებიან, როგორებიცაა ადგილობრივი მონაცემების ნაკლებობა ან არარსებობა, ინფორმაციის მიკერძოებით და დაგვიანებით მიწოდება ან შეზღუდული რესურსების ქონა.

საჭირო მასალები

- ✔ ციფრული და ამობეჭდილი რუკა
- ✔ აიპადი, ან მსუბუქი ლეპტოპი
- ✔ გამადიდებელი შუშა
- ✔ კალამი, ან ფანქარი
- ✔ რვეული

შემაჯამებელი მიმოხილვა

‘OpenStreetMap’-ი წარმოადგენს მაღალი დეტალიზაციის გეოგრაფიული ინფორმაციის ინსტრუმენტს, რაც ღირებულია სამოქალაქო აქტორებისთვის. მათ აქვთ შესაძლებლობა შეცვალონ რუკა და მოარგონ უშუალო ინფრასტრუქტურას, ადგილზე გადაამოწმონ ინფორმაცია და გამოიყენონ ადაპტირებული, განახლებული რუკები საკუთარი პროექტებისა და ანალიზის მხარდასაჭერად.

მეთოდი

1. ელექტრონულად ან ამობეჭდილი იქონიეთ ‘OpenStreetMap’-ის რუკები.
2. ფეხით მოიარეთ ტერიტორია (‘ველზე გასვლა და დაკვირვება’) და მონიშნეთ გამოტოვებული ელემენტები, შეასწორეთ შეცდომები და დაამატეთ თქვენთვის საინტერესო ობიექტები
3. გააციფრულეთ შეგროვებული მონაცემები.
4. ეს მიდგომა გამოიყენეთ დიდი ან რთულად მისადგომი ტერიტორიების რუკის სწრაფად შესადგენად.

მითითებები ორიენტაციისთვის

შეგიძლიათ ადგილზე გადაამოწმოთ არსებული რეალობა, დაამატოთ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, მონიშნოთ მიუსაფარი ცხოველების კონცენტრაციის ადგილები, ჩაატაროთ ქუჩის განათების აუდიტი და თქვენს სამიზნე აუდიტორიას მოარგოთ რუკები. მაგალითად, ველოსიპედისტებს ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

ხმის (ელ) მიცემა

რა?

შეგიძლიათ თქვენი სოციალური მედიის ქსელები გამოიყენოთ ონლაინ ხმის მიცემის ორგანიზებისთვის. რაც ორი მიზნის ერთდროულად მიღწევის საშუალებას მოგცემთ: კოლექტიური ჩართულობის საფუძველზე მოახდინოთ საკვანძო საკითხების პრიორიტიზება და ამავე დროს, ფართო აუდიტორიას მიაწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია თქვენი გადაწყვეტის შესახებ ერთიანი გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომი პლატფორმის საშუალებით.

რატომ?

გამოიყენეთ საქართველოში პოპულარული სოციალური მედიის პლატფორმა (მაგალითად, Facebook), რათა მაქსიმალურად გაზარდოთ დაგეგმილი აქტივობების გავრცელება და შექმნათ ხილული, საზოგადოებაზე ორიენტირებული მექანიზმი საზოგადოების პრობლემური საკითხების პრიორიტიზებისთვის. რაც თავის მხრივ, ლეგიტიმურობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს, ადგილობრივ ხელისუფლებას ავალდებულებს აღიაროს მიღებული შედეგები და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მათზე.

ვინ?

ონლაინ ხმის მიცემის ორგანიზება შეუძლიათ თემის ლიდერებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საზოგადოების ჯგუფებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ან ინიციატივის ნებისმიერ განმახორციელებელ პირს, ვისაც შეუძლია სოციალური მედიის პლატფორმის მართვა და პროცესის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

როდის?

ელექტრონული ხმის მიცემა ყველაზე გამოსადეგი და ეფექტურია მაშინ, როდესაც საჭიროა ფართო, გეოგრაფიულად გაფანტული ან მოსახლეობის განსხვავებული ჯგუფებისგან მიღებული მკაფიოდ განსაზღვრული, მართვადი ვარიანტების სიის პრიორიტეტებად დაყოფა, იმ მოსახლეობის, რომლებსაც ნაკლებად აქვთ წვდომა ფიზიკურ შეხვედრებში მონაწილეობის მიღებაზე.

საჭირო მასალები

- ✔ სოციალური მედიის ანგარიშები
- ✔ მაღალი რეზოლუციის ფოტოები

მეთოდი

1. მოამზადეთ სახელმძღვანელო კითხვები ან ხმის მისაცემი ვარიანტების სია.
2. გამოიყენეთ პოპულარული სოციალური მედიის პლატფორმა ონლაინ გამოკითხვის ფორმატის შესაქმნელად.
3. ფართოდ გააზიარეთ გამოკითხვა სამიზნე თემში, მათ შორის შესაბამის ჯგუფებსა და ქსელებში.
4. აკონტროლეთ მონაწილეობა და უზრუნველყავით გამჭვირვალობა შედეგების გამჭვირვალედ წარმოჩენით.
5. შეაჯამეთ მიღებული შედეგები და გაუზიარეთ ისინი დაინტერესებულ მხარეებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას.

„გამოავლინე საუკეთესო მწვანე სივრცე ედინბურგში", ხმის (ელ) მიცემის მაგალითი შოტლანდიში, იან მუნტი

შემაჯამებელი მიმოხილვა

ონლაინ ხმის მიცემა არის მარტივი ციფრული ინსტრუმენტი, რომელიც სოციალური მედიის - განსაკუთრებით Meta-ს პლატფორმების გამოყენებით, უზრუნველყოფს საზოგადოების საჭიროებების შეგროვებას, საკვანძო საკითხების პრიორიტიზებას, უკუკავშირის მიღებას და ინფორმაციის ფართოდ, გამჭვირვალედ და ხელმისაწვდომად გავრცელებას.

მითითებები ორიენტაციისთვის

ელექტრონული ხმის მიცემა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი ტარდება პოლიტიკოსების, მერების ან მუნიციპალური ხელისუფლების სოციალური მედიის ოფიციალური ანგარიშების გამოყენებით, საზოგადოების ფართო ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

უბნის დაცულობის კვლევა

რა?

კითხვარი კონკრეტულ ურბანულ ტერიტორიაზე ან უბანში უსაფრთხოების ასპექტების იდენტიფიცირებისა და შეფასებისათვის.

რატომ?

ურბანულ სივრცეში არსებული რისკებისა და მახასიათებლების, აგრეთვე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობების გააზრების უზრუნველყოფა.

ვინ?

სამუშაო ჯგუფის ფორმირება დაინტერესებულ მხარეებთან და მომხმარებლებთან ან ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. უზრუნველყავით როგორც ქალების, ისე კაცების ჩართულობა და იდეალურ შემთხვევაში, ასევე ბავშვების, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობა. ყველა მათგანი უსაფრთხოების საკითხებს განსხვავებულად აღიქვამს.

როდის?

იგი გამოიყენება შესასწავლი ტერიტორიის წინასწარი დიაგნოსტიკის პროცესში.

საჭირო მასალები

- ✔ სივრცე სადაც იქნება მაგიდები და სკამები
- ✔ სამიზნე ტერიტორიების რუკა
- ✔ ორი ფერის კალმები/'სტიკერები' მონიშვნისთვის

შემაჯამებელი მიმოხილვა

უბნის უსაფრთხოების გამოკითხვა წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის მიზანია უბანში ნაკლებად უსაფრთხო ადგილების იდენტიფიცირება და ანალიზი, ასევე ყველა პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარის ჩართვა იმ საკითხის განხილვაში, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული ტერიტორია უფრო უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გახდეს. მისი მიზანია იდეებისა და შეხედულებების ურთიერთგაზიარების წახალისება, ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობის შექმნა და კონსტრუქციული გადაწყვეტილებების განხილვა უბნის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. მოსახლეობასა და პასუხისმგებელ სუბიექტებს შორის დისკუსია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად გამოკითხვის შედეგად მიღებული შესაძლო ფიზიკური ცვლილებები.

მეთოდი

1. **ახსენით გამოკითხვის ფარგლები** და რუკების გამოყენების წესი - ერთი ფერის მონიშვნები წარმოადგენდეს არასაიმედო/არაუსაფრთხო ადგილებს, ხოლო სხვა ფერის მონიშვნები - დადებითად შეფასებულ (მოსაწონ) ადგილებს.
2. დანომვრისა და ცალკე სიის დახმარებით ჩაინიშნეთ **რისკებისა და მახასიათებლების შესახებ დამატებითი დეტალები**, მათ შორის, რამდენი ეთანხმება ან არ ეთანხმება შეფასებას და განსხვავდება თუ არა აღქმა გენდერისა და ასაკის მიხედვით.
3. რუკებზე გამოვლენილი ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებების საფუძველზე **ყველა მონაწილე მოიწვიეთ ველზე გასვლის ტურზე**, რათა უფრო სიღრმისეულად დაამუშავოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ მიიჩნევა უბნის გარკვეული ადგილები საფრთხის შემცველად.

მითითებები ორიენტაციისთვის

გამოკითხვაში განსახილველი შესაძლო კითხვები:

- როგორია უბანი მთლიანობაში?
- სად არის ყველაზე მოწესრიგებული და ყველაზე პრობლემატური ადგილები?
- სად არის საჭირო ჩარევა?
- დაფიქსირდა თუ არა ვანდალიზმის შემთხვევები? სად?
- რა მდგომარეობაშია უბანში არსებული გამწვანებული საფარი?
- საჭიროა თუ არა მწვანე საფარის გასხვლა ხედის გასაუმჯობესებლად?
- სად არის საჭირო მეტი გამწვანება სივრცის უფრო მოსაწესრიგებლად? რა ტიპის მწვანე საფარია საჭირო?
- მარტივია თუ არა უბანში ორიენტირება? საჭიროა თუ არა რუკები და მაჩვენებლები? არის თუ არა საინფორმაციო დაფები?
- სწორ ადგილებზეა განთავსებული განათება და მუშაობს თუ არა გამართულად?
- რომელ ადგილებში ბნელა?
- რა მდგომარეობაშია გზის საფარი, გადასასვლელები და მოაჯირები? საჭიროა თუ არა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება?
- შეიძლება თუ არა ტერიტორია პრობლემებს ქმნიდეს სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (მხედველობის, სმენის, ფიზიკური შეზღუდვების, ალერგიების ან ორიენტაციის სირთულეების მიმართ)?
- არის თუ არა საკმარისი - ან მეტისმეტად ბევრი - სკამი და ნაგვის ურნა? რა მდგომარეობაშია ინფრასტრუქტურა?



სამეზობლოში უსაფრთხოების კვლევის შედეგები, რუკა აჩვენებს უსაფრთხოების დონეს სხვადასხვა ზონაში დღისა და ღამის განმავლობაში, 'სიმბიოსითი' კოლუმბია

საჯარო სივრცის ანალიზი

რა?

ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს, როგორც წესი, კონკრეტულად შერჩეულ საჯარო სივრცეში არსებული დადებითი და უარყოფითი საკითხების ანალიზს.

რატომ?

მისი მიზანია მონაწილეებს დაეხმაროს საჯარო სივრცეების თვისებებისა და მათი მნიშვნელობის გააზრებაში.

ვინ?

საჯარო სივრცეების გამოყენებაში, დაგეგმვასა და მართვაში დაინტერესებული და ჩართული მხარეები. უზრუნველყავით ყველა შესაბამისი მომხმარებლის მონაწილეობა, მათ შორის ქალებისა და კაცების, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართვა.

როდის?

იგი გამოიყენება საჯარო სივრცის წინასწარი დიაგნოსტიკის ეტაპზე.

საჭირო მასალები

- ✔ საჯარო სივრცის რუკა
- ✔ ამობეჭდილი განსახილველი კითხვები
- ✔ კალმები და ფურცლები

შემაჯამებელი მიმოხილვა

საჯარო სივრცის ანალიზი ტარდება თვისობრივი კითხვების ნაკრების საფუძველზე კონკრეტულ ლოკაციაზე არსებული მდგომარეობის დიაგნოსტირებისა და ანალიზისთვის. შესაძლებელია აღიშნული ანალიზის პირველ ნაბიჯად გამოყენება, რათა მოხდეს იმ ადგილთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებისა და ღირებულებების გააზრება, რომლებიც შემდგომში შესაძლებელია გავრცელდეს ან აღმოიფხვრას შესაბამისი გადაწყვეტების მეშვეობით.

მითითებები ორიენტაციისთვის

უზრუნველყავით თანაბარი მონაწილეობა სქესის, ასაკის, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

საჯარო სივრცის ანალიზი გენდერული კუთხით

თუ გვინდა შევქმნათ ყველასთვის განკუთვნილი საჯარო სივრცე, საჭიროა დავიწყოთ სივრცის გენდერული კუთხით გაანალიზება, რომ გავიგოთ, როგორ გამოიყენება იგი, ვინ იყენებს მას, როდის და რა მიზნით.

- ვინ იყენებს და ვინ არ იყენებს ამ სივრცეს? ვინ იმყოფება მის მიმდებარე ტერიტორიებზე? ვინ გადაადგილდება აღნიშნულ ტერიტორიაზე?
- არიან თუ არა დღის სხვადასხვა მონაკვეთში (დილა/დღე/საღამო) წარმოდგენილი განსხვავებული სამიზნე ჯგუფები?
- ვინ არის აქტიური და იყენებს სივრცის ყველა ფუნქციას? ვინ არის პასიური და მხოლოდ აკვირდება?
- როგორ იყენებენ სივრცეს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები? რა ტიპის აქტივობები იმართება აქ? აქვს თუ არა სივრცეს გენდერული განზომილება?
- რომელი სქესი დომინირებს?
- არსებობს თუ არა განსხვავება სქესისა და ასაკის მიხედვით სივრცის გამოყენების დროსა და ფორმებში? თუ კი, როგორი?
- არის თუ არა სივრცეში ან მის გარშემო ისეთი ინფრასტრუქტურა, რომლებმაც შესაძლოა გოგონებსა და ქალებს თავი მეტად ან ნაკლებად მისაღებად აგრძნობინოს?

მეთოდი

1. მონაწილეებს მიაწოდეთ რუკა და შესასწავ-ლი/განსახილველი კითხვების ნაკრები:

სივრცის მახასიათებლები

- რატომაა ეს ადგილი დადებითი/ უარყოფითი?
- რომელი მახასიათებლები განაპირობებს ამას?
- გამოტოვებული ან უხილავი საკითხები: ისტორიები, რომლებიც შეუმჩნეველია თვალისთვის.

მომხმარებლები

- ვისთვის არის ეს ადგილი კარგი/ცუდი?
- ვინ სარგებლობს ამ სივრცით?
- ვინ არ სარგებლობს?
- უფრო მეტი ქალია, თუ კაცი წარმოდგენილი?
- სივრცეს სხვადასხვაგვარად იყენებენ თუ არა?
- როგორაა გადანაწილებული გავლენა სივრცის გამოყენებაში სხვადასხვა მომხმარებელს შორის?
- ვინ დომინირებს? არის თუ არა აღნიშნული სივრცე ბავშვებისთვის? ხანდაზმულებისთვის?

კონკრეტული პირობები, რომლებიც დადებითია/უარყოფითია

უსაფრთხოება

- დაუცველი ავტოსაგზაო მოძრაობა?
- კლიმატური ცვლილებისგან დაცვა?
- ძალადობისა და დანაშაულისგან დაცვა?

კომფორტი

- სიარულის შესაძლებლობა და მიმზიდველობა?
- გაჩერების შესაძლებლობა?
- დაჯდომის შესაძლებლობა?
- სასიამოვნო ხედები?
- ხმაურის დონე?

2. შეაგროვეთ მონაწილეთა მიერ დაფიქსირებული პასუხები.

3. გადახედეთ და განიხილეთ მონაწილეთა პასუხები და ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს, რატომ არის ადგილი ხელმისაწვდომი ან მიუწვდომელი იქ მაცხოვრებლებისთვის.

ახლადრეაბილიტირებული ვერის პარკი თბილისში

ურბანული მობილობის ანალიზი და ხედვის შემუშავება

რა?

ურბანული მობილობის ანალიზი და ხედვის შემუშავება წარმოადგენს თანამშრომლობით, საჯარო აქტივობას, რომელიც აერთიანებს ველოსიპედისტებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს იმისათვის, რომ მათ აქტიურად შეიტანონ თავიანთი წვლილი ქალაქის მობილობის სისტემის ფორმირებაში და უზრუნველყონ მისი მდგრადობა, ინკლუზიურობა და ყველასთვის ხელმისაწვდომობა.

რატომ?

საზოგადოების არსებული სატრანსპორტო ჩვევების უკეთ გასააზრებლად და მობილობის უფრო მდგრადი და ინკლუზიური გაუმჯობესების საკითხზე იდეების შესაგროვებლად.

ვინ?

სავარჯიშო ტარდება სამუშაო ჯგუფის მიერ მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. გთხოვთ, უზრუნველყოთ შერეული გენდერული შემადგენლობის ჯგუფები.

როდის?

უმეტესწილად გამოიყენება დაგეგმვის საწყის ეტაპზე, გეგმის შედგენამდე ან გადაწყვეტილების შემუშავებამდე.

საჭირო მასალები

- ✔ ქალაქის ან უბნის დიდი ზომის რუკები
- ✔ ‘სტიკერები’ ან ჩასაწერი ბარათები/ (ინდექს ბარათები)
- ✔ სხვადასხვა ფერის მარკერები და კალმები
- ✔ ბლოკნოტები მონაწილეებისთვის
- ✔ წებოვანი ლენტი ან ჭიკარტები ჩანაწერების რუკებზე მისამაგრებლად
- ✔ ფოტოაპარატი ან ტელეფონი აქტივობის დოკუმენტირებისთვის

შემაჯამებელი მიმოხილვა

მობილობის რუკის შედგენა და ხედვის ფორმირება არის თანამონაწილეობითი ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს საზოგადოების წევრებს - ველოსიპედისტებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს - არსებული სატრანსპორტო ჩვევების რუკის შესადგენად და უფრო მდგრადი, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი ურბანული მობილობის სისტემის სამომავლო ხედვის ურთიერთთანამშრომლობით ჩამოსაყალიბებლად.

მითითებები ორიენტაციისთვის

ეს ინსტრუმენტი შეიძლება ჩატარდეს სამუშაო შეხვედრის ფორმატში, თუმცა იგი ყველაზე ეფექტურია გარე აქტივობის სახით, სადაც რეალურ დროში დაკვირვებები და საზოგადოების პირდაპირი უკუკავშირი უზრუნველყოფს ქალაქში ან სოფელში არსებული მობილობის შეზღუდვების უფრო მკაფიო და ზუსტ გააზრებას.

მდგრადი ქალაქები იქმნება მაშინ, როცა ლიდერები ქუჩებს მოქალაქეების გამოცდილებით აფასებენ, პიტალიტოს მერი, 'სიმბიოსითი' კოლუმბია

მეთოდი

1. **მომზადება:** შეკრიბეთ ტერიტორიის დიდი ზომის რუკები, მარკერები, 'სტიკერები' და სხვა საჭირო მასალები, მოიწვიეთ მონაწილეთა მრავალფეროვანი ჯგუფი და უზრუნველყავით შერეული გენდერული წარმომადგენლობა.

2. **შესავალი:** ახსენით აქტივობის მიზანი და ის, თუ რა ფორმით ჩაერთვებიან მონაწილეები პროცესში

3. **არსებული მობილობის რუკის შედგენა:** სთხოვეთ მონაწილეებს რუკაზე მონიშნონ არსებული სატრანსპორტო მარშრუტები, დაბრკოლებები და ხელმისაწვდომობის პრობლემები.

4. **საჭიროებებისა და იდეების იდენტიფიცირება:** მონაწილეები 'სტიკერების' ან მარკერების გამოყენებით ამატებენ გაუმჯობესების შეთავაზებებს, ახალ მარშრუტებს ან ინფრასტრუქტურულ ობიექტებს

5. **დისკუსია:** წარმართეთ ჯგუფური დისკუსია ტენდენციების, პრიორიტეტებისა და გამოწვევების გამოსავლენად.

6. **ხედვის ფორმირება:** ერთობლივად შეიმუშავეთ საერთო ხედვა უფრო მდგრადი, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი მობილობის სისტემისთვის.

7. **დოკუმენტირება:** გადაიღეთ რუკების, ჩანაწერებისა და დისკუსიის ძირითადი მომენტების ამსახველი ფოტოები. შედეგები შეაჯამეთ ანგარიშში დაინტერესებული მხარეებისთვის.

8. **შემდგომი ნაბიჯები:** გაუზიარეთ მონაწილეებსა და შესაბამის უწყებებს ინფორმაცია მიღებული შედეგების თაობაზე, დაგეგმარებისა და გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად.

კლიმატ-მეგობრულობა

(საფრთხეების ანალიზი)

რა?

'კლიმატ-მეგობრულობა (საფრთხეების ანალიზი)' - ადგილობრივ თემზე დაფუძნებული ინსტრუმენტია, რომელიც სამეზობლოებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების იდენტიფიცირებასა და გაანალიზებას უზრუნველყოფს. უფასო ონლაინ რუკების, ღია მონაცემებისა და ადგილობრივი დაკვირვების გამოყენებით, სამოქალაქო აქტორებს შეუძლიათ რუკაზე ასახონ სტიქიის მიმართ მოწყვლადი ქუჩები, გადახურებული ზონები, ეროზირებული ფერდობები, დაბინძურებული ტერიტორიები ან ჩახერგილი სანიაღვრე სისტემები, რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირებისა და ადგილობრივების გააქტიურების კარგ საფუძველს ქმნის.

რატომ?

არავინ იცნობს ადგილს მის მაცხოვრებლებზე უკეთ. კლიმატური საფრთხეები ხშირად პირველად სწორედ თემის დონეზე ვლინდება - დატბორილი სარდაფები, დეგრადირებული ხეები, სიცხით დაზიანებული მწვანე სივრცეები ან გაუმართავი გზები.

როდესაც სამოქალაქო აქტორები ახდენენ ამ პრობლემების დოკუმენტირებას და ვიზუალურ ასახვას:

- თქვენ ქმნით მტკიცებულებებს, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებას მოქმედებისკენ უბიძგებს;
- ამაღლებთ მეზობლების ინფორმირებულობას;
- ხელს უწყობთ კლიმატის ადაპტაციის წარმართვას (მაგალითად, ხეების დარგვა, გაგრილების და დაჩრდილვის უზღუნველყოფა, სანიაღვრე სისტემების გაუმჯობესება ან მდგრადი მობილობის ხელშესწყობის გზით).

ვინ?

ეს კონკრეტული ინსტრუმენტი შეიძლება გამოიყენონ სამოქალაქო აქტორებმა, საზოგადოებრივმა ჯგუფებმა, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სტუდენტმა და მოხალისეებმა - ყველამ, ვინც დაინტერესებულია ადგილობრივი კლიმატური საფრთხეების დოკუმენტირებითა და ვიზუალიზაციით, რათა უზრუნველყონ პოლიტიკის, დაგეგმარებისა და საზოგადოების ინფორმირებულობა.

როდის?

გამოიყენეთ ეს ინსტრუმენტი ნებისმიერ დროს, როდესაც თავს იჩენს კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობა, მაგალითად:

- ძლიერი წვიმის ან თბური ტალღების დროს (დაზიანებული ზონების რუკის შესადგენად)
- საზოგადოებრივი კამპანიების ან ურბანული დიალოგების დაგეგმვისას
- ადგილობრივი ბიუჯეტის ან მიწათსარგებლობის საკითხების განხილვამდე - მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირებისთვის

საჭირო მასალები

- ✔ სმარტფონი ან ვიდეოკამერა ფოტოებისა და ვიდეოების გადასაღებად
- ✔ ბლოკნოტი ან ციფრული მოწყობილობა ჩანაწერებისთვის
- ✔ GPS ან ტელეფონის ლოკაციის სერვისები
- ✔ ბეჭდური ან ონლაინ რუკები (Google Maps, OpenStreetMap)
- ✔ მარკერები ან ჭიკარტები (ქაღალდის რუკებისთვის)
- ✔ ღია მონაცემთა წყაროებზე წვდომა (მაგ., ნალექი, სიმაღლე (ზღვის დონიდან), დაბინძურება)

ნებისმიერს, ვისაც კლიმატური რისკების დოკუმენტირება სურს, შეუძლია გამოიყენოს მეთოდი „კლიმატის პრიზმა“

მეთოდი

ამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური გამოცდილების გარეშე, მარტივი და ღია წვდომის მქონე ინსტრუმენტების გამოყენებით:

ნაბიჯი	როგორ გავაკეთოთ ეს	ინსტრუმენტების მაგალითები
1 **დააკვირდით და ჩაიწერეთ**	ფეხით ან ველოსიპედით მოიარეთ თქვენი უბანი. გააკეთეთ ჩანაწერები, გადაიღეთ ფოტოები ან მოკლე ვიდეოები იმ ადგილების შესახებ, რომლებიც კლიმატის ზემოქმედებას განიცდის (დატბორვა, ეროზია, არასაკმარისი დაჩრდილვა, სიცხე).	მობილური ტელეფონის ფოტოაპარატი, GPS, რვეული.
2 **მონიშნეთ რუკაზე**	გამოიყენეთ ონლაინ რუკები ლოკაციების მონიშვნისათვის ან მათზე დაზიანებული ზონების მოსახაზად.	Google My Maps, OpenStreetMap, Maptionnaire
3 **დაუმატეთ ადგილობრივი ცოდნა**	განიხილეთ ადგილობრივ მოსახლეობასთან: როდის ხდება დატბორვა, რომელი ქუჩებია ყველაზე ცხელი და რა ცვლილებები შეინიშნება?	Community meetings, WhatsApp, Facebook groups
4 **გააერთიანეთ საჯარო მონაცმები**	დაამატეთ მონაცემები ღია პორტალებიდან - (რელიეფის) სიმაღლეთა რუკები, ნალექის მონაცემები, ჰაერის დაბინძურება ან მიწათსარგებლობა.	Geostat Maps, Copernicus Climate Data, Earth Engine Timelapse
5 **გაავრცელეთ ინფორმაცია და მოახდინეთ ადვოკატირება**	წარადგინეთ თქვენი რუკა საკრებულოს სხდომებზე, გააზიარეთ იგი სოციალურ მედიაში ან მიაწოდეთ ადგილობრივ მედიას.	StoryMap, Canva, ArcGIS ონლაინ (უფასო ანგარიშები)

- ✔ სურვილისამებრ: კომპიუტერი ან პლანშეტი მონაცემების გაერთიანებისა და ციფრული რუკების შესაქმნელად
- ✔ ინტერნეტკავშირი შედეგების გასაზიარებლად და ადვოკატირების პლატფორმების გამოსაყენებლად

მითითებები ორიენტაციისთვის

ჩართეთ მოსახლეობის განსხვავებული ჯგუფები, დოკუმენტირება მოახდინეთ უსაფრთხოდ და ზუსტად, გადაამოწმეთ მონაცემები საჯარო მონაცემებთან შედარების მეშვეობით და გააზიარეთ მიღებული შედეგები ადგილობრივი აქტივობების წარსამართად.

შემაჯამებელი მიმოხილვა

‘კლიმატ-მეგობრულობა (საფრთხეების ანალიზი) საზოგადოებაზე დაფუძნებული ინსტრუმენტია, რომელიც ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და სამოქალაქო აქტორებს საშუალებას აძლევს მარტივი ინსტრუმენტებისა და ღია მონაცემების გამოყენებით დააკვირდნენ, რუკაზე ასახონ და ვიზუალურად წარმოაჩინონ ადგილობრივი კლიმატური ზემოქმედებები - როგორებიცაა დატბორვა, დათბუნება ან ეროზია - ადაპტაციის წარსამართად, ცნობიერების ასამაღლებლად და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების მხარდასაჭერად.

გვსურს/არ გვსურს ანალიზი

რა?

თუ გსურთ არსებული ვითარების სწრაფი და ეფექტური შეფასება, შეგიძლიათ გამოიყენოთ **გვსურს/არგვსურს ანალიზი** - ინსტრუმენტი, რომელიც გეხმარებათ გააანალიზოთ ის, რაც გსურთ - არ გსურთ, გაქვთ და არ გაქვთ.

რატომ?

პასუხების კვადრანტებში (გვსურს, არ გვსურს და გვაქვს, არ გვაქვს) ჩასმით, ცხრილი უბრალო ანალიზის ფარგლებს სცდება და გარკვეულ სიცხადესა და გააზრებას უზრუნველყოფს იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.

ვინ?

ყველა დაინტერესებული მხარე უნდა იყოს ჩართული. დარწმუნდით, რომ ქალებისა და გოგონების, ბავშვებისა და ხანდაზმულების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შეხედულებები გათვალისწინებულია, თქვენი შეფასების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად.

როდის?

ეს ინსტრუმენტი წარმოადგენს სწრაფ და მეგობრულ საშუალებას სამოქალაქო აქტორებისთვის, საერთო გამოწვევების სიღრმისეულად გასააზრებლად. იგი განსაკუთრებით გამოსადეგია საზოგადოებრივი სამუშაო შეხვედრების ან საჯარო ჩართულობის ღონისძიებების დროს (მაგალითად, ადგილობრივ მოედანზე საინფორმაციო სტენდის მოწყობისას), როდესაც მაცხოვრებლებს შეუძლიათ სწრაფად ჩამოწერონ, რისი შენარჩუნება სურთ **(აქტივები)**, რისი აღმოფხვრა სურთ **(დაბრკოლებები)**, რისი მიღწევა სურთ **(მისწრაფებები)** ან რისი თავიდან აცილება სურთ **(საფრთხეები)** თავიანთ სამეზობლოში ან ქალაქში. ამ ინსტრუმენტის გამოყენება შეიძლება როგორც მე-2 ეტაპზე, ისე მე-3 და მე-4 ეტაპებზე - ხედვისა და მიზნების განსაზღვრისა და პოტენციური გადაწყვეტილებების იდენტიფიცირების პროცესში.

საჭირო მასალები

- ✔ ‘ფლიპჩარტი’ ან დიდი ფორმატის ფურცელი, ოთხ კვადრანტად (ოთხ ნაწილად) დაყოფილი ცხრილით
- ✔ მარკერები და/ან ‘სტიკერები’, თითოეული გრაფის სათანადოდ შესავსებად

მეთოდი

1. საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ჯგუფში განისაზღვროს და შეთანხმდეს გასაანალიზებელი საკითხი ან თემა.
2. ცხრილი შედგება ოთხი კვადრანტისგან.
3. მუშაობა დაიწყეთ ინდივიდუალური რეფლექსიით თქვენი ქალაქის/სამეზობლოს შესახებ არსებული გამოცდილებისა თუ იდეების საფუძველზე, შემდეგ კი ჯგუფური სავარჯიშოს ფორმატში შეავსეთ ცხრილი.
4. ჩამოაყალიბეთ საერთო ხედვა, განიხილეთ არასასურველი ელემენტების თავიდან მოშორების გზები და განიხილეთ შესაძლებლობები, თუ როგორ შეიძლება არასასურველი ელემენტების სასურველად გარდაქმნა.

სახელმძღვანელო მითითებები

კვადრანტებში განთავსებული საკითხების განხილვისას შემდეგი ნაბიჯები დაგეხმარებათ:

თქვენი ახლანდელი მდგომარეობა

გვაქვს

არ გვსურს

პრობლემები, საკითხები, შეზღუდვები

შეიმუშავეთ გადაწყვეტები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ შეზღუდვები

განერიდეთ: განსაზღვრეთ ყველა გზა, რაც თავიდან აგაცილებთ არასასურველ შედეგებ და ისეთი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგით, რაც ამ პრობლემებთან გამკლავებაში დაგეხმარებათ.

შეამცირეთ: თუ პრობლემის სრულიად გადაჭრა ახლა ვერ ხერხდება, შეცაადეთ ამ პრობლემით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენა შეამცირეთ

გარდაქმენით: შეეცადეთ არასასურველი შედეგები, თარგმნოთ სასურველში

გვსურს

უპირატესობები, დადებითი მხარეები

შეიმუშავეთ გადაწყვეტის გზები, რათა შეინარჩუნოთ, გამოიყენოთ და გააუმჯობესოთ თქვენი უპირატესობები

დააფასეთ: საკმარისად აფასებთ თუ არა საზოგადოება საკუთარ მიღწევებს? თუ არა, როგორ შეიძლება ამის გამოსწორება?

შენარჩუნეთ: ემუქრება თუ არა თქვენს ღირებულებათა სისტემას დაკარგვის საფრთხე? რა შეგიძლიათ გააკეთოთ, როგორც საზოგადოებამ მათ შესანარჩუნებლად?

უპირატესობა: როგორ შეგიძლიათ, როგორც საზოგადოებას გამოიყენოთ თქვენი უპირატესობები მაქსიმალურად, ისე, რომ გააძლიეროთ თემი და მოაბილიზოთ გარე მხარდაჭერა?

გააზიარეთ: შეიძლება თუ არა გაიუმჯობესოთ უპირატესობები და ასევე, უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოთ ისინი სხვებისთვისაც? როგორ შეგიძლიათ უპირატესობების პროაქტიულად გამოყენება თემის დადებითი იმიჯის შესაქმნელად?

არ გვაქვს

პოტენციური პრობლემები, საფრთხეები და შეზღუდვები

შეიმუშავეთ გადაწყვეტის გზები, რათა თავიდან აირიდოთ და მინიმუმამდე შეამცირეთ პოტენციური პრობლემები

თავი დაიზღვიეთ: მიიღეთ სიფრთხილის ზომები, რომლებიც ხელს შეუშლის საფრთხეების გავრცელებას

შეაფასეთ: თავის დაზღვევა შესაძლოა სხვა ღირებული რესურსის დათმობას მოითხოვდეს. ამ შემთხვევაში, რამდენად ღირს ამ მსხვერპლის გაღება? არსებობს თუ არა საფრთხის თავიდან არიდების სხვა გზები?

დაუთმეთ დრო: შეაფასეთ დროის, ფინანსებისა და ძალისხმევის მოცულობა, რაც საჭიროა თემის საფრთხისგან დასაცავად. არის თუ არა ეს რესურსები ხელმისაწვდომი?

სამომავლო ხედვა

შეიმუშავეთ გადაწყვეტის გზები, რათა მიაღწიოთ დასახულ მიზანს:

დაგეგმეთ: რა ნაბიჯები უნდა გადადგათ ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად?

განიხილეთ ვერსიები: რა ალტერნატივები არსებობს თქვენი მიზნების მისაღწევად?

წადით დათმობაზე: საჭიროა თუ არა კომპრომისზე წასვლა ამ მიზნის მისაღწევად, მაგალითად, რაიმეზე უარის თქმა უფრო მეტი სარგებლის მისაღებად, მაგალითად, კერძო მანქანებით გადაადგილება, სუფთა, მწვანე და ადამიანებზე ორიენტირებული ქალაქისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის შესაქმნელად.

შეაფასეთ: ჩაატარეთ ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, კერძოდ, რა დრო და რამდენი ძალისხმევა იქნება საჭირო შედეგის მისაღწევად? რა პოტენციურ სარგებელს მიიღებს თემი? შეესაბამება თუ არა ხარჯი მიღებულ სარგებელს? მთელი თემი მიიღებს ამით სარგებელს, თუ თუ მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი?

თქვენთვის სასურველი მომავალი

შემაჯამებელი მიმოხილვა

გვსურს/არ გვსურს ანალიზი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს თქვენი ქალაქის/უბნის მიმართ არსებული აღქმებისა და მოლოდინების გაზიარებასა და შეთანხმებას. იგი გამოავლენს უკვე არსებულ აქტივებს, რომლებიც შესანარჩუნებელია და დასაფასებელი, სამომავლო აქტივებს, რომლებიც უნდა განვითარდეს, ასევე არასასურველ ასპექტებს, რომლებიც საჭიროა დღესვე მოგვარდეს ან მომავალში თავიდან იქნას აცილებული. ეს ინსტრუმენტი საშუალებას გაძლევთ ერთდროულად დააფიქსიროთ როგორც არსებული მდგომარეობა, ისე სასურველი მომავალი - ოცნება ან ხედვა - და ასევე ჩამოაყალიბოთ საწყისი გააზრება იმგვარი გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც საჭიროა არსებული მდგომარეობიდან სასურველი შედეგების მისაღწევად.

ეს არის ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც შეიძლება SWOT/C ანალიზთან ერთად, ან მის ალტერნატივად. მისი გამოყენება შეიძლება ფასილიტატორის მიერ წარმართული სესიის ფარგლებში, ან შეიძლება იგი განვათავსოთ საჯაროდ ხელმისაწვდომ სივრცეში მოქალაქეთა მოსაზრებების შესაგროვებლად.

ბათუმის ველოგადაადგილების
გენერალურ გეგმის შემუშავების
პროცესი, Love to Ride Batumi

თქვენი ხედვა

რა?

თქვენი ხედვა წარმოადგენს თქვენი თემის სასურველი მომავლის მოკლე და შთამაგონებელ აღწერას - იმისა, თუ როგორი უნდა ხალხს გახდეს მათი ქალაქი ან სამეზობლო.

რატომ?

იგი საერთო მიმართულებისა და მოტივაციის განცდას ქმნის და ეხმარება ყველას - სამოქალაქო აქტორებს, ადგილობრივ მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას, საერთო მიზნებსა და ფასეულობებზე შეთანხმებაში.

ვინ?

უმთავრესად განკუთვნილია თქვენი ქალაქის დაგეგმარებისა და მართვაზე პასუხისმგებელი მცხოვრებლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. უზრუნველყავით, როგორც ქალებისა და მამაკაცების ჩართულობა, ასევე განსხვავებული ასაკისა და შესაძლებლობების წარმომადგენლობა.

როდის?

გამოიყენეთ იგი პროექტის ან დაგეგმარების პროცესის საწყის ეტაპზე. საწყისი განხილვებისა ან იდეების გენერირების/'ბრენშტორმინგის' შემდეგ - დეტალური დაგეგმარების პროცესამდე გრძელვადიანი მიზნის განსასაზღვრად.

საჭირო მასალები

- ✔ რუკა
- ✔ გადამყვანი ქაღალდი
- ✔ კალმები/'სტიკერები'

მეთოდი

1. **მოამზადეთ კითხვები მონაწილეების-თვის ხედვის ფორმირების სავარჯიშოს ჩასატარებლად.** მაგალითად, როგორი იქნებოდა თქვენი თემი, იმის ძალაუფლება რომ გქონოდათ, რომ იგი თქვენი სურვილის მიხედვით შეგეცვალათ? სად იცხოვრებდნენ ადამიანები? როგორ ივლიდნენ სკოლებსა და სამსახურებში? სად წავიდოდნენ დასვენების დღეებში და როგორ დაისვენებდნენ?
2. **თუ მონაწილეთა რაოდენობა დიდია, შეგიძლიათ ისინი მცირე ჯგუფებად დაყოთ** და ერთად იმსჯელონ, როგორი იქნება მათი იდეალური ქალაქი/სამეზობლო მომავალში. წაახალისეთ მონაწილეები, რომ უფრო კონკრეტულები იყვნენ თავიანთი ხედვის აღწერებში. შეგიძლიათ შეარჩიოთ განსახილველი კატეგორიები. მაგალითად, განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი. მცირე ჯგუფებად დაყოფის შემთხვევაში, თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს ლიდერი, რომელიც საკითხების განხილვას და დროის სწორად გადანაწილებას უზრუნველყოფს.
3. ჯგუფებში მუშაობის შემდეგ კვლავ შეიკრიბეთ ერთად. სთხოვეთ თითოეული ჯგუფის თითო წარმომადგენელს წარმოადგინოს პოზიტიური, ერთწინადადებიანი განაცხადი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მათი თემი მომავალში. განაცხადები ჩამოაყალიბეთ აწმყო დროში (მაგ., ბევრი ველობილიკია, ღამით უსაფრთხოდ შეიძლება სეირნობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი სწრაფი და ხელმისაწვდომია).
4. **ჩამოწერეთ აღნიშნული განაცხადები ერთ ფურცელზე** ისე, რომ ყველა ერთად ჩანდეს და შესაძლებელი იყოს მათი შენახვა მოგვიანებით გადასახედად. ჰკითხეთ მონაწილეებს, კიდევ ხომ არ აქვთ ისეთი საინტერესო იდეები, რომლებიც ჯერ არ გაუზიარებიათ.
5. საერთო თემებად დააჯგუფეთ ხედვის გარკვეული ელემენტები, ყურადღება იმ მიმართულებებზე გაამახვილეთ, რომლებთან დაკავშირებითაც კონსენსუსი არსებობს. შექმენით ახალი გამოდილებას, რომელზეც მთელი ჯგუფის ან ცალკეული ქვეჯგუფის ძლიერი მხარდაჭერა იქნება ასახული. ერთიანი ხედვა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ილუსტრირებული ან გრაფიკული ფორმით. შეგიძლიათ გააფორმოთ ფოტოე-ბითა და ილუსტრაციებით, ან უბრალოდ წარმოადგინოთ ჩამოწერილი იდეების სახით.

ქალების მიერ გენდერულად არამგრძნობიარე ინფრასტრუქტურის შეფასება თელავში, რეგიონის განვითარების ცენტრი

შემაჯამებელი მიმოხილვა

ხედვის განაცხადში აღწერილია ქალაქის/უბნის სასურველი მომავალი. თქვენი ინიციატივიდან გამომდინარე, ეს შეიძლება ეხებოდეს 10-20 წლის შემდეგ მომავალს, 5 წლის შემდგომს, ან უფრო მოკლე პერიოდს. ხედვის ჩამოყალიბების პროცესი ქმნის საერთო მიზანს, იმედს და კოლექტიურ მოქმედებას. იგი ძირეული ცვლილების შესაძლებლობას იძლევა, ხალხს უჩენს კონტროლის განცდას და ჯგუფს უსახავს მიმართულებას, რომლისკენაც შეუძლია წინსვლა.

იგი ასევე ხელს უწყობს კრეატიული აზროვნებისა და ენთუზიაზმის გენერირებას ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელია იმის გააზრება, თუ როგორ აღიქვამთ თქვენს სამეზობლოებს და როგორი გსურთ მათი ხილვა მომავალში. ხედვა შესაძლებელია გამოისახოს რუკის ან დიაგრამის სახით, სიტყვიერად იყოს გადმოცემული ტექსტში ან ანგარიშში, წარმოდგენილი იყოს ფურცელზე, ან ვიდეო ფორმატში. იგი გაძლევთ სხვებზე ზემოქმედების საშუალებას.

სახელმძღვანელო მითითებები

ხედვის მომზადებისას ნუ ეცდებით მის ჯგუფის მიერ პრეზენტაციას. უმჯობესია ეს საქმე ერთ ან ორ ადამიანს მიანდოთ, ვისაც კარგის გადმოცემის და წერის უნარი აქვს. მათ დისკუსიის შემდეგ უნდა მოამზადონ ხედვის სამუშაო ვერსია და მონაწილეებს გაუზიარონ იგი უკუკავშირის მისაღებად. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გაუმჯობესეთ სამუშაო ვერსია, განიხილეთ და შეთანხმდით საბოლოო ვარიანტზე, თუმცა ინიციატივის განხორციელების პროცესში მისი შემდგომი დახვეწაც შესაძლებელია.

ფაქტების გადამოწმება

რა?

ფაქტების გადამოწმების ინსტრუმენტები წარმოადგენს ციფრულ და ღია მონაცემებზე დაფუძნებულ საშუალებებს, რომლებიც დაგეხმარებათ სამთავრობო მონაცემების, მიწათსარგებლობის და ქონებრივი მართვის ონლაინ გადამოწმებაში. ეს ინსტრუმენტი შესაძლებელს ხდის საჯარო და საბიუჯეტო გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია გადაამოწმოთ, ეჭვ ქვეშ დაყენოთ ან დაადასტუროთ.

რატომ?

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება გადამოწმებულ ფაქტებზეა დამოკიდებული. სანდო მტკიცებულებებია საჭირო ადვოკატირების უზრუნველსაყოფად, დარღვევების გამოსავლენად და საზოგადოების ინფორმირებისათვის. ფაქტების გადამოწმების ინსტრუმენტები გეხმარებათ ანგარიშებში, კამპანიებსა თუ დისკუსიებში გამოყენებული მონაცემების სიზუსტის, აქტუალურობის და სანდოობის უზრუნველყოფაში.

ვინ?

სამთავრობო პორტალების უმრავლესობა საჯაროდ ხელმისაწვდომია და ამ ინსტრუმენტის გამოყენება ნებისმიერს შეუძლია - განსაკუთრებით ჟურნალისტებსა და სხვა სამოქალაქო აქტორებს, რომლებიც საჯარო ხარჯებს ამოწმებენ.

როდის?

აღნიშნული ინსტრუმენტები ყველაზე გამოსადეგია სამოქალაქო საქმიანობის სამ ეტაპზე:

- **კვლევა და მონიტორინგი** - ქონების ან საკუთრების სტატუსის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ან შესწავლის დროს
- **საზოგადოებასთან კომუნიკაცია** - მონაცემების ან ვიზუალური მასალის ონლაინ გავრცელებამდე
- **ადვოკატირება და ანგარიშგება** - მტკიცებულებების მედიასთან ან ადგილობრივ ხელისუფლებასთან წარდგენისას

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფაქტების გადამოწმების ინსტრუმენტები წარმოადგენს ციფრულ საშუალებებს, რომლებიც სამოქალაქო აქტორებს საშუალებას აძლევს გადაამოწმონ სამთავრობო მონაცემები, რუკები და ქონების ამონაწერები, რაც კომუნიკაციის, ადვოკატირებისა და კვლევის პროცესებში გამჭვირვალობას, სიზუსტესა და ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს,

ახლადრეაბილიტირებული თემქის პარკის დაზიანებული ინფრასტრუქტურა, ჩემი ქალაქის მკლავს, Facebook

სახელმძღვანელო მითითებები

შეგიძლიათ ერთმანეთს შეუთავსოთ ღია მონაცემების პორტალები, რუკების შედგენის ინსტრუმენტები და გადამოწმების მეთოდები:

მიზანი	პრაქტიკული ინსტრუმენტები	საქართველოში გამოყენების მაგალითი
მიწის, უძრავი ქონებისა და საკუთრების მონაცემების გადამოწმება	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR), უძრავი ქონების პორტალი: https://www.napr.gov.ge/ https://www.my.gov.ge/	გადაამოწმეთ საკუთრების სტატუსი, მიწის საზღვრები და სამშენებლო ნებართვები
რუკებისა და ურბანული განვითარების შესწავლა	GeoPortal (Geostat Maps), OpenStreetMap, **მოიძიეთ ინტერნეტში:** https://maps.gov.ge/ https://gis.geostat.ge/	შეადარეთ რეალურად განხორციელებული პროექტები ოფიციალურ ზონირებასა და სამშენებლო შეზღუდვებს
მედია მასალისა და ვიზუალური მასალის ავთენტურობის დადასტურება	Google Reverse Image Search, TinEye, InVID **მოიძიეთ ინტერნეტში:** https://tineye.com/ https://www.invid-project.eu/ https://mythdetector.com/ka/	გადაამოწმეთ ადგილობრივი მოვლენების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების ავთენტურობა და შესაძლო მანიპულაცია
გარემოს მდგომარეობისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგი	AirVisual, Strava Metro, Earth Engine Timelapse **მოიძიეთ ინტერნეტში:** https://air.gov.ge/ https://www.iqair.com/ https://earthengine.google.com/	ჰაერის დაბინძურების, გზების გამოყენებისა და მიწათსარგებლობის ცვლილებების მონიტორინგი
განცხადებების დაარქივება და გადამოწმება	Wayback Machine, Google Fact Check Explorer **მოიძიეთ ინტერნეტში:** https://web.archive.org/ https://toolbox.google.com/	წაშლილ ან რედაქტირებულ სამთავრობო პოსტებსა და განცხადებებზე წვდომა

გადაწყვეტების მატრიცა

რა?

გადაწყვეტების მატრიცა საშუალებას გაძლევთ უფრო მკაფიოდ დაინახოთ შესაძლო ინტერვენციების სპექტრი თქვენი ქალაქის/სამეზობლოს ხედვის განსახორციელებლად.

რატომ?

ეს ინსტრუმენტი გეხმარებათ სხვადასხვა სცენარის იდენტიფიცირებასა და შედარებაში და ხელს უწყობს შესაძლო გადაწყვეტების ფართო სპექტრის გამოვლენას.

ვინ?

უმთავრესად განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი თქვენს ინიციატივაში ან კარგად იცნობენ მის არსს. უზრუნველყავით როგორც ქალების, ასევე მამაკაცების ჩართულობა.

როდის?

გადაწყვეტების მატრიცის გამოყენებისთვის საუკეთესო დროა პრობლემების ანალიზისა და ხედვის ჩამოყალიბების შემდგომი ეტაპი (გვსურს/ არ გვსურს, იდეების შეჯერების სავარჯიშო, თქვენი ხედვა), იმისათვის რომ მოხდეს პოტენციური გადაწყვეტების ფართო სპექტრის გენერირება.

საჭირო მასალები

- ✔ ‘ფლიპჩარტის’/ფორმატის ფურცლები
- ✔ ფერადი კალმები
- ✔ ‘სტიკერები’

მეთოდი

1. **სავარჯიშოსთვის შეარჩიეთ ორი სრულიად განსხვავებული პოზიცია,** მაგ.:
   - დაბალტექნოლოგიური გადაწყვეტა და მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტა
   - მცირე მასშტაბის გადაწყვეტა და დიდი მასშტაბის გადაწყვეტა
   - მოკლევადიანი გადაწყვეტა და გრძელვადიანი გადაწყვეტა
   - ადგილობრივი თემის მიერ განხორციელებული გადაწყვეტები და ხელისუფლების მიერ მართული გადაწყვეტები
2. **დაყავით ფურცელი სექციებად ან ბლოკებად გადაწყვეტილებების სპექტრის ჩასაწერად**, მაგ.:
   - დაბალი, საშუალო, მაღალტექნოლოგიური
   - მცირე, საშუალო, დიდი მასშტაბის
   - მოკლე, საშუალო, გრძელვადიანი
   - თემის, პარტნიორობით, ხელისუფლების მიერ მართული
3. თითოეულ სექციაში შეიმუშავეთ **პოტენციური გადაწყვეტების კონცეფციები**.
4. სხვადასხვა კუთხით განიხილეთ **იდენტიფიცირებული გადაწყვეტების სპექტრი**.

შემაჯამებელი მიმოხილვა

გადაწყვეტების მატრიცა გეხმარებათ იმ ინტერვენციათა მასშტაბისა და დონის, განსაზღვრაში, რომლებიც აუცილებელია თქვენი ქალაქის/უბნის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. იგი ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა გადაწყვეტების ვიზუალურად წარმოდგენასა და იდენტიფიცირებას, რომლებიც განსხვავდებიან როგორც ტექნოლოგიური თვალსაზრისით (დაბალი ან მაღალი ტექნოლოგია), განხორციელების მხრივ (საზოგადოებრივი ან სამთავრობო), დანახარჯების მიხედვით (დაბალი ან მაღალი) და განხორციელების ვადების კუთხით (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი გადაწყვეტები). რაც შეიძლება გამოგადგეთ ალტერნატიული განვითარების გადაწყვეტების განსაზღვრისა და ფორმულირების საფუძვლად.

სახელმძღვანელო მითითებები

- არ დაგავიწყდეთ სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტების იდენტიფიცირება და შედარება, როგორებიცაა მენეჯმენტი, კანონმდებლობა, დაფინანსება, პოლიტიკა, დაგეგმვა და განათლება.
- განიხილეთ გადაწყვეტებიი სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პოზიციიდან.
- დაფიქრდით მუნიციპალიტეტის, კერძო სექტორისა და აკადემიური წრეების როლზე გადაწყვეტების განხორციელებაში
- გაინიხილეთ, როგორ შეუძლიათ მიწის მესაკუთრეებსა და დეველოპერებს მონაწილეობის მიღება გადაწყვეტების განხორციელებაში.

სამუშაო შეხვედრა გადაწყვეტების მატრიცაზე, 'სიმბიოსითი' მიანმარი

საჯარო სივრცის შექმნა

რა?

საჯარო სივრცის შექმნა პრაქტიკულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც იმგვარად აძლიერებს და ააქტიურებს ადამიანების კრეატიულობას, როგორც ამას ტრადიციული დაგეგმარების პროცესები ხშირად ვერ ახერხებს. იგი თემში არსებულ უპირატესობებსა და უნარებს ეფუძნება, და არაა დამოკიდებული მხოლოდ პროფესიონალ ექსპერტებზე. როდესაც ქმნით სივრცეს, რომლის შექნის პროცესშიც თავად თემია ჩართული, ეს ადგილი თქვენთვის ახალ მნიშვნელობას იძენს.

რატომ?

გადაწყვეტები ყველაზე ეფექტური და მდგრადია მაშინ, როდესაც ადამიანები უშუალოდ არიან ჩართულნი მათ შემუშავებაში.

ვინ?

სივრცის მოწყობის შექმნის ინიცირება შეუძლიათ სამოქალაქო ლიდერებს, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სათემო ჯგუფებს ან განაშენიანების პროფესიონალებს (მაგალითად, ურბანისტებს, არქიტექტორებს, ლანდშაფტის დიზაინერებს), რომლებსაც მოსახლეობის აქტიური ჩართვა სურთ საჯარო სივრცეების ფორმირებასა და პრაქტიკაში გამოსაცდელად.

როდის?

მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ თქვენი გადაწყვეტის ძირითად მიმართულებას.

საჭირო მასალები

- ✔ ფურცლები ან 'ფლიჩარტი'
- ✔ მარკერები და კალმები
- ✔ 'სტიკერები'
- ✔ მოდელების ასაწყობად საჭირო ძირითადი მასალები (მუყაო, წეპოვანი ლენტი, მაკრატელი)
- ✔ ფოტოაპარატი ან მობილური ტელეფონი დოკუმენტირებისთვის

შემაჯამებელი მიმოხილვა

საჯარო სივრცის შექმნის, როგორც ინსტრუმენტის მთავარი პრინციპია, რომ ყველაზე მდგრადი და ეფექტური გადაწყვეტები იქმნება მაშინ, როდესაც ადამიანები უშუალოდ მონაწილეობენ მათ დაგეგმვასა და გამოცდაში. სწორედ ამიტომ, პროცესი მოიცავს იდეების ერთობლივ გენერირებას, ესკიზების ან მარტივი მოდელების შექმნას, ასევე დროებითი ჩარევების ადგილზე გამოცდას და უკუკავშირის შეგროვებას.

სახელმძღვანელო მითითებები

ყველას ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი იდეები განავითაროს ესკიზების შექმნით, გეგმებზე მონიშვნით ან მოდელების აგებითა და კორექტირებით. მოდელების აგება და მარტივი ესკიზები გადაწყვეტილებების ვიზუალიზაციის ეფექტური საშუალებაა და გადაწყვეტილებების გეგმების განსახილველად „საერთო ენის" გამონახვას უზრუნველყოფს.



მეთოდი

1. ძირითადი მასალებით მოამზადეთ ადგილი ან სემინარის ჩასატარებელი სივრცე.
2. წარადგინეთ განსახილველი არეალი და მონაწილეებს აუხსენით ამ აქტივობის მიზანი.
3. წაახალისეთ მონაწილეები, რომ ამ სივრცესთან დაკავშირებული იდეები ესკიზებით, მოდელებით ან მონიშვნებით გამოხატონ.
4. ადგილზე გამოსცადეთ დროებითი ინტერვენციები (მაგ., სკამები, სათამაშო ზონები).
5. შეაგროვეთ მონაწილეთა უკუკავშირი და დახვეწეთ გეგმა/(დიზაინი).
6. შედეგების დოკუმენტირება მოახდინეთ ფოტოებით, ჩანაწერებით ან ესკიზებით.

სამუშაო შეხვედრა საჯარო სივრცის შექმნაზე, 'სიმბიოსითი' კენია

სამუშაო შეხვედრა საჯარო სივრცის შექმნაზე, 'სიმბიოსითი' კენია

რა გვეხმარება/რა არ გვეხმარება?

რა?

აღნიშნული ინსტრუმენტი წარმოადგენს ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრის ჩარჩოს.

რატომ?

ხელშემწყობი პირობების გამოვლენითა და მათი წახალისებით, ასევე შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირებითა და შემცირებით, შეგიძლიათ უკეთ მოემზადოთ თქვენი გადაწყვეტის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპებისთვის.

ვინ?

იგი უმთავრესად განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი შესაფასებელ საკითხში ან კარგად იცნობენ მას და მასში ყოველთვის უნდა მონაწილეობდნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები.

როდის?

იგი ყველაზე მეტად გამოსადეგია დაგეგ-მარებისა და შემუშავების საწყის ეტაპზე.

საჭირო მასალები

- ✔ „ფლიპჩარტი“, ან დიდი ფორმატის ფურცლები, რომელზეც ოთხ ნაწილად დაყოფილი ცხრილი იქნება გამოსახული.
- ✔ მარკერები, კალმები, ‘სტიკერები’ თითოეული კვადრატის სათანადოდ შესავსებად.

შემაჯამებელი მიმოხილვა

‘რა გვეხმარება/რა არ გვეხმარება’ ანალიზი წარმოადგენს ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების მიმოხილვას და ხელს უწყობს ცვლილებებისადმი არსებული წინააღმდეგობის გადალახვის საშუალებას, ასევე ადამიანების მოტივაციისა და მოქმედებისადმი მობილიზებას. ხელშემწყობი ფაქტორები პროცესებს პოზიტიური მიმართულებით უბიძგებს, ხოლო შემაფერხებელი ფაქტორები ეწინააღმდეგება პოზიტიურ ცვლილებებს, ცდილობს არსებული ვითარების შენარჩუნებას ან ამძიმებს არსებულ მდგომარეობას.

მეთოდი

1. განსაზღვრეთ და **შეთანხმდით შესაფასებელ ვითარებაზე.**
2. ჯგუფში **იდეების გენერირების გზით გამოავლინეთ ყველა ხელშემწყობი ფაქტორი**, მათ შორის სუბიექტური ან ემოციური ფაქტორები.
3. **თითოეული ფაქტორის შეაფასეთ** 1-დან 5-მდე შკალით (1 = ძალიან სუსტი, 2 = სუსტი, 3 = საშუალო, 4 = ძლიერი, 5 = ძალიან ძლიერი).
4. **განიხილეთ შედეგები და გამოავ-ლინეთ ის მთავარი ფაქტორები**, რომელთა გაძლიერება ან შემცირება გსურთ; პარალელურად განსაზღვრეთ დაინტერესებული მხარეები ამო-ცანების გადასანაწილებლად.
5. **გადახედეთ შედეგებს და შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმები და ვადები.**
6. **მოამზადეთ შეხვედრის ოქმი** შემაჯამებელი ანგარიშისთვის.

სახელმძღვანელო მითითებები

განსაზღვრეთ და მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ განსახილველი ვითარება, მაგალითად - თქვენი ქალაქის/სამეზობლოს მდგრადობის მიმართულებით განვითარება.

განიხილეთ მიღებული შედეგები და გამოავლინეთ ის მთავარი ფაქტორები, რომელთა გაძლიერება გსურთ ან შემცირება. შეგიძლიათ ძალები დაალაგოთ რანჟირების პრინციპით ან უბრალოდ იმსჯელოთ თითოეული ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორის შედარებით მნიშვნელობაზე, აგრეთვე იმ გავლენის დონეზე, რომელიც გაქვთ ან შეიძლება გქონდეთ თითოეულ მათგანზე. განიხილეთ, რომელ ფაქტორებზე შეიძლება ზემოქმედება და როგორ.

განიხილეთ შედეგები და ჩაიწერეთ დასკვნები და სამოქმედო გეგმა, მათ შორის, ვინ რას გააკეთებს და რა ვადებში.

შემაჯამებელ ჩანაწერში გადაიტანეთ 'ფლიპჩარტზე' დატანილი ინფორმაცია. შეგიძლიათ გადაიღოთ თქვენი 'რა გვეხმარება/რა არ გვეხმარება' ანალიზის ფოტოები სხვებისთვის გასაზიარებლად. ჩანაწერი რაც შეიძლება მალე გაუგზავნეთ ჯგუფის ყველა წევრსა და სხვა მთავარ დაინტერესებულ პირს, რომლებიც ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, ან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროცესის წინსვლაში.

განხორციელების ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები

ხელშემშლელი ფაქტორები:	ხელშემწყობი ფაქტორები:
1. მიწის კომპენსაცია	1. ინვესტიციები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მხრიდან
2. კონფლიქტები მიწათსარგებლობის შესახებ	2. ბიუჯეტის სამართლიანი განაწილება
3. დაინტერესებული მხარეების სუსტი მონაწილეობა	3. ინტერესი სასტუმროების მფლობელებისგან
4. საბიუჯეტო შეზღუდვები	4. მიწის საკუთრება
5. გადასახადები	5. საზოგადოების მონაწილეობა
6. საზოგადოებრივი წინააღმდეგობა	6. ფუნქციური ტექნოლოგიები
7. მაღალი ქირის ღირებულება	7. მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლებისგან
8. სივრცის ნაკლებობა	8. კანონები და რეგულაციები
9. მიწის გამოყოფა სავაჭრო ზონისთვის	9. ნედლეული
10. ტურისტების მცირე რაოდენობა და შესაძლებლობები მცირე ბიზნესისთვის	10. მხარდაჭერა მომხმარებლებისგან
11. მცირე ბაზარი	

ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების ჩამოწერის ტიპური მაგალითი (კალაი, მიანმარი).

„ქალის თვალით“
(გენდერული ზეგავლენის ანალიზი)

რა?

‘ქალის თვალით’ არის თანამონაწილეობითი ინსტრუმენტი, რომელიც აფასებს, თუ რამდენად განსხვავებულად ზემოქმედებს ურბანული სივრცეები, სატრანსპორტო სისტემები და საჯარო სერვისები ქალებსა და მამაკაცებზე. იგი ყურადღებას ამახვილებს გენდერულად სპეციფიკურ საჭიროებებზე, ბარიერებსა და უსაფრთხოების აღქმებზე ინკლუზიური და სამართლიანი დაგეგმარების უზრუნველსაყოფად.

რატომ?

ქალაქსა და სოფლად მცხოვრები ქალების გამოცდილება ინფრატრუქტურის სარგებლობასთან დაკავშირებით სხვადასხვანაირია - უსაფრთხოების პრობლემებიდან და ხელმისაწვდომობის ბარიერებიდან დაწყებული, (ბავშვის) მოვლასთან დაკავშირებული ყოველდღიური გადაადგილების სირთულეებით დასრულებული. ეს ინსტრუმენტი გეხმარებათ ისეთი გადაწყვეტების შემუშავებაში, რომლებიც რეალურ, ყოველდღიურ გამოცდილებებს პასუხობს და ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას ურბანულ განვითარებაში.

ვინ?

სამოქალაქო აქტორები, რომლებიც ისწრაფვიან ურბანულ სივრცეებსა და საჯარო სერვისებში გენდერული ინკლუზიურობისა და უსაფრთხოების შეფასებისა და გაუმჯობესებისკენ - განსაკუთრებით ქალთა ჯგუფები, რომლებიც გენდერული თანასწორობის ინტეგრირებას უწყობენ ხელს.

როდის?

ეს ხელსაწყო ყველაზე ეფექტურია გადაწყვეტის დაგეგმვის და შემუშავების ეტაპზე, საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე - თუმცა მისი გამოყენება ასევე შეიძლება არსებული სივრცეებისა და სერვისების მონიტორინგის ინკლუზიურობისა და უსაფრთხოების შესაფასებლად.

საჭირო მასალები

- ✔ გამოკითხვის ან ფოკუს-ჯგუფის გზამკვლევები გენდერულად სპეციფიკური ინფორმაციის შესაგროვებლად
- ✔ კალმები და მარკერები
- ✔ ტერიტორიის რუკები ან ამობეჭდილი სქემები
- ✔ ვიდეოკამერა ან სმარტფონი ფოტოების/ვიდეოების გადასაღებად
- ✔ სურვილისამებრ: ‘სტიკერები’ უკუკავშირისა და დაკვირვებებისთვის

შემაჯამებელი მიმოხილვა

‘ქალის თვალით’ არის თანამონაწილეობითი ინსტრუმენტი, რომელიც იკვლევს, რამდენად განსხვავებულად ზემოქმედებს ურბანული სივრცეები, ტრანსპორტი და საჯარო სერვისები ქალებსა და მამაკაცებზე. სამოქალაქო აქტორებს კი უფრო ინკლუზიური, უსაფრთხო და სამართლიანი ქალაქების დაგეგმარებაში ეხმარება.

პანკისელი ქალების მიერ ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა, რეგიონის განვითარების ცენტრი

მეთოდი

1. ჩაატარეთ ფოკუს-ჯგუფები, უსაფრთხოების შეფასება ადგილზე გასვლით ან ონლაინ გამოცდილების გაზიარების სესიები სხვადასხვა სოციალური და კულტურული ჯგუფის წარმომადგენელ ქალებთან.
2. რუკაზე დაიტანეთ ყოველდღიური მარშრუტები და გამოავლინეთ არსებული გამოწვევები (მაგ., განათება, საგზაო ბარიერები/პანდუსები, სატრანსპორტო კავშირები).
3. გააანალიზეთ გენდერულ ჭრილში წარმოდგენილი მონაცემები და მიღებული უკუკავშირი.
4. მოახდინეთ ამ მიგნებების ინტეგრირება დიზაინისა და პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, იმისათვის რომ ქალების ხედვებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მოხდეს საბოლოო შედეგების მიღწევა.

სახელმძღვანელო მითითებები

ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესებას და დაგეხმარებათ ისეთი გადაწყვეტების ფორმირებაში, რომლებიც ქალების საჭიროებებს ასახავს. მიღებული შედეგები ასევე შეიძლება მუნიციპალურ ორგანოებს დაეხმაროს ახალი საბიუჯეტო პროგრამების დანერგვაში, შედეგად, იმ პირებს ვისაც ნამდვილად ესაჭიროებათ მხარდაჭერა რეალური წვდომა ექნებათ სახელმწიფო რესურსებზე.

გადაწყვეტების სტრეს-ტესტი

რა?

გადაწყვეტების სტრეს-ტესტი სვამს მარტივ, თუმცა მნიშვნელოვან კითხვებს თქვენი გადაწყვეტებ(ებ)ის, შესახებ, იმის გასარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელი, რეალისტური და შესაბამისია იგი. ეს ინსტრუმენტი ასევე შესაძლებლობას გაძლევთ შეადაროთ სხვადასხვა გადაწყვეტების ვარიანტების განხორციელებადობა.

რატომ?

გადაწყვეტის სტრეს - ტესტირება სწრაფად ავლენს, განხორციელებადია თუ არა იგი. ეს განსაკუთრებით გვეხმარება იმის თავიდან არიდებაში, რომ ზედმეტი დრო და ძალისხმევა არ დავხარჯოთ ისეთი გადაწყვეტების დაგეგმვასა და შემუშავებაში, რომელიც საბოლოოდ არარეალისტური აღმოჩნდება.

ვინ?

ყველა დაინტერესებული და საკითხზე ინფორმირებული მხარე ჩართული უნდა იყოს ჩართული.

როდის?

ამ ინსტრუმენტის გამოყენება ყველაზე რელევანტურია მას შემდეგ, რაც საწყისი გადაწყვეტის ვარიანტები უკვე იდენტიფიცირებულია თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება და განხორციელების მოდალობა არ არის შემუშავებული.

სახელმძღვანელო მითითებები

- მნიშვნელოვანი საწყისი ნაბიჯია იმ კრიტერიუმებზე შეთანხმება, რომელთა მიხედვითაც გადაწყვეტის სტრეს-ტესტირება ჩატარდება. გასათვალისწინებელი საკითხებია:
- **წვდომა ტერიტორიაზე:** თუ გადაწყვეტისთვის საჭიროა გარკვეული ტერიტორიის არსებობა, არის თუ არა იგი ხელმისაწვდომი და გამოყენებადი?
- **ნებართვები:** საჭიროებს თუ არა გადაწყვეტა ნებართვებს და რამდენად მარტივია მათი მიღება?
- **მანდატი:** რამდენად შეგიძლიათ თავად განახორციელოთ გადაწყვეტა, თუ იგი სამთავრობო უწყებების ჩარევის გარეშე ვერ გადაწყდება?
- **ფინანსები:** შესაძლებელია თუ არა განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსებაზე წვდომა?
- **ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა:** შესაძლებელია თუ არა საექსპლუატაციო და მოვლა-პატრონობისთვის საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფა?
- **დრო:** რამდენად შესაძლებელია გადაწყვეტილების განხორციელება ხელმისაწვდომ ვადებში?
- **შესაძლებლობა:** არის თუ არა საკმარისი ადამიანური რესურსი და ცოდნა გადაწყვეტის შემუშავების, განხორციელებისა და მართვისთვის?
- **საზოგადოებრივი მიმღებლობა:** იქნება თუ არა გადაწყვეტა საზოგადოებისათვის მისაღები?

მეთოდი

1. თქვენს საჭიროებებს მოარგეთ შაბლონი და მასში შეიტანეთ ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმები.
2. შესაბამისი სიმბოლოების გამოყენებით ჩაწერეთ რამდენად მისაღებია გადაწყვეტა/(გადაწყვეტები) თითოეული კრიტერიუმის მიხედვით.
3. იქ სადაც გამოვლინდა რისკები ან სუსტი მხარეები, განიხილეთ შესაძლებელია თუ არა მათი მართვა გადაწყვეტის დიზაინის მიხედვით, თუ საჭიროა ალტერნატიული გადაწყვეტის განხილვა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

გადაწყვეტე(ებ)ის სტრეს-ტესტირება წარმოადგენს მარტივ და ადვილად გამოსაყენებელ პრაქტიკულ ინსტრუმენტს. ანალიზის საფუძველზე შეგიძლიათ დაადასტუროთ, არის თუ არა თქვენი გადაწყვეტა რეალისტური, ხოლო სხვადასხვა ვარიანტების შედარებისას, პრიორიტეტი ყველაზე განხორციელებად გადაწყვეტას მიანიჭოთ. ამავე დროს, შესაძლებელია გადაწყვეტის დიზაინის გადახედვა და კორექტირება გამოვლენილი სისუსტეების ან ხარვეზების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება	**ახალი მცირე ზომის პარკი**	**განახლებული საჯარო სივრცე**
მიწათ-სარგებლობა	☹	☺
ნებართვები	☺	☺
მანდატი	☹	☺
ფინანსები	☺	☺
ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა	☺	☹
დრო	☺	☺
შესაძლებლობა	☺	☺
მისაღებია	☺	☺

ზეგავლენის რადარი

(„მდგრადობის ვარდი“)

რა?

ზეგავლენის რადარი („მდგრადობის ვარდი“) არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გაძლევთ შეაფასოთ თუ რამდენად მოდის წინააღმდეგობაში თქვენი გადაწყვეტის ზემოქმედება ადგილობრივად განსაზღვრული მდგრადობის ინდიკატორებთან.

რატომ?

ეს ინსტრუმენტი გადაწყვეტების ზემოქმედების ვიზუალურად წარმოჩენას უზრუნველყოფს. რის საფუძველზეც შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომელი გადაწყვეტა უნდა იქცეს პრიორიტეტულად და როგორ შეიძლება მდგრადობის ზემოქმედების გაუმჯობესება.

ვინ?

ინსტრუმენტის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თუმცა იდეალურია მისი ჩატარება ჯგუფში.

როდის?

აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მას შემდეგ, რაც შეთანხმებულია მიზნები და მდგრადობის ინდიკატორები და იდენტიფიცირებულია საწყისი გადაწყვეტები.

საჭირო მასალები

- ✔ A3 ფორმატის ზემოქმედების რადარის დიაგრამა
- ✔ ფერადი კალმები

შემაჯამებელი მიმოხილვა

ეს არის მეთოდი გადაწყვეტის მდგრადობის ზეგავლენის შესაფასებლად და სხვადასხვა გადაწყვეტის ვარიანტების ერთმანეთთან შესადარებლად. იგი გვეხმარება ვიზუალურად დავინახოთ, თუ როგორ უწყობს ხელს სხვადასხვა მიდგომა მდგრადობის მიზნების მიღწევას.

მეთოდის ნაბიჯები

1. დაამატეთ თქვენი მდგრადობის ინდიკატორები რადარის სხივებზე. ინდიკატორები უნდა იყოს კონკრეტული და ეფუძნებოდეს თქვენი გადაწყვეტილების ხედვას, მიზანს ან ამოცანებს. ინდიკატორები უნდა მოიცავდეს ეკოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ფიზიკურ მდგრადობას.
2. ამ ეტაპზე რამდენად მდგრადია არსებული მდგომარეობა? თითოეული ინდიკატორის მიხედვით ჯგუფმა უნდა განიხილოს და ერთობლივად შეაფასოს არსებული მდგომარეობა 1–დან 5-მდე შკალით, სადაც 5 ნიშნავს ძალიან მდგრადს, ხოლო 1 - ძალიან არამდგრადს.
3. შეაფასეთ გადაწყვეტილებების ვარიანტები: შეაფასეთ, როგორ იმოქმედებს სხვადასხვა გადაწყვეა მდგრადობაზე, მათი განთავსებით 1–5 შკალაზე. თითოეული გადაწყვეტისთვის გამოიყენეთ განსხვავებული ფერის კალამი და აუცილებლად მიუთითეთ მისი დასახელება.
4. გადაწყვეტის საბოლოო შეფასება და პრიორიტიზება: განიხილეთ შედეგები ყველაზე ეფექტური გადაწყვეტის გამოსავლენად. შესაძლებელია თუ არა თქვენი გადაწყვეტის დიზაინის ცვლილებით მდგრადობის გაზრდა, ან სხვადასხვა გადაწყვეტილებების კომბინაციით მდგრადობის მიზნების მიღწევა.


მდგრადობის ვარდი
გარემოს დაცვითი მდგრადობა
სოციალური მდგრადობა
ეკონომიკური მდგრადობა
ფიზიკური მდგრადობა
ეროზია და ტყეების გაჩეხვა
ჰაერის დაბინძურების შემცირება
ენერგოეფექტიანობა და გადამუშავება
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომობა
გადაწყვეტის ეფექტიანობა
ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემურ სერვისებზე ზემოქმედების შერბილვა
ენერგეტიკულ ეფექტურობა
ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ინვესტირება
ადგილობრივ ეკონომიკურ ინიციატივებზე ინვესტირება
ბიზნეს-ინკუბატორებზე ინვესტირება
ადგილობრივ ეკონომიკურ ინიციატივებზე ინვესტირება
ბიზნეს-ინკუბატორებზე ინვესტირება
ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ინვესტირება
ენერგეტიკულ ეფექტურობა
ენერგოეფექტიანობა და გადამუშავება
ეროვნული ეკონომიკური ინიციატივებზე ინვესტირ

ბავშვებზე ზეგავლენის შეფასება

რა?

'ბავშვზე ზეგავლენის შეფასება' თანამონაწილეობითი ინსტრუმენტია, რომელიც გეხმარებათ შეაფასოთ, რა გავლენას ახდენს ადგილზე განხორციელებული ინფრაქტრუქტურული გადაწყვეტები, სერვისები ან პოლიტიკა ბავშვების კეთილდღეობაზე, უსაფრთხოებაზე, გადაადგილებასა და ჩართულობაზე. იგი ხელს უწყობს ურბანული გარემოს - ქუჩების, პარკების, სკოლების, ტრანსპორტის ან საცხოვრებლის - ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით გააზრებას, იმისათვის რომ (ურბანული) განვითარება ჯანსაღ, უსაფრთხო და ხალისიან ბავშვობას უზრუნველყოფდეს.

რატომ?

ბავშვები ქალაქის ცხოვრების დონის ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებლებია. თუ ბავშვებს შეუძლიათ უსაფრთხოდ გადაადგილება, თავისუფლად თამაში, სუფთა ჰაერის სუნთქვა და ასევე ჩართულობის განცდა აქვთ - ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქი ყველასთვის ეფექტურად ფუნქციონირებს.

ვინ?

ყველა, ვინც დაინტერესებულია ადგილობრივი გადაწყვეტების, საჯარო სივრცეების უსაფრთხოები და ბავშვების კეთილდღეობით - მათ შორის სამოქალაქო აქტორები, სათემო ჯგუფები, მშობლები, მასწავლებლები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

როდის?

აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენეთ ქვემოთ მოყვანილ აქტივობებამდე ან მათი განხორციელების პროცესში. კერძოდ:

- ურბანული დაგეგმარება ან რეკონსტრუქციის პროექტები (მაგ., ახალი გზები, საჯარო სივრცეები)
- სკოლების ან უბნების გაუმჯობესება
- საჯარო ბიუჯეტის განხილვები ან ადვოკატირების კამპანიები, რომლებიც ახალგაზრდობასა და განათლებას ეხება
- ნებისმიერი სათემო ინიციატივა, რომელიც გავლენას ახდენს ოჯახებზე, ბავშვებზე ან მობილობაზე.

საჭირო მასალები

- ✔ რვეული, ან ციფრული მოწყობილობა შენიშვნების ჩასაწერად.
- ✔ ფოტოაპარატი ან სმარტფონი ფოტო/ვიდეოების გადასაღებად
- ✔ კალმები და მარკერები
- ✔ რუკები ან ტერიტორიის ამობეჭდილი გეგმები/სქემები
- ✔ არასავალდებულო: 'სტიკერები' შენიშვნებისა და უკუკავშირის ჩასაწერად

შემაჯამებელი მიმოხილვა

„ბავშვზე ზეგავლენის შეფასება" თანამონაწილეობითი ინსტრუმენტია, რომელიც სამოქალაქო აქტორებს ეხმარება შეაფასონ, რა გავლენას ახდენს ადგილობრივი გადაწყვეტები და მიმდინარე პოლიტიკა ბავშვების უსაფრთხოებაზე, გადაადგილებასა და კეთილდღეობაზე. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით შეგიძლიათ:

- გამოკვეთოთ უხილავი ბარიერები (სახიფათო გადასასვლელები, მწვანე სივრცეების ნაკლებობა, არასაკმარისად ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა სკოლებში).
- გააძლიეროთ ადვოკატირება ბავშვების ინტერესებზე მორგებული დაგეგმარებისა და პოლიტიკის სასარგებლოდ.
- გაამყარეთ თქვენი არგუმენტები მობილობის, ჰაერის ხარისხისა და სოციალური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

აქტივობა „მოქალაქეების დიალოგი“ საჯარო ტრანსპორტზე საბიუჯეტო პროექტის მოსამზადებლად, ‘სიმბიოსითი’ კოლუმბია

მეთოდი

სამოქალაქო აქტორებს სპეციალისტების გარეშეც შეუძლიათ ‘ბავშვზე ზეგავლენის შეფასების’ დამოუკიდებლად და შემოქმედებითად გამოყენება:

დააკვირდით: მოიარეთ ბავშვების მიერ გამოყენებული ადგილები და ჩაინიშნეთ უსაფრთხოებასთან, ხელმისაწვდომობასთან და კომფორტთან დაკავშირებული პრობლემები.

მოუსმინეთ: ესაუბრეთ ბავშვებს, მშობლებსა და მასწავლებლებს იმაზე, რა აღიქმება უსაფრთხოდ ან რა აკლიათ.

დააფიქსირეთ: გადაიღეთ ფოტოები ან მოკლე ვიდეოები მთავარი რისკებისა და დადებითი მაგალითების დოკუმენტირებისთვის.

დაფიქრდით/გაიაზრეთ: დასვით კითხვა - არის თუ არა ეს გარემო ყველა ბავშვისთვის უსაფრთხო, ინკლუზიური და ჯანსაღი?

გააზიარეთ: წარმოადგინეთ თქვენი მიგნებები ვიზუალურად ან ონლაინ, ცნობიერების ასამაღლებლად და ცვლილებების ადვოკატირებისთვის.

სახელმძღვანელო მითითებები

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო აქტორებმა საკუთარი მიგნებები და რეკომენდაციები გაუზიარონ მუნიციპალურ ორგანოებს და ბავშვების ინტერესებზე მორგებული გაუმჯობესების ადვოკატირება მოახდინონ რეალური ცვლილებების განსახორციელებლად.

„გადაწყვეტილების ხე“

რა?

‘გადაწყვეტილების ხე’ რთულ და მაღალი რისკისა და გავლენის მქონე გადაწყვეტილების სტრუქტურასა და სიცხადეს ანიჭებს, ამცირებს შეუქცევადი შეცდომების დაშვების რისკს. ის გეხმარებათ ალტერნატივების შედარებაში, კომპრომისების გააზრებასა და თქვენი გადაწყვეტილებისთვის ყველაზე დაბალანსებული და განხორციელებადი ვარიანტის შერჩევაში.

რატომ?

‘გადაწყვეტილების ხე’ რთულ და მაღალი რისკისა და გავლენის მქონე გადაწყვეტილების სტრუქტურასა და სიცხადეს ანიჭებს, ამცირებს შეუქცევადი შეცდომების დაშვების რისკს. ის გეხმარებათ ალტერნატივების შედარებაში, კომპრომისების გააზრებასა და თქვენი გადაწყვეტილებისთვის ყველაზე დაბალანსებული და განხორციელებადი ვარიანტის შერჩევაში.

ვინ?

ამ ინსტრუმენტის გამოყენება შეუძლია წამყვან ჯგუფს, რომელიც შეიძლება დაკომპლექტებული იყოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი მონაწილეებით.

როდის?

ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც გადადიხართ დაგეგმარების ეტაპიდან განხორციელების დაწყებაზე.

საჭირო მასალები

- ✔ დიდი ფორმატის ქაღალდები (‘ფლიპჩარტი’)
- ✔ ‘სტიკერები’
- ✔ მარკერები

შემაჯამებელი მიმოხილვა

‘გადაწყვეტილების ხე’ არის ვიზუალური ინსტრუმენტი, რომელიც სამოქალაქო აქტორებს ეხმარება გაკეთებული არჩევანის, შედეგების, ხარჯებისა და რისკების რუკის შექმნაში და განხორციელების დაწყებამდე სტრუქტურირებულ, გამჭვირვალე და რაციონალურ გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს.

მეთოდი

1. შეკრიბეთ დაინტერესებული მხარეები, რათა ერთობლივად განსაზღვროთ მთავარი გადაწყვეტილებები
2. ჩამოწერეთ თითოეული გადაწყვეტილება და მისი შესაძლო შედეგები ხის დიაგრამის განშტოებად
3. განსაზღვრეთ თითოეული შედეგის ალბათობა და მასთან დაკავშირებული ხარჯები
4. გამოთვალეთ და შეაფასეთ თითოეული სტრატეგიული მიმართულების მოსალოდნელი შედეგი
5. გამოავლინეთ ის ვარიანტი, რომელიც სარგებელსა და რისკებს შორის საუკეთესო ბალანსს უზრუნველყოფს

სახელმძღვანელო მითითებები

„გადაწყვეტილების ხე“ ეფექტური მეთოდია საწყისი ნაბიჯების გადასახედად, მანამდე გაკეთებული არჩევანის გასააზრებლად და გადაწყვეტილებების დასახვეწად, რათა კარგად გააზრებული წინსვლის გზა გამოიკვეთოს.

როგორ ჩავერთოთ ადგილობრივ აქტორებთან ერთად



ადგილობრივი დაფინანსების მოპოვება

რა?

'ადგილობრივი დაფინანსების მოპოვა' წარმოადგენს მარტივ ანალიზს თქვენი გადაწყვეტის შესაძლო დაფინანსების წყაროების გამოსავლენად. რაც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა წყაროს, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტი, პარტნიორობა, გრანტები და თემის თანამონაწილეობა - მდგრადი ურბანულ პროექტებისა და სამოქალაქო ინიციატივების მხარდასაჭერად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ინსტრუმენტი დაფინანსების მიღების რეალურ შესაძლებლობას უნდა ასახავდეს.

რატომ?

ყველა გადაწყვეტილებას გარკვეული დონის დაფინანსება ესაჭიროება, თუმცა საჭირო თანხის მოცულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება გადაწყვეტილების მასშტაბისა და მოქმედების არეალის მიხედვით. დაფინანსების პოტენციური წყაროებისა და ვარიანტების იდენტიფიცირება დაგეხმარებათ უკეთ შეაფასოთ მრავალფეროვანი დაფინანსების შესაძლებლობები და გააღრმავოთ თანამშრომლობა ხელისუფლებას, მოქალაქეებსა და კერძო სექტორს შორის.

ვინ?

სამოქალაქო აქტორები, რომლებიც გეგმავენ გადაწყვეტას და საჭიროებენ რეალისტური დაფინანსების წყაროების გამოვლენასა და ფინანსური განხორციელებადობის უზრუნველყოფას.

როდის?

მთელი 'სიმბიოსითის' პროცესის განმავლობაში უნდა განიხილოთ დაფინანსების პოტენციური წყაროები. რაც დაგეხმარებათ იმის უზრუნველყოფაში, რომ თქვენი გადაწყვეტილები იყოს რეალისტური, განხორციელებადი და მდგრადი.

საჭირო მასალები

✔ დაფინანსების ვარიანტების ორგანიზება უმჯობესია ცხრილის ფორმატში - სასურველია კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით (მაგ., Word ან Excel), ხოლო ამ შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში - ქაღალდზე ამობეჭდილი ვერსიის სახით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

'ადგილობრივი დაფინანსების მოპოვება' პრაქტიკული ინსტრუმენტია, რომელიც დაგეხმარებათ დაფინანსების პოტენციური წყაროების გამოვლენასა და შეფასებაში. მუნიციპალური ბიუჯეტის, პოტენციური პარტნიორების, გრანტების და თემის თანადაფინანსების ბერკეტების მოძიებაში, ასევე იმის უზრუნველყოფაში, რომ თქვენი გადაწყვეტები იყოს რეალისტური, განხორციელებადი და მდგრადი. ამისთვის დაგჭირდებათ ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტების, გრანტების, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პროგრამებისა და დონორების დაინტერესების გზით.

მეთოდი

1. გამოიყენეთ მარტივი ჩარჩო, რათა ჩამოწეროთ თქვენი ქალაქისა და გადაწყვეტის შესაბამისი დაფინანსების ტიპები და გამოიკვლიოთ რამდენად რეალისტურია თითოეული მათგანის გამოყენება.

სახელმძღვანელო მითითებები

დაფინანსების განსაზღვრა და უზრუნველყოფა ხშირად რთული პროცესია, რაც ძალისხმევას და გამბედაობას მოითხოვს. ნუ დანებდებით და ნურც მოტივაციას დაკარგავთ უარყოფითი პასუხების გამო.

დაფინანსების ტიპი	როგორ შეიძლება მისი გამოყენება საქართველოში
მუნიციპალური ბიუჯეტები და შიდა შემოსავლები	მუნიციპალური ბიუჯეტებიდან ან ბიუჯეტის თანამონაწილეობით შედგენისას თანხების გამოყოფა შეიძლება მოქალაქეების მიერ ინიცირებული მწვანე და მობილობის პროექტების დასაფინანსებლად (მაგ., 'შენი იდეა მერს', მწვანე ინიციატივების დაფინანსება). მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამებიდანაც შესაძლებელია დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფა.
საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი (PPD)	ითანამშრომლეთ კერძო ბიზნესებთან კონკრეტული პროექტების თანადაფინანსების კუთხით. გამოავლინეთ კომპანიები, რომლებსაც თავიანთ კორპორაციულ ხარჯებში გათვალისწინებული აქვთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა (CSR) და მწვანე ინიციატივების დაფინანსების მექანიზმები.
თემის თანამონაწილეობა და ადგილობრივი შემოწირულობები	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების მექანიზმი რეგისტრირებული ამხანაგობებისთვის, ან 'ქრაუდფანდინგი' საერთო საკუთრებაში არსებული აქტივების, საერთო საჯარო სივრცეებისა და მობილობის ინიციატივების დასაფინანსებლად
უცხოური დახმარება, გრანტები და საერთაშორისო სესხები	განაცხადების შეტანა დონორ ორგანიზაციებში
საბაზრო შემოსავლები	იმ სოციალური საწარმოების ან კოოპერატიული ბაზრების მხარდაჭერა, რომლებიც ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას აფინანსებენ (მაგ., „აწარმოე საქართველოში", სოფლის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო/GITA).

გადაწყვეტებზე პროექტის მომზადება

რა?

ინსტრუმენტი, რომელიც გეხმარებათ თქვენი გადაწყვეტილების მოკლედ, მკაფიოდ და დამაჯერებლად დოკუმენტირებაში, სხვებისთვის გასაზიარებლად და წარსადგენად (განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და პოტენციური დამფინანსებლებისთვის, თქვენი გადაწყვეტის უნიკალურობისა და პოტენციური ზეგავლენის წარმოჩენის მეშვეობით).

რატომ?

გადაწყვეტებზე პროეტის მომზადება არის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც თემის საჭიროებას გარდაქმნის ფინანსურად ანგარიშგასაწევ ქმედებად.

ვინ?

ინიციატივის ფარგლებში პასუხისმგებელი წამყვანი პირი ან გუნდი.

როდის?

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტაზე პროექტის მომზადება დასკვნითი - კონსოლიდირებული დოკუმენტია, ყველაზე სასარგებლოა მისი ეტაპობრივად შექმნა და დახვეწა 'სიმბიოსითის' ნაბიჯების გამოყენებით.

საჭირო მასალები

✔ პროექტის დოკუმენტის მომზადება უმჯობესია ელექტრონულად, რათა ინიციატივის განხორციელების პარალელურად შესაძლებელი იყოს მისი მუდმივად შევსება და რედაქტირება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ეს ხელსაწყო ეხმარება სამოქალაქო აქტორებს თემის საჭიროება მკაფიო, ქმედით და დაფინანსებად გადაწყვეტილებად აქციონ, პრობლემის, მიზნების, განხორციელების გეგმის, ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ზემოქმედების აღწერის მეშვეობით. იგი თქვენს იდეას გარდაქმნის სრულად ჩამოყალიბებულ, ხარჯებისა და დაფინანსებისთვის გამზადებულ პაკეტად.

მეთოდი

1. თქვენი პროექტის მოსამზადებლად შეიმუშავეთ გონივრული ჩარჩო (ან სარჩევი) 'სიმბიოსითის' პროცესის, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე.
2. დარწმუნდით, რომ პროექტის მომზადება გაწერილია სამუშაო გეგმით და ასევე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი და ვადები.
3. განაახლეთ და შესწორებები შეიტანეთ აღნიშნულ პროექტში, 'სიმბიოსითის' მეთოდის გამოყენებით თქვენი ინიციატივის მომზადების პროცესში.
4. პროექტის მომზადების პროცეში დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარეთ თქვენი გადაწყვეტაზე მომზადებული პროექტის სამუშაო ვერსია, იმისათვის რომ უზრუნველყოთ მათი ხედვებისა და მოსაზრებების ასახვა პროექტის დოკუმენტში.

სახელმძღვანელო მითითებები

თქვენი გადაწყვეტის დაფინანსებისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს, რომ თქვენი პროექტი მოამზადოთ პოტენციური დამფინანსებლის მოთხოვნების შესაბამის ფორმატში. წინასწარ გადაამოწმეთ, არის თუ არა განსაზღვრული კონკრეტული ფორმატი და საჭიროების შემთხვევაში სათანადოდ გადააკეთეთ და მოარგეთ თქვენი დოკუმენტი.

საბიუჯეტო პროექტის და განხორციელების გეგმის მომზადება, 'სიმბიოსითი' მიანმარი

1	თქვენი გადაწყვეტის სათაური და შთამაგონებელი წარდგენა
2	რა პრობლემას/გამოწვევას აგვარებს თქვენი გადაწყვეტა
3	რას მიაღწევთ მისი განხორცილებით (მიზანი და ამოცანები)
4	როგორ მოხდება მისი განხორციელება (შესასრულებელი ამოცანები და მათი შემსრულებლები – თქვენი განხორციელების გეგმა)
5	როგორ მოხდება შედეგების მონიტორინგი (მონიტორინგი და შეფასება)
6	ბიუჯეტი განხორციელებისთვის და მოვლა-შენარჩუნებისთვის
7	მდგრადობა და გრძელვადიანი ზეგავლენის შეფასება

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილი ინსტრუმენტები

ხელოვნური ინტელექტის (AI) ხელსაწყოების გამოყენება თქვენს საქმიანობას მნიშვნელოვნად დაუზოგავს დროს. ქვემოთ მოცემულია ხელმისაწვდომი AI ინსტრუმენტების ნიმუში:

URBANISTAI

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ნებისმიერი პლატფორმა მაცხოვრებლებს საშუალებას აძლევს რეალურ დროში ვიზუალურად წარმოიდგინონ ურბანული გარემო და ისინი პასიური დამკვირვებლებიდან, აქტიურ განმახორციელებლებად აქციოს.

ძირითადი მახასიათებლები: ურბანული ცვლილებების ინტერაქტიული ვიზუალიზაცია, რეალური პრობლემების მიხედვით ცვლილებების წარმოსახვა და თემის ჩართულობის გააქტიურება.

✔ **რისთვის გამოიყენება:** იდეალურია თანამონაწილეობითი ურბანული დაგეგმარებისა და თემის მიერ მართული დაგეგმვის პროცესებში.

▶ https://urbanai.fr/

ARCHIVINCI ურბანული დიზაინის გენერატორი

ინსტრუმენტი, რომელიც არქიტექტურულ ესკიზებს ფოტორეალისტურ ურბანულ დიზაინად გარდაქმნის და გვეხმარება გენერალურ დაგეგმარებასა და ლანდშაფტის ვიზუალიზაციაში.

ძირითადი მახასიათებლები: ესკიზებიდან ქმნის რეალისტურ რენდერებს, ზონირების ლოგიკას ითვალისწინებს და ახდენს გარემოს სიმულაციების ინტეგრირებას.

✔ **რისთვის გამოიყენება:** განკუთვნილია არქიტექტორებისა და ურბანისტებისთვის, რომლებსაც სწრაფად სურთ დიზაინის კონცეფციების ვიზუალიზაცია

▶ https://www.archivinci.com/ai-urban-design

URBANSIM

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პლატფორმა მდგრადი ურბანული დაგეგმარების და განვითარებისათვის, რომელიც მიწათსარგებლობის, ტრანსპორტის, ეკონომიკისა და გარემოს ურთიერთქმედებებს გაერთიანებაში გეხმარებათ.

ძირითადი მახასიათებლები: ურბანული ზრდის პროცესების სიმულაციის გზით აფასებს პოლიტიკის ზემოქმედებას და ხელს უწყობს გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას.

✔ **რისთვის გამოიყენება:** გამოსადეგია პოლიტიკის განმახორციელებლების და მგეგმარებლებისთვის, რომლებიც მდგრადი განვითარების საკითხებზე მუშაობენ.

▶ https://www.urbansim.com/

COMMUNITYVIZ

ArcGIS-ის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) პროგრამული უზრუნველყოფის დამატებითი მოდულები, რომლებიც უზრუნველყოფს ანალიზისა და ვიზუალიზაციის ინსტრუმენტებს ურბანული, მიწათსარგებლობისა და სატრანსპორტო დაგეგმარებისთვის.

ძირითადი მახასიათებლები: ურბანული ზრდის პროცესების სიმულაციის გზით აფასებს პოლიტიკის ზემოქმედებას და ხელს უწყობს გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას.

✔ **რისთვის გამოიყენება:** გამოსადეგია პოლიტიკის განმახორციელებლების და მგეგმარებლებისთვის, რომლებიც მდგრადი განვითარების საკითხებზე მუშაობენ.

▶ https://communityviz.com/

IMAGINEART

Vyro.ai-ის მიერ შექმნილი ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული კრეატიული პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს შექმნას ციფრული გამოსახულება, ვიდეო, მუსიკალური და ხმოვანი ონლაინ-შინაარსი.

ძირითადი მახასიათებლები: მაღალი სიზუსტის გამოსახულებების შექმნა, სრულფასოვანი რედაქტირების საშუალებები და მულტიმოდალური შემოქმედებითი ინსტრუმენტები.

✔ **რისთვის გამოიყენება:** გამოსადეგია ურბანული დიზაინის კონცეფციების ვიზუალიზაციისა და დამაჯერებელი პრეზენტაციების შესაქმნელად.

▶ https://www.imagine.art/

რუსთაველის გამზირი - თბილისის მთავარი ქუჩა, სადაც ძველი და ახალი არქიტექტურა ერთად ქმნის მის იერსახეს

ურბანული ტერმინების განმარტება



მობილობა

ჩვენი, როგორც მოქალაქეების ქალაქებში თავისუფლად და მარტივად გადაადგილების შესაძლებლობა მოიცავს სატრანსპორტო ინფრა-სტრუქტურის, სერვისებისა და სისტემების ერთიანობას - საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ველოსიპედითა და ქვეით გადაადგილებას, ისევე როგორც ავტომობილების გამოყენებას.

ინტეგრირებული გადაწყვეტ(ები)ა

თქვენი რეაგირება ქალაქში არსებულ პრიორიტეტულ გამოწვევებზე, რომლებიც მდგრად განვითარებას უწყობს ხელს. ეს შეიძლება იყოს თქვენი ქალაქის ან უბნისთვის ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, ახალი საჯარო ღია სივრცის შექმნა ან არსებული სივრცის გაუმჯობესება, საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად ახალი საფეხმავლო გადასასვლელის მოწყობა ან ხეების დარგვა. გადაწყვეტა შეიძლება იყოს ფიზიკური (სტრუქტურული) ან არამატერიალური - მაგალითად, უსახლკაროების დახმარება, დასუფთავების კამპანიები, ფეხითა და ველოსიპედით გადაადგილების ხელშეწყობა მოქალაქეთა გაერთიანების მიზნით. შესაძლებლობის ფარგლებში, გადაწყვეტები უნდა იყოს 'ინტეგრირებული' - აერთიანებდეს შესაბამისი რაოდენობის ღონისძიებებს, აგვარებდეს ურთიერთდაკავშირებულ გამოწვევებს და მაქსიმალურად ზრდიდეს ზემოქმედებასა და ხელშესახებ გაუმჯობესებას ქალაქის ინფრასტრუქტურაში. ინტეგრირებული გადაწყვეტების ხშირად უფრო ხარჯეფექტური და მდგრადია - ნაკლები რესურსით იძლევა მეტ შედეგს!

ურბანული ტერმინების განმარტება

თქვენ წინაშე არსებული სხვადასხვა გამოწვევების ურთიერთკავშირების გააზრება და ისეთი ინტეგრირებული რეაგირების მოძიება, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე პრობლემას აგვარებს („ინტეგრირებული (ერთიანი) გადაწყვეტები"). მაგალითად, სკოლის ბავშვების უსაფრთხოდ სკოლამდე მისაყვანად 'საფეხმავლო ავტობუსის' ორგანიზება თავისთავად ძალიან დადებითი ნაბიჯია, თუმცა ამავე დროს ქმნის შესაძლებლობას უფრო ფართოდ განიხილოთ ფეხითა და ველოსიპედით გადაადგილებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუ-ქტურის განვითარება, რაც ხელს უწყობს უსაფრთხოებასა და სასიამოვნო გარემოს შექმნას, ასევე იმ ქუჩების ხარისხის გაუმჯობესებას, რომლებითაც ყოველდღიურად სარგებლობთ. ჩნდება კითხვა, არის თუ არა მწვანე საფარის ზრდის ხელშეწყო-ბის შესაძლებლობა, რაც დროთა განმავლობაში დაჩრდილვას უზრუნველყოფს, რამაც ასევე შეიძლება შეამციროს ადგილზე ჰაერის დაბინძურება, ბავშვებს მისცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მწვანე საფარის მოვლაში და აამაღლოს მათი ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებზე.



ურბანული გეგმები

ქალაქებისთვის შემუშავებული ოფიციალური, მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმები მოიცავს სამ გეოგრაფიულ მასშტაბს: **გენერალურ გეგმას** (ფარავს მთელ ქალაქს), **განვითარების გეგმას** (შეიძლება ფარავდეს მთელ ქალაქს ან ცალკეულ უბანს) და **დეტალურ განვითარების გეგმას** (ფარავს უბანს ან უბნის ნაწილს).

მდგრადი ურბანული განვითარება

ზოგადად, მდგრადი ურბანული განვითარება გულისხმობს სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური განვითარების საჭიროებების დაბალანსებას, რაც ყველას ცხოვრების დონეს აუმჯობესებს. პრაქტიკულ დონეზე კი, მდგრა-დი ურბანული განვითარების ინდიკატორები ადგილობრივად უნდა ყალიბდებოდეს - ადგილობრივ გამოწვევებსა და საჭიროებებზე რეაგირების მეშვეობით (მაგ., ჰაერის ხარისხის და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯო-ბესება, ბუნებრივი საფრთხეების/რისკების შემცირება, მწვანე სივრცეების გაზრდა და სოციალური ჩართულობის გაძლიერება).

გსურთ იცოდეთ მეტი?

‘სიმბიოსითის’ შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და ყველა ბმულის სანახავად შედით ვებგვერდზე SimbioCity.org



ესაა ერთგვარი შეჯამება SALAR-ის მხარდაჭერის 20 ქვეყნის ქალაქისთვის უფრო მდგრადი და ინკლუზიური ურბანული სივრცეების დაგეგმარებასა და განვითარებაზე



ეს სახელმძღვანელო გთავაზობთ დეტალურ მითითებებს, პრაქტიკულ რჩევებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს ‘სიმბიოსითის’ პროექტის განსახორციელებლად

‘სიმბიოსითის’ ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდებისა და ინსტრუმენტების პრაქტიკული კრებული.

სხვადასხვა თემაზე მომზადებული სახელმძღვანელო მითითებები, მათ შორის გენდერული საკითხები, მონაწილეობა, ურბანული სიღარ-ბის შემცირება და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება.



სივრცის ფორმირების სახელმძღვანელო სამოქალაქო აქტორებისთვის, თუ როგორ შეიქმნას კარგი და წარმატებული საჯარო სივრცეები.

შთამაგონებელი კრებული იმ ქალაქებისთვის, რომლებსაც მდგრადი ეკო-მეგობრული გარდაქმნა სურთ



სახელმძღვანელო პრაქტიკული რჩევებით ‘ტაქტიკური გადაწყვეტების’ პროცესში



კრებული თემის მიერ ინიცირებულ კონკრეტულ მაგალითებსა და სცენარებზე, რომლებმაც თემის მდგრადი მომავალი განსაზღვრეს

მდგრადი ურბანული განვითარების სახელმძღვანელო, სადაც ქალების საჭიროებების გათვალიწინებით



მოქალაქეების მიერ ინიცირებული პრაქტიკული აქტივობების შთამბეჭდავი და შთამაგონებელი მაგალითების კრებული ლათინური ამერიკიდან და კარიბის რეგიონიდან

შევქმნათ უკეთესი ქალაქი და სამეზობლო

ინკლუზიური ურბანული განვითარების სახელმძღვანელო საქართველოსთვის

საქართველოს ქალაქები ცოცხალია - ისევე როგორც ხალხი, რომელსაც მათ განვითარებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

დიახ, რა თქმა უნდა არსებობს გამოწყვევები: ქაოტური ურბანული განვითარება, ავტომობილებით გადატვირთული ქუჩები და ადამიანების ინტერესებზე მორგებული უფასო და ხელმისაწვდომი სივრცეების ნაკლებობა. თუმცა ყოველი გამოწვევა შესაძლებლობაცაა - ვაქციოთ ჩვენი ქუჩები, სამეზობლოები და ქალაქები ისეთ სივრცეებად, სადაც ადამიანები სრულფასოვნად ცხოვრობენ და ვითარდებიან.

მდგრადი ურბანული განვითარება თქვენით იწყება. მოქალაქეები, სათემო ჯგუფები და ადგილობრივი ლიდერები ფლობთ შესაძლებლობას განახორციელოთ რეალური ცვლილებები, გაუფრთხილდეთ თქვენს გარემოს, და შექმნათ ისეთი ქალაქები, რომლებითაც იამაყებთ.

'სიმბიოსითის' ინსტრუმენტთა კრებული თქვენი გზამკვლევია. მრავალი მაგალითით დატვირთული, პრაქტიკული რჩევებითა და ადვილად გამოსაყენებელი ინსტრუმენტებით, იგი შთაგონებას მოქმედებად აქცევს სწორედ აქ - თქვენს სამეზობლოში.

'სიმბიოსითის' ინსტრუმენტთა კრებული თქვენი მოგზაურობაა გაცნობიერებიდან ქმედებამდე!

Swedish Association of Local Authorities and Regions
SALAR International
SymbioCity